

ISSN 1512 - 4649

ეკონომიკა

ეკონომისტი

საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 1, 2014 წელი

ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის,
ბიზნესმენტა და მეცნიერთა პოზიციები)

ბადასახადები, ბულალტრული აღრიცხვა,
აუდიტი

ბიზნესი და მენეჯმენტი

საბანკო საქმე (ბანკირი, ბიზნესმენი,
მეანაბრე)

საპანონმდებლო სიასლენი (სამეწარმეო
სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა პითხვები და პროფესიონალთა
პასუხები



**ქურნალი “ახალი ეკონომისტი”
რევიერირება:**

სსიპ ინსტიტუტ ტექნიფორმის ელექტრონულ
გამოცემებში “ქართულ რევიერირებულ
ქურნალში”.

ალიარევიერირება რევიერირებულად:

- საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა
აკადემია;
- საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა
აკადემია;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელობის
უნივერსიტეტი;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი,
ESM ბიზნესის სკოლა;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- ახალციხის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი;
- შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი;
- საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი;
- ოდესის მეჩნიკოვის სახელობის ეროვნული
უნივერსიტეტი (ქ. ოდესა, უკრაინა);
- კავკასიის სტრატეგიული კვლევის
ინსტიტუტი (ქ.ბაქო, აზერბაიჯანი);
- ბელორუსიის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
(ქ. მინსკი, ბელორუსია);
- ყაზახეთის ეკონომიკის, ფინანსებისა და
საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი.

**The Magazine “Akhali Ekonomisti” (New
Economist) IS REVIEWED:**

In “Georgian Reviewed Magazine”
P.L.L.E. Institute of Techninform

IS KNOWN AS REVIEW BY:

- Georgian Academy of Business Sciences;
- Georgian Academy of Economical Sciences;
- I. Javakhishvili Tbilisi State University;
- Ilia State University;
- Georgian Technical University;
- Grigol Robaqidze University;
- Tbilisi Free University, ESM Business
School;
- Caucasus University;
- Sukhumi State University;
- Shota Rustaveli State University;
- Akhaltsikhe State University;
- Shota Meskhia State University of Zugdidi;
- Akaki Tsereteli State University;
- Saint Andrew the First Called Georgian
University of the Patriarchate of Georgia
- Odessa Mechnikov National University
(Odessa, Ukraine)
- Institute of Strategic Studies of the Caucasus
(Baku, Azerbaijan);
- State University of Byelorussia;
(Minsk, Byelorussia);
- University of Kazakhstan of Economy,
Finances and International Trade

მისამართი: 0105, საქართველო, თბილისი
ჯორჯაძის ქ. №5
ტელ.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
მობ.: +995 (55) 277 554; +995 (95) 32 30 34;
ელ ფოსტა: economist_n@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.economisti.ge; www.loi.ge

ADDRESS: 5 Jorjadze str., Tbilisi, Georgia, 0105
tel.: +995 (32) 422 771; +995 (32) 990 576;
mob.: +995 55 277 554; +995 (95) 32 30 34;
e-mail: economist_n@yahoo.com
web-site: www.economisti.ge; www.loi.ge

ახალი ეკონომისტი

ყოველკვარტალური სამართაშორისო რეჟიმირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი №1(32), 2014

ლოიდ ქარჩავა - მთავარი რედაქტორი და სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე,
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი;
საქართველოს ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

სარედაქციო კოლეგია:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები:

რამაზ აბუსაძე (პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი); ანზორ აბრალავა; იური ანანიაშვილი; როზაშა ასათიანი; თეიმურაზ ბაბუნაშვილი (საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ევგენი ბარათაშვილი; ელბერდ ბატიაშვილი; როსტომ ბერიძე (ბათუმის უნივერსიტეტი); თამარ გამსახურდია; თინა ბელაშვილი; სიმონ ბელაშვილი; რევაზ ბჟელაშვილი (ეკონომიკური პოლიტიკისა და ეკონომიკური განათლების ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი); რევაზ ბობოხია (ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესი“-ს მთავარი რედაქტორი); ვლადიმერ ბრიბოლაია (მოსკოვი, რუსეთის ფედერაცია); ალექსეი დანილჩენკო (ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე); ვოლგანგ ვენტი (ბერლინი, გერმანია); შოთა ვეშაპიძე; ნუგზარ თოღუა; ბოჩა თუთხერიძე; სერგეი იაკუბოვიჩი (ოდესის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა); ელდარ ისმაილოვი (კავკასიის სტრატეგიული კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, აზერბაიჯანის ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი); მირაბ კაკულია; ალექსანდრე კვაშილავა; ბია კვაშილავა; მურთაზ კვიციანი (სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი); ვასილ კიკუტაძე; ირაკლი კოვზანაძე (საქართველოს საპარტნიორო ფონდის თავმჯდომარე); კახა კორძია (კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორი) პაატა კოლუაშვილი (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი); ვერა კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია); ენვერ ლაბვილავა; ძაბილ მანაშოვი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის კომერციული ფაკულტეტის დეკანი); შალვა მაჭავარიანი (კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი);

ელბუჯა მძვინავაშვილი; ნუგზარ ნადარაია (ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ლაშო ნარმანია (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი); თეოდორ ნინიძე; სოლომონ პავლიაშვილი (თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი); ვახტანგ სარმანი (საქართველოს საპარტიარქის წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი); შიმონ სარჯველაძე; ავთანდილ სილაბაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი); ალექსანდრე სიჭინავა (ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგი“-ს მთავარი რედაქტორი); ბილა სვირავა (ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); დამიტიან ტუმუკულოვა (ყაზახეთის რესპუბლიკის ესთეთიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი); სლავა ვატილაძე; რუსუდან ქუთათელაძე (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი); თეიმურაზ შენბელია; ბიორბი შიხაშვილი; ომარ შუღრა; ვანია შულენბაჰა (ყაზახეთის რესპუბლიკა); ლალი ჩაბელიშვილი; მიხეილ ჩიკვილაძე; ლეო ჩიქაძე (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი); ნიკო ჩიხლაძე; ავთანდილ ჩუთლაშვილი; ნოდარ ხაღური (საქართველოს ფინანსთა მინისტრი); ელენე ხარაბაძე; შიმონ ხარაიშვილი; რევაზ ხარბაძე; მირაბ ხმალაძე; ლაშო ჯალაღონია (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი); ჯამალტ ჯანჯღავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე); ემზარ ჯემრენია (ჟურნალ „საქართველოს ეკონომიკა“-ს მთავარი რედაქტორი); მიხეილ ჯიბუტი.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

შეიძლება რედაქცია ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს.



The New ECONOMIST

QUARTELY INTERNATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE,
PRECISED AND REVIEWED №1(32), 2014

LOID KARCHAVA - Editor-in-Chief and Head of Editorial Board,
Doctor of Business Administration, Associated Professor,
Academic, Member of the Presidium
of the Georgian Academy of Business Sciences.
Academic of the Georgian Academy of Fazisi Sciences.

EDITORIAL BOARD

Doctors of science, Professors:

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკის რეკონსტრუქციის ცენტრი

THE NEW ECONOMIST

RAMAZ ABESADZE (Director of Paata Gugushvili Economic institute); ANZOR ABRALAVA; IURI ANANIASHVILI; ROZETA ASATIANI; TEIMURAZ BABUNASHVILI (Prezident of the Georgian Academy of Business Sciences; EVGENI BARATASHVILI; ELBERD BATIASHVILI; ROSTOM BERIDZE (Batumi state university); TAMAR GAMSAKHURDIA; TINA GELASHVILI; SIMON GELASHVILI; REVAZ GVELESIANI (Director of Georgian-German Institute of Economic Policy and Economic Education); REVAZ GOGOKHIA (Editor-in-Chief of magazine „Economy and Business“); VLADIMIR GRIGOLAIA (Moscow, Russian Federation); ALEKSEY DANILCHENKO (Deputy of Rector of BelarusiaState University); WOLFGANG WENG (Berlin, Germany); SHOTA VESHAPIDZE; NUGZAR TODUA; GOCHA TUTBERIDZE; SERGEY YAKUBOVSKIY (Odesa I.I.Mechnikov Odessa National University, Ukraine); ELDAR ISMAILOV (Director of Institute of Strategic Studies of the Caucasus, President of Azerbaijan Banks Association); MERAB KAKULIA; ALEKSANDRE KVASHILAVA; GIA KVASHILAVA; MURTAZ KVIRKVAIA (Editor of the Scientific part, Dean of Business and Management School of G. Robakidze University); VASIL KIKUTADZE; IRAKLI KOVZANADZE; KAKHA KORZAIA (Rector of Caucasus International University); PAATA KOGUASHVILI (member of Georgian Academy of Agriculture); HARALD KUNZ (Brandenburg, Germany); ENVER LAGVILAVA; QABIL MANAFOV (Dean of Commers Faculty of Azerbaijan State Economical University); SHALVA MACHAVARIANI (Vice-Prasidentrt of Caucasus University in sciens field); ELGUJA MEQVABISHVILI; NUGZAR NA-

DARAIA (Prezident of the Academy of Fazisi Sciences); DAVID NARMANIA (Minister of Regional Development and Ifrastrusture of Georgia); TEDO NINIDZE; SOLOMON PAVLIASHVILI (Rectot of Tbilisi University); VAKHTANG SARTANIA (Dean of Economics and Business Administration Faculty of Saint Andrew the First Called Georgian University of the Patriarchate of Georgia); ETER SARJVELADZE; AVTANDIL SILAGADZE (Member of Georgian National Academy of Science); ALEKSANDRE SICHINAVA (Editor-in-Chief of magazine „Business Engineering“); GELA SVIRAVA; DAMETKENTUREKULOVA (Academician of a Esthetical Science Academy of Kazakhstan, University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); SLAVA FETELAVA; RUSUDAN KUTATELADZE (Dean of Business-engineering Faculty of Georgian Tecnical University); TEMUR SHENGELIA; GIORGI SHIKHASHVILI; OMAR SHUDRA; FAIA SHULENBAYEVA (University of Kazakhstan of Economy, Finances and International Trade); LALI CHAGELISHVILI; MICHAEL CHIKVILADZE; LEO CHIKAVA (Corresponding-member of Georgian National Academy of Science, Prezident of the Georgian Academy of Economics Sciences); NIKO CHIKHLADZE; AVTANDIL CHUTLASHVILI; NODAR KHADURI (Minister of Finance of Georgia); ELENE KHARABADZE; ETER KHARAISHVILI; REVAZ KHAREBAVA; MERAB KHMALADZE; DAVID JALAGONIA (Dean of Economics and Buziness Faculty of Suxumi State University); JAMLET JANJGAVA (Deputy of Editor-in-Chief); EMZAR JGERENAI (Editor-in-Chief of magazine „Economy of Georgia“); MICHAEL JIBUTI.

მთავარი გვერდი

ინტერვიუ თბილისის მერობის კანდიდატთან - ბატონ ღაპით ნარმანიასთან 5

ეკო-ღაიჯესტი 9

მეცნიერება

ღაპით გუგუაძე, სოლომონ პავლიაშვილი – საქართველოს წყლის რესურსების ეკოლოგიური და გარემოს დაცვითი პრობლემები 11

ნინელი თევდორაშვილი, ლია პიტიშორიშვილი – საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციები მსოფლიოსა და საქართველოში 17

ეპპენი ბარათაშვილი, ირმა მახარაშვილი, მანანა მარიღაშვილი - გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა ბიზნეს პროცესების მართვაში 21

ქეთევან ჭიაბროშვილი, ნათელა ნატროშვილი – საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური აღზრდის ამოცანები 27

რევაზ ლორთქიფანიძე, როლანდ სარჩიშვილი, ციალა ბიორბაძე – ინფლაციის ნორმალიზებისა და მეცნიერებაში ხელფასის ზრდის საკითხისათვის 33

ვასილ ხიზანიშვილი – ხელისუფლება, როგორც სტეიკჰოლდერი 36

ააატა კოლუაშვილი, ბიორბი ზიზიბაძე, ანზორ მესხიშვილი - ალერციხით და ვუპატრონოთ მიწას 40

ააატა კოლუაშვილი – როგორ არეგულირებენ სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისების საკითხს განვითარებულ ქვეყნებში 46

Л.Н. Бурлаков, Ф.А. Шуленбаева – Антикоррупционные меры – зарубежный опыт и Казахстан 52

Н.Б. Шамуратова, М.Т. Жетесова - ИНТЕГРАЦИЯ ЭТНИЧЕСКИХ КАЗАХОВ – ОРАЛМАНОВ В КАЗАХСТАНСКОЕ ОБЩЕСТВО 56

Мусаханова Н.А., Мусаханова А.М. - НАЛОГОВОЕ СТИМУЛИРОВАНИЕ РАЗВИТИЯ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА В КАЗАХСТАНЕ 61

სტუდენტური ხელვა

თინათინ მამქარიაშვილი - ოფშორული ბიზნესი და მისი თავისებურებანი 66

მართვის ახალგაზრდული სკოლა

აბრამიშვილი მ., ლომიძე ნ., სომხიშვილი ძ. – მართვის კულტურა, როგორც ეკონომიკური აღმავლობის საფუძველი. 69

ახალი წიგნი 71

უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები 74

ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია 75

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



MAIN PAGE

Interview with the - with Mr. David Narmania 5

ECO-DIGEST 9

SCIENCE

David Gubeladze, Solomon Pavliashvili - The ecological and environmental problems of the water resources of Georgia 11

Neli Tevdoradze, Lia Pitiurashvili - The modern trends of international trade in Georgia and worldwide 17

Evgeni Baratashvili, Irma Makharashvili, Manana Maridashvili - Decision-Making Art of Business Process Management 21

Ketevan Chiabrishvili, Natela Natroshvili - Market Economy And economic rearing tasks 27

Revaz Lordkipanidze, Roland Sarchimelia, Tsiala Giorgadze - For normalization of inflation and growth of wages in science 33

Vasil Khizanishvili - The Government as a stakeholder 36

Paata Koguashvili, George Zibzbadze, Anzor Meskhishvili - Register and Care for Land 40

Paata Koguashvili - How the Developed countries regulate the issue of Agricultural land alienation 46

L.N. Burlakov, F.L. Shulenbayeva - Anticorruption measures - Foreign experience and Kazakhstan 52

N.B. Shamuratova, M. T. Jetesovsa - Integration of ethnic Kazakhs – repatriates Kazakh society 56

N.A. Musakhanova, A.M. Musakhanova – The role of tax stimulation in the development of small and medium business in Kazakhstan 61

STUDENT’S VISION

Tinatin Medzmariashvili - Offshore business and its features 66

THE YIUTH SCHOOL OF MANAGEMENT 69

NEW BOOKS 71

FOREING ECONOMIC NEWS 74

ACADEMY OF BUSINESS SCIENCES 75

საქართველოს აკადემიის მიხედვით THE NEW ECONOMIST



ინტერვიუ თბილისის მერობის კანდიდატთან ბატონ ღაბონ ღაბონ ნარმანიასთან

ბატონი ღაბონ ნარმანია გახლავთ ერთ-ერთი წარმატებული მინისტრი. ამაზე მიუთითებს თავად ის ფაქტი, რომ კოალიცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულმა საქართველომ“ სწორედ ის დაასახელა თბილისის მერობის კანდიდატად. მეითხველმა კარგად იცის, ასევე, რომ ის არ იყო პოლიტიკოსი, როცა მინისტრად დანიშნეს. დავით ნარმანია ცნობილი იყო საზოგადოებისთვის, როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი მეცნიერი, პატიოსანი, შრომისმოყვარე და პასუხისმგებელი პიროვნება. თვისი მინისტრობის სულ რაღაც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მან გამოავლინა მენეჯერის ყველა ის თვისება, რაც საჭიროა წარმატებისათვის. გეჯერა, რომ თბილისის მერის თანამდებობაზეც მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და კეთილსინდისიერებით მოეკიდება თავის სააქმიანობას და აქაც ახალ ინიციატივებს შესთავაზებს საზოგადოებას, რაშიც გულწრფელ წარმატებებს ვუსურვებთ.

დღეს ჩვენი ჟურნალის სტუმარია თბილისის მერობის ერთ-ერთი და ყველაზე რეალური კანდიდატი ბატონი ღაბონ ნარმანია:

- სანამ არჩევნების თემაზე გადავალთ, მოკლედ, თვალი გადავავლოთ თქვენს საქმიანობას სამინისტროში, რა არის მთავარი, რითაც ღაბამასოვრდებით საზოგადოებას, როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი?

თაც ასევე საზოგადოება მიცნობს. იმიტომ, რომ ეს ადამიანები მძიმე მდგომარეობაში არიან და მუდმივად სჭირდებათ მხარდაჭერა, და საზოგადოება მიცნობს თვითმმართველობის რეფორმის კონტექსტში, ვინაიდან ჩემი მინისტრობის ფერი-ოლში დაიწყო ქვეყანაში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა.

- დავიწყოთ პირველ რიგში იმით, რომ მე საზოგადოებამ გამიცნო, როგორც სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ადამიანი, რომელიც მუდმივად, მე თვითონ ვარ ადგილზე, სადაც მიმდინარეობს სამუშაოები, სადაც არის საზოგადოება და საზოგადოების მხრიდან ინტერესი, რაც საკითხების მოგვარებასა და პრობლემების მოწესრიგებასთან არის დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, მე საზოგადოება სადაც მხედავს, მხედავს პოზიტივში, პროექტების განხორციელების მომენტში, როდესაც ყოველთვის პირდაპირ ვამბობ სიმართლეს, სადა რა კეთდება, როგორ კეთდება და რა ძირითადი მიდგომებია. რაც შეეხება უშუალოდ საქმეებს, მე მაინც ყველაზე მეტად გამოვეყოფდი ავტომაგისტრალის მშენებლობას, რითაც საზოგადოება იცნობს ჩემს საქმიანობას, მინისტრის რანგში; გამოვეყოფდი კონფლიქტისპირა სოფლების მოსახლეობის მხარდაჭერას, რი-

- ტემპები მაბისტრალის მშენებლობისა და საზღვრისპირა სოფლების მხარდაჭერისა წინა წლებთან შედარებით როგორია?

- ტემპები 2014 წელს უფრო მეტი იქნება 2013 წელთან შედარებით, ისე როგორც 2013 წელს უფრო მეტი იყო ვიდრე 2012 წელს. შესაბამისად თანხებით მაგისტრალზე 2013 წელს უფრო მეტი დავხარჯეთ ვიდრე 2012 წელს. სამ პარალელურ მონაკვეთზე მიმდინარეობდა მუშაობა 2013 წელს და 2014 წელს 7 მონაკვეთზე იქნება პარალელურ რეჟიმში მუშაობა, რითაც უფრო სწრაფად წაიწვევს წინ ავტომაგისტრალის მშენებლობა. რაც ყურად საღებია, ასევე, ავტომაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით არის ის, რომ ჩვენ მთლიანად აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგის-

ტრალზე, ვიცით რომელ წელს რომელი მონაკვეთი უნდა აშენდეს და ყველა მათგანთან მიმართებაში დონორი ორგანიზაციების თანხმობა არსებობს და დავიწყეთ რიკოტის 60 კილომეტრიანი ყველაზე რთული მონაკვეთის ტექნიკურ-ეკონომიკური მახასიათებლების შესწავლა და წლის ბოლოს იქნება შედეგები, თუ სად უნდა გაიაროს რიკოტის ტერიტორიაზე ავტომაგისტრალმა და რა იქნება მისი საპროექტო ღირებულება.

- რა არის ისეთი საკითხი, რომელიც ბოლომდე ვერ მიიყვანეთ ღრღის უპარსილობის გამო? მხედველობაში გვაქვს ის, რომ თქვენი უბლა დატოვოთ მიწისტრით თანამდებობა.

- მე სამ საკითხს გამოყოფდი, რაზეც გული მეთანადრება და მიუხედავად ჩემი მონდომებისა, რომელი საკითხები ვერ მივიყვანე ბოლომდე, თუმცა სამივე მათგანი დაძრულია:

პირველი, ესაა თანამედროვე ინფრასტრუქტურის სტანდარტების შემუშავება და ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაცია. ეს პროცესი დავიწყეთ, 2013 წელს ერთი სტანდარტი დავამტკიცეთ, 4 მოვამზადეთ და განხილვის პროცესშია, ასევე გერმანულ კოლეგებთან გავაფორმეთ თანამშრომლობის მემორანდუმი და ისინი დაგვეხმარებიან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით. ამიტომ აქაც პროცესი დაძრულია, მაგრამ ბოლომდე მიყვანილი ჯერ-ჯერობით არ არის;

მეორე საკითხი ესაა ინოვაციური მიდგომების უფრო აქტიურად დანერგვა ინფრასტრუქტურაში, უფრო სწრაფი დანერგვა უფრო ადრე მოგვეცემს შედეგს, თუმცა ინოვაციებს სჭირდება შესწავლა და გამოცდა. ამიტომ ტექნიკურ საბჭოზე პერიოდულად ხდება ინოვაციური მიდგომების განხილვა და ეტაპობრივად ხდება დანერგვა, თუმცა უფრო ჩქარი ტემპი, რა თქმა უნდა, მისასაღებელია;

მესამე, ეს არის პროექტების მართვის ელექტრონული სისტემის შემუშავება. რადგანაც ჩვენს სამინისტროში ერთდროულად ყოველწლიურად 300-ზე მეტი პროექტი მიმდინარეობს, ძალიან რთულია ასეთი პროექტების მართვა თანამედროვე სისტემების გამოყენების გარეშე. ამიტომ ჩვენ დავიწყეთ ამ სისტემის დანერგვაზე მუშაობა, გააკეთეთ მისი მონახაზი, დაფინანსებაც ასევე მოძიებულია, ამდენად ეს სისტემა გაგრძელდება.

- არჩევნების საკითხზე გადასვლა მინდა დავიწყოთ ერთი შეხედვით უბრალო და უმნიშვნელო საკითხზე, რაზედაც მავანმა ქარიშხალი ატეხა ჰიქაში, თითქოს-და თბილისის მერისთვის მთავარი თუ უმთავრესი მახასიათებელი უნდა იყოს თბილისში დაბადება. როგორია თქვენი აზრი ამ საკითხის მიმართ? რას ნიშნავს თბილისელიობა? რას ნიშნავს იყო თბილისელი?

- პირველ რიგში უნდა ითქვას ის, რომ „თბილისელიობა“-ში, ზოგიერთები გულისხმობენ, რომ ადამიანი თბილისში უნდა იყოს დაბადებული და თვლიან, რომ მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია მაჯისცემაზე ედოს ხელი, თუმცა ეს არ არის ჩვენი აზრით, და ეს არ არის მხოლოდ ჩვენი აზრი, არამედ ჩვენი გუნდის აზრით, განმაპირობებელი ფაქტორია, ადამიანი ხელაგდეს სწორად პრობლემებს, მთავარია, ადამიანს შეეძლოს პრობლემების ანალიზი, პრიორიტეტების სწორად დაგეგმვა და გქონდეს მენეჯმენტის უნარი, რათა გაუძღვე დედაქალაქს, და მოავარო დედაქალაქის წინაშე არსებული პრობლემები, განავითარო დედაქალაქი. აქედან გამომდინარე, საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც პოზიტიურად აზროვნებს, თვლის, რომ დედაქალაქის მერობისთვის აუცილებელი არ არის იყო დედაქალაქში დაბადებული, თუმცა პრობლემებს ნამდვილად უნდა იცნობდე და გქონდეს ის თვისებები, რაზეც გვექონდა ზემოთ საუბარი. არის გარკვეული კატეგორია, რომელიც თავის აზრზე რჩება და თვლის, რომ „თბილისელი“ აუცილებლად თბილისში დაბადებული უნდა იყოს, თუმცა ეს მათი აზრია. ბუნებრივია, გარკვეული კატეგორია დარჩება ამ აზრზე, მაგრამ გამოკითხვები აჩვენებს, რომ ძირითადი ნაწილი ასე არ ფიქრობს, რაც ჩვეთის მისასაღებელია და ყურადსაღები. აქედან გამომდინარე ჩვენი მთავარი ამოცანა წინასაარჩევნო პერიოდში, სხვა საკითხებთან ერთად, მდგომარეობს იმაში, რომ დავაწმუნოთ ის ადამიანები, ვინც ფირობს, რომ თბილისის მერი აუცილებლად თბილისელი უნდა იყოს, რომ ეს ასე არ არის და ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ეს ადამიანები საქმით, ხედვით, პრობლემების ანალიზისა და მოგვარების ჩვენების უნარით, და ჩვენ შეგვწევს ძალა ეს ყველაფერი მოვაგვაროთ, მოვაწესრიგოთ ისე, როგორც ეკადრება დედაქალაქს. დედაქალაქს ყოლია ბევრი თბილისელი მერი, ყოლია ბევრი არათბილისელი მერი. მსოფლიო პრაქტიკიდან

გამომდინარე, ძალიან ბევრი მაგალითია, როცა ძალიან დიდ ქალაქებშიც კი მერები იმ ქალაქში დაბადებული არ ყოფილან, მაგრამ ეს ქალაქები ძალიან განვითარებული არიან და წინ წასულე-ბი.

- როგორ წარუშლენს ღაპით ნარმანია სპაუთარ თავს თბილისის ამომრჩეველს? ვინ არის ღაპით ნარმანია?

- პირველ რიგში მნიშვნელოვანია, რომ ამომრჩეველებს წარუდგეთ ისე, როგორც ვართ და არა შენიღბული. ამომრჩეველმა ჩვენ ისეთი უნდა შეგვიცნოს, როგორც ბუნებრივად ვართ, როგორც სტილის თვალსაზრისით, ასევე მიდგომების თვალსაზრისით. საზოგადოებასთან ურთიერთობით და კომუნიკაციის თვალსაზრისით, ხედვების თვალსაზრისითაც, რაც გაგვანჩია. ამიტომ თეთრზე არასდროს არ უნდა ვთქვათ, რომ ის არის შავი, საზოგადოებასთან უნდა გვექნდეს უშუალო ურთიერთობა და დამოკიდებულება. საზოგადოებას ძალიან მკაფიოდ და კარგად უნდა დავანახოთ, რომ მთავრი ამოცანა და მთავრი საზრუნავი მათ კეთილდღეობაზე ზრუნვაა, და ამიტომ მოვდივარ ქალაქის მართის სათავეში და არა პირადი გამორჩენისთვის, როგორც ეს წინამორბედის შემთხვევაში იყო და რაზეც საგამოძიებო ორგანოებს ძალიან ბევრი კითხვის ნიშნები აქვთ. თუმცა მე ამ საკითხის სიღრმეში არ შევალ, ეს არ არის ჩემი განსჯის საგანი. ინოვაციური მიდგომები და ხედვები ისევე როგორც ქალაქში არსებული პრობლემების მოგვარების ტრადიციული ინსტრუმენტების გამოყენება ეს იქნება ის მთავარი მიდგომები, რასაც ჩვენ გავაცნობთ ამომრჩეველს, პირდაპირ, უშუალოდ, გულდიად. ამიტომ პროგრამაც არ იქნება ზედმეტად ამბიციური. ის იქნება რეალური პროგრამა, რომლის შესრულებაც შესაძლებელი იქნება არჩევნების შემდეგ ერთი საარჩევნო ციკლის განმავლობაში.

- ახლა ბაღაპიძემ კონკრეტულ საპიტიხ-ებზე. არჩევნები მოახლოვდა. თქვენ სამსახურის პარალელურად ემზადებით საარჩევნოდ. რა ეტაპზე ხართ? ბაჭვი საბოლოოდ ჩამოქა-ლიბებლი გეგმავთ? პროგრამა? თუ ჯერაც სრულყოფის პროცესშია? შეგიძლიათ ჩვენს მკითხ-ველს ბავაცნოთ თქვენი პროგრამა მთლიანად ან ნაწილობრივ? თქვენსების სახით მაინც.

- გვაქვს, რა თქმა უნდა პროგრამა, დიდი ნაწილი საარჩევნო პროგრამისა არის მომზადე-ბული, თუმცა ეს არ არის მხოლოდ წინასაარჩე-ვნო პროგრამა. ესაა პროგრამა, რომლითაც მერია ი-უნდა იხელმძღვანელოს შემდგომი 4 წლის განმ-ვლობაში. პროგრამა წერილობითი ფორმით არის, რა თქმა უნდა, საზოგადოებისთვის ხელმისაწე-დომი იქნება პროგრამა მაშინ, როცა ის საბოლოო რედაქტირებასა და კორექტირებას გაივლის. ხელმისაწვდომი იქნება როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური ფორმით. ჩვენი მხარდამჭერები უბან-უბან ივლიან და მათ შორის მე თვითონ და საარჩევნო ჯგუფი ამ პროგრამას გავაცნობთ საზოგადოებას, პროგრამაში მოცემულია ყველა ძირითადი პრობლემა რაც დედაქალაქშია და ამ პრობლემების მოგვარების გზები. პროგრამაში გვაქვს საცხოვრებლად მიმზიდველი გარემოს შე-ქმნის შესახებ წინადადებები, ისევე, როგორც ინ-ფრასტრუქტურის მოწესრიგების, ჯანმრთელობისა და სოციალური თვალსაზრისით ღონისძიებებლი, ახალგაზრდული, სპორტთან და კულტურასთან დაკავშირებული ღონისძიებები, გვაქვს გამწვანე-ბასთან, ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებებთან დაკავშირებული და რეკრეა-ციასთან დაკავშირებული კომპონენტები, ქალაქის ქონებისა და ფინანსების მართვის საკითხი და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხები.

- რაზე აკეთებთ ძირითად აქცენტებს? თქვენთვის რა იქნება პრიორიტეტი მერიის მუშაობაში?

- ძირითადი, რა თქმა უნდა, იმ პრობლემების მოგვარება იქნება, რაც საზოგადოებიდან მოდის და რაც დედაქალაქის უფლებამოსილებას განე-კუთვნება. ამიტომ ჩვენ არასდროს შევიპირდებით ამომრჩეველს, იმის მოგვარებას, რაც არ არის მერიის უფლებამოსილება. აქედან გამომდინარე, პროგრამა იქნება რეალისტური. ყველაზე მთა-ვარი, რასაც ამომრჩეველს შევიპირდებით, იქნება ის, რომ არც ერთი გადაწყვეტილება კაბინეტში არ იქნება მიღებული, საზოგადოებასთან კონ-სულტაციების გარეშე, არც ერთი პროგრამა არ დაიგეგმება კაბინეტებში. ის საზოგადოებიდან წამოვა, რაც სჭირდება ხალხს, უბრალოდ პრი-ორიტეტები დალაგდება და პროექტები მომზად-დება მერიაში. მაგრამ საზოგადოებიდან წამოვა საჭიროებები, ისე როგორც საზოგადოებას ჩავა-ბარებთ ანგარიშს, თუ რას ვაკეთებთ, რა გავაკე-თეთ და ასე შემდეგ.

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

- ანუ თქვენ ისე, როგორც აქ, სამინისტროში გაქვთ რამდენიმე საკონსულტაციო საბჭოები, სადაც საზოგადოების წარმომადგენლები არიან ჩართულები, ამას მერიისთვის ბაკეტივობა?

- რა თქმა უნდა, მერიაშიც იქნება შესაბამისი საკონსულტაციო საბჭოები, ეს იქნება არქიტექტორთა საბჭო და სხვა რამდენიმე მიმართულებით, რომლებიც საზოგადოების საჭიროებებს კარგად იცნობენ და რომლებსაც შეუძლიათ კვალიფიციური კონსულტაცია გაუწიონ მერიის სტრუქტურაში დასაქმებულ მუშაკებს.

- გამარჯვების იმედი რომ არ ბძონდეთ, მინისტრის სავარაუდოდ არ დატოვებდით. რა ბაკეტივობა არჩვენებში გამარჯვების იმედს?

- არჩვენებში გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს და ამის თქმის საფუძველს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი გვაძლევს: პირველი, ის რომ ჩვენ ვართ ახალი პოლიტიკური ძალა, რომელმაც რადიკალურად შეცვალა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და სრულიად საპირისპირო მიმართულებით დემოკრატიის გზაზე დააყენა ქვეყანა. მე, როგორც ამ პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, რა თქმა უნდა, ვგრძნობ მხარდაჭერას, როგორც თვითონ პოლიტიკური ძალისგან, ასევე, ჩვენი პოლიტიკური ძალის მომხრე საზოგადოების მხრიდან, მეორე, ეს არის რეფორმები და საქმე, რომელიც ჩვენ გავაკეთეთ სამინისტროში ჩემი ხელმძღვანელობით, რაც უშუალოდ საზოგადოების კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული. საზოგადოება კარგად იცნობს ამ კომპონენტებს. მესამე არის ის, რომ ჩვენ უშუალოდ დამოკიდებულება გვაქვს და მე თვითონ უშუალოდ დამოკიდებულება მაქვს ხალხთან და ასე ვიქნები მომავალშიც. მათ იციან, რომ მე ვარ მათიანი და ჩემთვის მთავარი საზრუნავი საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ეს ყველაფერი ჯამში, რა თქმა უნდა, გვაძლევს საკმაოდ პოზიტიურ შედეგს და გამარჯვების იმედს.

- თქვენ თვითონ რას დაამატებდით, ყოველივე ზემოთ თქმულზე? როგორც თბილისის მერობის კანდიდატს კიდეც რა ბაკეტივობა სათქმელი თბილისელებისთვის?

- თბილისელებისთვის, რა თქმა უნდა, ყველაზე მთავარი სათქმელი ჩემი მხრიდან იქნება ის, რომ მე მუდმივად მათ გვერდში ვიქნები და არც ერთი პრობლემის მოგვარებისთვის მათ არ დავტოვებ მარტო და მაქსიმალურად დავეხმარები. შეიძლება იყოს ისეთი პრობლემები, რაც არ წარმოადგენს მერიის უფლება მოსილებას და არის ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილება. რა თქმა უნდა. მე ვიქნები ასეთ შემთხვევაში მედიატორი თბილისის მოსახლეობასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. შესაბამისად, მე როგორც მთავრობის წევრი, რომელიც კარგად ვიცნობ მთავრობის ამ შემადგენლობას, ვგრძნობ უპირატესობას სხვებთან შედარებით ამ თვალსაზრისითაც, რომ უშუალოდ დამოკიდებულება მაქვს მთავრობის თითოეულ წევრთან და მარტივად შემიძლია მათთან დავაყენო პრობლემა, მივიტანო საკითხი და ასე შემიძლია. ვიმსჯელო მათთან ერთად პრობლემის მოგვარებისა და გადაწყვეტის გზებზე. რა თქმა უნდა, ესეც ძალიან ბევრს ნიშნავს და ესეც ძალიან მნიშვნელოვანი მომენტი, თუ რატომ უნდა დამიჭიროს მხარი საზოგადოებაში.

- დიდი მადლობა ინტერვიუსთვის, წარმატებებს ბისურვებთ არჩვენებშიც და შემდგომ მოღვაწეობაშიც. ღარწმუნებულ ვარ ჩვენი შემდგომი ინტერვიუ თბილისის მერის კანდიდატში შევხვდეთ.

- თქვენც დიდი მადლობა.

ესაუბრა ჟურნალ „ახალი ეკონომისტის“
მთავარი რედაქტორი ლიდი ქარჩავა
05.04.2014წ.



ეკონომიკური

დაიწესა 600 მილიონის ობლიგაციის ემი-
სია

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 600 მილიონის გრძელვადიანი სახაზინო ობლიგაციების ემისიას იწყებს. ფასიანი ქაღალდებით ნასესხები ფულის 1/3-ს მთავრობა კომერციულ ბანკებში სადეპოზიტო ანგარიშებზე განათავსებს. ექსპერტების შეფასებით, ფაქტობრივად, ბანკები მთავრობისაგან ფულს 1%-ად იღებენ, რითაც გრძელვადიანი დაკრედიტება წახალისდება.

იქმნება ორი ახალი სააგენტო

დამწყები, მცირე და საშუალო ბიზნესის, აგრეთვე ექსპორტის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში იქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“. აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით, შეიქმნება საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოც, რომლის მიზანი იქნება სხვადასხვა სექტორში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება, ინოვაციური მეწარმეობის, კვლევებისა და გამოგონებების კომერციალიზაციის ხელშეწყობა.

საარსებო მინიმუმმა ცოტა დაიკლო

იანვარში საარსებო მინიმუმ უმნიშვნელოდ შემცირდა. „საქსტატის“ ინფორმაციით, იანვარში შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმმა 154,2 ლარი შეადგინა, რაც დეკემბრის მაჩვენებელზე 90 თეთრით ნაკლებია. შარშანდელ იანვართან შედარებით კი მატება 3,5 ლარია. იანვარში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 136,6 ლარს შეადგენდა (დეკემბერში – 137,4 ლარი), საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 258,7 ლარს (დეკემბერში – 260,2 ლარი).

ურთიერთჩართვის ტარიფი შემცირდა

საქართველოს კომუნიკაციების რეგულატორის (საბითუმო) ახალი ზედა ზღვრული ტარიფი

დაადგინა, რომელიც სამ მობილურ ოპერატორს („მაგთიკომს“, „ჯეოსელსა“ და „ბილანს“) დაუწესდა. ტარიფი ეტაპობრივად, ორი წლის განმავლობაში ექვს თვეში ერთხელ დაიწევს და 3,5 თეთრის ნიშნულამდე ჩამოვა. დღეს მოქმედი ურთიერთჩართვის ზედა ზღვრული ტარიფი „მაგთიკომისა“ და „ჯეოსელისათვის“ 1 წუთი 8 თეთრია, ხოლო „ბილანისათვის“ – 11 თეთრი.

საქართველოს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის შეფასება

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013-2014 წლის ანგარიშში საქართველო ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტურობის მიხედვით, 148 ქვეყანას შორის 138-ე ადგილზეა, ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის დონის მიხედვით – 123-ე პოზიციაზე, ხოლო ადგილობრივ ბაზარზე დომინირების ხარისხით – 119-ზე. რეგიონისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს ყველაზე ცუდი მაჩვენებელია.

შეღავათიანი აბროკრედიტი ინკუბატორს

შეღავათიანი აბროკრედიტის პროექტის ფარგლებში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ კრწანისში კომპანია „საბუდარი“ დაფინანსდა. საწარმომ 535 ათასიანი აშშ დოლარის სესხით ინკუბატორისა და საკვების საწარმოს მშენებლობა-გადაიარაღება დაასრულა და მარცვლეულის გადამუშავება დაიწყო. კომპანიაში აცხადებენ, რომ მათი წარმოების საჩეკმა კვერცხმა იმპორტი ნაწილობრივ ჩაანაცვლა და საწარმომ ექსპორტზეც დაიწყო მუშაობა.

წლებულს უმუშევრობა შემცირდება

უმუშევრობის დონე საქართველოში 2014 წელს 13,7%-მდე შემცირდება, - ვარაუდობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO). ორგანიზაციის გათვლებით, შარშან ეს მაჩვენებელი 14,32%-მდე აღწევდა, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სომხეთის (18,64%) შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. მესამე ადგილზე დაუსაქმებლების რაოდენობით ლიტვაა (12,12%). 10-10%-იანი უმუშევრობის დონე აღინიშნება ლატვიაში, უზბეკეთში,

ახალი ეკონომიკური THE NEW ECONOMIST

ტაჯიკეთსა და თურქმენეთში. საქართველოსთან შედარებით, თითქმის ორჯერ დაბალია უმუშევრობის დონე უკრაინასა (7,89%) და ყირგიზეთში (7,9%); 5-6%-ის ფარგლებში მერყეობს რუსეთში, ბელარუსიაში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი 2000 წელსთან შედარებით

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ახორციელებს სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) განგარიშებას 1992 წლიდან. ინდექსის მეშვეობით ხდება ქვეყნის სამომხ-

მარებლო ფასების საერთო დონის ცვლილების გაზომვა.

ბოლო წლების განმავლობაში სასურსათო საქონელზე ფასები 1,8-ჯერ უფრო სწრაფად იზრდებოდა დანარჩენი სამომხმარებლო დოვლათის ფასებთან შედარებით.

ბოლო 11 წლის განმავლობაში სურსათზე ფასების მატებაზე მოდიოდა ინფლაციის 4/5-ზე მეტი (82%).

2012 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსმა, 2000 წელთან შედარებით, 203 ერთეული შეადგინა, ხოლო 2013 წელს ეს მაჩვენებელი 210 იყო.

„ეკონომიკისტი“ ქართულ ჟურნალ-გაზეთებსა და სხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა შატელაძემ

საქართველოს წყლის რესურსების ეკოლოგიური და ბარემოს ღაცვითი პრობლემა



დავით გუშელაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი



სოლომონ კავლიაშვილი
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

საქართველო საკმაოდ მდიდარია წყლის რესურსებით. თუმცა ზედაპირული წყლების დიდი ნაწილი და რიგ შემთხვევაში მიწისქვეშა წყლებიც დაბინძურებულია. ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების ხარისხის/სისუფთავის კონტროლი ფრაგმენტურ ხასიათს ატარებს, რაც მათი მეტ-ნაკლებად სანდო შეფასების საშუალებას არ იძლევა. თუმცა ირიბი მონაცემები (მდინარეებში და სხვა წყალსატევებში ჩაშვებული დამბინძურებელ ნივთიერებათა ოდენობა და წყლისმიერი დაავადებების დინამიკა) საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ წყლის ხარისხი როგორც სასმელი წყლის სისტემებში, ასევე ბუნებაში ხშირად არაადაამაკმაყოფილებელია.

ადამიანის სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საქმიანობა მკვეთრად აისახება დიდი და მცირე მდინარეების წყლის ხარისხზე. გამწმენდი ნაგებობების ეფექტიანი მუშაობის შემთხვევაშიც კი, მათში ხვდება დიდი რაოდენობით ორგანული ნივთიერებები, მიკრობული და პარაზიტული ბუნების დამაბინძურებლები, რომელთა განზავების შესაძლებლობა დაბალია. ეს შესამჩნევად თრგუნავს წყლის თვითგამწმენდის უნარსა და სანიტარიულ რეჟიმს, აფერხებს მთელ რიგ პროცესებს და აუარესებს წყლის ხარისხს. ამიტომ ზედაპირული წყლების რესურსების რაციონალურ გამოყენებას, წყლის ხარისხის დაცვასა და შენარჩუნებას დიდი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური მნიშვნელობა ენიჭება.

აღსანიშნავია, რომ მცირე ზომის წყლის ობიექტებისათვის განსაკუთრებით სახიფათოა საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ნახმარი წყლები.

მცირე ზომის წყლის ობიექტები ხშირად გამორჩენილია სახელმწიფო მონიტორინგის სისტემიდან ან არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ასევე არ არსებობს მათი სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყლის ხარისხის ჰი-

გიენური ნორმირებისათვის სრულყოფილი მეთოდოლოგიური ბაზა. მათი დაცვა რთული და მრავალმხრივი საქმეა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

განსაკუთრებით საგანგაშოა პატარა მდინარეების გამოყენების მდგომარეობა, რომლებიც ჰიდროგრაფიული ქსელის ძირითად ნაწილს შეადგენენ და იძლევიან ქვეყნის წლიური ჩამონადენის 75%-ს. მათგან წყლის შეფარდებითი ალბა გაცილებით მაღალია, ვიდრე დიდი მდინარეებიდან.

დაახლოებით მილიარდი კუბური მეტრი წყალი ყოველწლიურად გამოიყენება სარწყავად, სასმელად და სამრეწველო საჭიროებებისათვის. გარდა ამისა, მტკნარი წყლის ობიექტები გამოიყენება საბანაოდ და სარეკრეაციო მიზნებისათვის, აგრეთვე თევზრეწვისა და სათევზე მეურნეობებისათვის.

მდინარეებში წყალი ინტენსიურად ჭუჭყიანდება სამრეწველო ობიექტებიდან, მეცხოველეობის ფერმებიდან, დასახლებული პუნქტებიდან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან შხამ-ქიმიკატებისა და სასუქების შემცველი ნიაღვრული ჩამონადენით. ამიტომ, წყლის ხარისხი ზედაპირული წყლის პრაქტიკულად ყველა ობიექტში

სახალი მეცნიერება THE NEW ECONOMIST

არასაიმედო და ხშირად არ არის უსაფრთხო როგორც ეკონისტიკისათვის, ასევე ადამიანთა ჯანმრთელობისათვის. არსებობს ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკი ბანაობისას, ბევრი ობიექტი ვიზუალურად იმდენად დანაგვიანებულია, რომ ბანაობის ან სარეკრეაციო მიზნებისათვის გამოუდგარი, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი სტრატეგიული დარგის, ტურიზმის განვითარების პოტენციალს (მათ შორის თბილისის).

მცირე ზომის წყლის ობიექტები ხშირად გამორჩენილია სახელმწიფო მონიტორინგის სისტემიდან ან არ ექცევა სათანადო ყურადღება.

ასევე არ არსებობს მათი სანიტარიულ-ეკოლოგიური მდგომარეობისა და წყლის ხარისხის ჰიგიენური ნორმებისათვის სრულყოფილი მეთოდოლოგიური ბაზა. მათი დაცვა რთული და მრავალმხრივი საქმეა, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

ზედაპირული წყლების დაბინძურება განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორებით. მათგან ძირითადს განეკუთვნება:

- წყალსატევებში გაუსუფთავებელი (გაუწმენდავი) ჩამდინარე წყლების ჩადინება;
- გამოყენებული შესაწამლი ქიმიკატების ჩარეცხვა ჭარბი ნაღებებისას;
- აირკვამლიანი გამონატყორცნები;
- ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გაჟონვა.

ყველაზე დიდი ზიანი წყალსატევებისა და წყალნაკადებისათვის მოაქვს გაუწმენდავი საწარმო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვებას. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები დიდი რაოდენობით ჩამოედინება საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობებიდან. ასეთი სახის ჩამდინარე წყლებში ჭარბობს სხვადასხვა ორგანული ნაერთები, ასევე მიკროორგანიზმები, რაც ბაქტერიულ დაბინძურებას იწვევს.

საქართველო უაღრესად მდიდარია ზედაპირული მტკნარი წყლებით. საქართველოს მდინარეების ჯამური წლიური ჩამონადენი 65,8 კმ³-ს შეადგენს, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე ფორმირებული ჩამონადენი – 56,5 კმ³-ს შეადგენს.

ზედაპირული წყლის რესურსების განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე არათანაბარია: დასავლეთი საქართველოს მდინარეების (შავი ზღვის აუზი) ჯამური წლიური ჩამონადენი 49,7 კმ³-ს (ანუ 75%-ს) შეადგენს, აღმოსავლეთი მდინარეების (კასპის ზღვის აუზი) კი – 16,1 კმ³-ს

(ანუ 25 %-ს) შეადგენს.

სულ საქართველოში 26 060 მდინარეა, მათ შორის 99,4% - მცირე მდინარეებია (სიგრძე 25 კმ-ზე ნაკლები). ჰიდროლოგიურად შესწავლილია 555 მდინარე შავი ზღვის აუზში და 528 მდინარე კასპის ზღვის აუზში.

საქართველოში ბევრია ბუნებრივი ტბა (სულ 860, ჯამური ფართობით 170 კმ²), 43 წყალსაცავი, აქედან 35 – კასპის ზღვის აუზში (ჯამური მოცულობით 1703,8 მლნ.მ³) და 8 – შავი ზღვის აუზში (ჯამური მოცულობით 1471 მლნ.მ³).

საწარმოო ძალების განლაგებისას წყლის ფაქტორის არასრულყოფილი გათვალისწინება იწვევს საქართველოს ძირითადი მდინარეების არათანაბარ დატვირთვას. ასე მაგალითად, საქართველოს საზღვრებში მდ. მტკვრის აუზში, რომელზედაც მოდის რესპუბლიკის წყლის რესურსების 25%, კონცენტრირებულია მსხვილი სამრეწველო საწარმოები და სარწყავი ფართობები, რაზეც წლების განმავლობაში იხარჯება ქვეყანაში გამოყენებული წყლის რესურსების 80%-ზე მეტი. ამასთან დაკავშირებით გაიზარდა წყლის ობიექტების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედება.

ზედაპირულ წყლებს იცავენ გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისაგან და დაშრეტისაგან. დანაგვიანების აღსაკვეთად გამოიყენება ღონისძიებანი, რომლებიც კრძალავენ ზედაპირულ წყალსატევებსა და მდინარეებში სხვადასხვა მყარი ნარჩენებისა და სხვა საგნების მოხვედრას. ზედაპირული წყლების დაშრეტის აღკვეთა ხდება წყლის მინიმალურად დასაშვები ჩადინების კონტროლით.

საქართველოში დაფიქსირებულია 750 დასახელების მიწისქვეშა სასმელი მინერალური წყალი. საქართველოს მიწისქვეშა ჰიდრორესურსებიდან წარმოშობილი მინერალური წყლების პრიორიტეტულობას განსაზღვრავს რესურსების ბუნებრიობა, სიუხვე, სტაბილურობა, არასეზონურობა და მაღალი ხარისხი. საქართველოში 700-მდე მიწისქვეშა მინერალური გრუნტის წყალია აღწერილი, მათ შორის განსაკუთრებული მინერალიზაციის და თვისებების მქონე წყლები.

მიწისქვეშა წყლების დაცვის ძირითადი ღონისძიებები მდგომარეობს მათი მიწისქვეშა მარაგის დაშრეტისა და დაჭუჭყიანების აღკვეთას. ზედაპირული წყლების მსგავსად ეს დიდი და რთული პრობლემაა, რაც შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ მთლიანი გარემომცველი გარემოს კომპლექსური დაცვით.

მტკნარი სასმელი მიწისქვეშა წყლების დაშრეტის აღსაკვეთად გათვალისწინებულია სხვადასხ-



ვა ღონისძიებები: მიწისქვეშა წყლების წყალადუბის რეკონსტრუქციის რეგულირება; წყალამღებების რაციონალური განლაგება მთელ ფართობზე; საექსპლუატაციო მარაგის რაოდენობის განსაზღვრა, როგორც მათი რაციონალური გამოყენების ზღვარი და სხვ.

მიწისქვეშა წყლების დაშრეტის აღკვეთასთან დაკავშირებით სულ უფრო ხშირად იყენებენ მისი მარაგის ხელოვნურ შევსებას ზედაპირული წყლების ინფილტრაციით წყლის ფენებში. მიწისქვეშა წყლები ამით დებულავენ დამატებით კვებას, რაც საშუალებას იძლევა გავზარდოთ წყალადუბის წარმადობა მიწისქვეშა წყლების დაშრეტის გარეშე.

მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების საწინააღმდეგო ღონისძიებები იყოფა ორ ჯგუფად: პროფილაქტიკური და სპეციალური. სპეციალური ღონისძიებების ამოცანაა გაჭუჭყიანების წყაროს ლიკვიდაცია ან ლოკალიზება.

პროფილაქტიკური ღონისძიებები წარმოადგენენ მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის ძირითად საშუალებებს. ეს უპირველესად მოიცავს ჩამდინარე წყლების გაწმენდას, რითაც აღიკვეთება ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურება.

მიწისქვეშა წყლების გაჭუჭყიანების აღკვეთის მნიშვნელოვანი ღონისძიებებია სანიტარიული ზონების მოწყობა წყალადუბის რაიონების ირგვლივ.

საქართველოს კანონმდებლობით ზედაპირული მტკნარი წყლის დაცვის მიზნით იქმნება წყალდაცვითი ზოლები და სანიტარიული დაცვის ზონები.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად იმ წყლის დაცვის მიზნით, რომელსაც იყენებენ სასმელად, საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალმომარაგებისათვის, სამკურნალოდ და საკურორტო საჭიროებისათვის, იქმნება სანიტარიული დაცვის ზონები.

წყალმომარაგების წყლის ობიექტების სანიტარიული დაცვის ზონა იყოფა სამ სარტყელად და თითოეულ მათგანს განსაკუთრებული რეჟიმი აქვს.

ზედაპირული წყლების დაცვის მხრივ საყურადღებოა მათი მინიმალურად დასაშვები ჩამონადენის შემცირება, რაც მტკნარი წყლის დეფიციტს იწვევს. ეს გამოწვეულია წყლის გაჭუჭყიანებით, წყალსატევების თვითგასუფთავების უნარის შემცირებით, მიწისქვეშა წყლის მარაგის შემცირებით, წყაროების ჩამონადენი წყლის შემცირებით.

სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს მცირე მდინარეების (100 კმ-მდე სიგრძის) წყალუხვობისა და სისუფთავის აღდგენა რაც მდინარეთა ეკოსისტემის ძირითად რგოლს წარმოადგენს. განსაკუთრებით მცირე მდინარეები აღმოჩნდნენ ყველაზე მგრძობიარენი ანთროპოგენური ზემოქმედების მიმართ.

მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლებისა და წყლის სხვა ობიექტების ბუნებრივი რეჟიმის შენარჩუნების მიზნით, ნიადაგის წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების მოწამვლის, წყლის ცხოველთა საბინადრო გარემოს გაუარესების თავიდან ასაცილებლად, წყლის ჩამონადენის ცვალებადობის შესამცირებლად და სხვა, იქმნება წყლის დამცავი ტყის ზონები აგრეთვე ტარდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ჰიდროტექნიკური და სხვა ღონისძიებები საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

წყალდაცვითი პრობლემების რიგში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სასმელი წყალმომარაგებისათვის ზედაპირული წყლების გაუვნებელოფისა და გაწმენდის ეფექტიური მეთოდების დამუშავება და დანერგვა. სასმელი წყლის არასაკმარისი გასუფთავება სახიფათოა როგორც ეკოლოგიური, ასევე სოციალური თვალთახედვით.

ეროზია - ნიადაგის ზედაპირული ფენის დაშლა ნალექებისა და ქარის მოქმედების შედეგად. ნიადაგიდან გადაიტანება, პირველ რიგში, მისი უფრო მცირე ნაწილაკები, რის შედეგადაც თავისი შემადგენლობით იგი ხდება უფრო უხეში, ქვიშიანი, ქვიანი. არჩევნ წყლის მიერ გამოწვეულ და ქარისმიერ ეროზიას (დეფლიაციას). წყლისმიერ ეროზიას ძირითადად ადგილი აქვს ციცაბო ფერდობებზე, სადაც ჩამოედინება წვიმისა და ნადნობი წყალი, დეფლიაციას ადგილი აქვს რელიეფის ნებისმიერ ტიპზე, მათ შორის ვაკეზე.

ეროზიის დროს ნიადაგში მცირდება აზოტისა და მცენარის მიერ შეთვისებადი ფოსფორისა და კალიუმის ფორმების შემცველობა, ასევე იცვლება მიკროელემენტების (იოდი, სპილენძი, თუთია, კობალტი, მანგანუმი, ნიკელი, მოლიბდენი) შემცველობა, რაზედაც დამოკიდებულია როგორც ნიადაგის მოსავლიანობა, ასევე მოსავალის ხარისხი. ნიადაგში ზოგიერთი მიკროელემენტის არასაკმარისი შემცველობა იწვევს სხვადასხვა დაავადებებს ადამიანსა და ცხოველებში.

ეროზია ხელს უწყობს ნიადაგის გამოშრობის მოვლენას. ცუდი ფიზიკური თვისებების ნიადაგი ზრდის ტენის დაკარგვას აორთქლებისა

და ტრანსპირაციის ხარჯზე, ამიტომ, ეროზიულ რაიონებში გამოვლენილ გამოგვაღვას ხშირად „ეროზიულ გამოგვაღვასაც“ უწოდებენ.

ეროზიისაგან თავის დასაცავად იქნება ნიადაგის დამცავი ტბის ზოლები, მიმართავენ ძლიერ ციკაბო ფერდობების დატერასებას, ხდება ნიადაგების რეკულტივიზაცია.

ნიადაგების დამლაშება - მარილების კონცენტრაციის ზრდა ნიადაგში, რაც საბოლოო ჯამში ხელს უშლის მცენარის ზრდას. ეს მოვლენა შეიძლება განვითარდეს ხშირი მორწყვის შედეგად და წარმოადგენს ნიადაგების გაუდაბნოების ერთ-ერთ მიზეზს. ხელოვნური მორწყვის დროს რაიონებში გამოიყენება წყალი, რომელიც შეიცავს გახსნილ მარილებს. ცუდი დრენაჟის დროს ეს მარილები რჩება ნიადაგში და უარყოფითად მოქმედებს მცენარეებზე.

ნიადაგის დამლაშების დროს მარილები უნდა გამოირეცხოს ფესვთა ზონებიდან ჭარბი წყლით, მაგრამ ხშირად ამ მიზნით გამოყენებული მორწყვა კიდევ უფრო აღრმავებს დამლაშებას.

გაუდაბნობა - პროცესი, რომლის დროსაც ქვეითდება მიწის პროდუქტიულობა ტყეების განადგურების, ნიადაგების დაჭაობებისა და დამლაშების, ნიადაგის მკვებავი ფენის დაშლისა და მიწის არარაციონალური გამოყენების გამო.

ნიადაგების გაუცხოება ხდება ქალაქების, დასახლებების, გზების, მილგაყვანილობის, კარიერების, წყალსატევების, ნაგავსაყრელების მშენებლობის გამო.

ნიადაგების დაცვა პროგრესირებადი ანთროპოგენური დეგრადაციისაგან. ნიადაგების დაცვის ძირითად საკითხებს წარმოადგენს:

- ნიადაგების დაცვა წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან;
- დათესვის ბრუნვისა და ნიადაგების დამუშავების სისტემის ორგანიზება;
- მელიორაციული ღონისძიებები (ბრძოლა დაჭაობების, ნიადაგების დამლაშების წინააღმდეგ და სხვ.);
- დაზიანებული ნიადაგური საფარის რეკულტივაცია;
- ნიადაგების გაჭუჭყიანებისაგან, სასარგებლო ფლორისა და ფაუნის განადგურებისაგან დაცვა;
- სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მიწების უსაფუძვლო ამოდების აღკვეთა.

ნიადაგების დაცვა ეროზიისაგან. ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგოდ აუცილებელია შემდეგი კომპლექსური ღონისძიებები: მიწისმოწყობის, აგროტექნიკური, ტყე-მელიორაციული და ჰი-

დროტექნიკური. ამასთან გაითვალისწინება, რომ ჰიდროტექნიკური ღონისძიება განსაზღვრულ ტერიტორიაზე ეროზიის განვითარებას აჩერებს მისი მოწყობისთანავე, აგროტექნიკური - მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ხოლო ტყე-მელიორაციული - მისი დახერგვიდან 10-20 წლის შემდეგ.

ძლიერ ეროზირებული ნიადაგების აღსადგენად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებები: დაზოლილი მიწათმოქმედება ე.ი. ტერიტორიის ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც ველების სწორხაზოვანი კონტურები ენაცვლება ნიადაგ-დაცვით ტყის ზოლებს, ნიადაგდაცვითი თესვით-ბრუნვა (ნიადაგების დეფლიაციისაგან დასაცავად), სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ღონისძიებები (არხების, ტერასების, წყალგამყვანი ნაგებობებისა და სხვ.) მოწყობა და ა.შ.

ნიადაგების დაჭაობებასთან საბრძოლველად (საკმარისი ან ზედმეტი დატენიანების რაიონებში) წყლის მიმოცვლის ბუნებრივი რეჟიმის დარღვევას, გამოიყენებენ სხვადასხვა გამშრობ მელიორაციას. დაჭაობების მიზეზებიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს გრუნტის წყლების დონის შემცირება დრენაჟის დახმარებით, დამბების მშენებლობა და მდინარის კალაპოტის შეცვლა (დატბორვის თავიდან ასაცილებლად), კლდეების ატმოსფერული წყლების შებოჭვა და გადასროლა და სხვ. ამასთან, დიდი ფართობების ზედმეტმა გამომშრობამ შეიძლება გამოიწვიოს არსასურველი ცვლილებანი ეკოსისტემაში: ნიადაგების ზედმეტი გამომშრობა, მათი დეგუმფიკაცია და დეკალცინირება, მცირე მდინარეების შრობა, ტყეების გახმობა და სხვ.

ნიადაგების მეორადი დამლაშების აღსაკვეთად აუცილებელია დრენაჟების მოწყობა, წყლის მიწოდების რეგულირება, მაქსიმალურად გამოვიყენოთ წვიმით მორწყვა, სარწყავი არხების ჰიდროლოგიის სამუშაოების ჩატარება და სხვ.

პესტიციდებითა და სხვა მავნე ნივთიერებებით ნიადაგის გაჭუჭყიანების აღსაკვეთად გამოიყენებენ მცენარეთა დაცვის ეკოლოგიურ მეთოდებს (ბიოლოგიურ, აგროტექნიკურ და სხვ.), ამადლებენ ნიადაგის თვითგასუფთავების ბუნებრივ უნარს, არ გამოიყენებენ განსაკუთრებულად საშიშ და მდგრად ინსექტიციდურ პრეპარატებს და სხვ. მაგალითად, ფართოდ გამოიყენება აგროსისტემაში სხვადასხვა მტაცებელი მწერების (მაგ, ჭიანჭველების) შეყვანა და მოშენება (ბიოლოგიური დაცვა), ასევე გამოიყენებენ პრეპარატებს, რომლებიც შეიცავენ მავნებლების დამაავადებელ ბაქტერიებს. მავნე სახეობების გავრცელებასთან საბრძოლველად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭი-



რა ბიოტექნოლოგიამ, კერძოდ გენეტიკურმა მეთოდმა, რომელიც დაფუძნებულია გარემოში გენეტიკურად მახინჯი შთამომავლობის მომცემი დედალი-მავნებლების გაშვებაზე, რის შედეგადაც პოპულაციის რიცხოვნობა მკვეთრად იცვლება. ამ შემთხვევაში დაცვის ქიმიური მეთოდების გამოყენება მკვეთრად მცირდება.

რეკულტივაცია - ხორციელდება დაზიანებული ტერიტორიების აღსადგენად და მიწის ნაკვეთების მოყვანა ეკოლოგიურად უსაფრთო მდგომარეობაში. მიწების დაზიანებისას ისინი კარგავენ საწყის მნიშვნელობას და უარყოფითად ზემოქმედებენ გარემოზე. რეკულტივაციის ობიექტებს განეკუთვნებიან:

- კარიერული ამოთხრა, ტერიკონები, საყრდენები, საყარი ღრმულები და სხვ.
- მიწები, რომლებიც ზიანდება სამშენებლო მრეწველობისას;
- მყარი ნარჩენების პოლიგონების ტერიტორია;
- მიწები, რომლებიც დაზიანებულია თხევადი და აბრეკანი ნარჩენებით (მიწების ნავთობდამბინძურება და სხვ.).

ამ მხრივ გამოირჩევა, ბიოლოგიურ და სამშენებლო რეკულტივაცია.

ტექნიკური რეკულტივაცია – დაზიანებული ტერიტორიების წინასწარი მომზადება. სამუშაოების შედეგნილობაში შედის: ზედაპირების დაგეგმვა, მოსავლიანი ნიადაგის მოჭრა, ტრანსპორტირება და შეტანა სარეკულტივაციო მიწებში, მიწების ნაკვეთების მომზადება.

ბიოლოგიური რეკულტივაცია ტარდება ტექნიკური რეკულტივაციის შემდეგ. მომზადებულ ნაკვეთებზე ირგვება მწვანე ნარგავები, იქმნება ფლორისა და ფაუნის განვითარების პირობები, მარდება ნაყარ გრუნტი და ხდება მისი დაცვა ეროზიისაგან.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, რომლის ფართობია 69,7 ათასი კმ2.

მიწის საერთო რესურსიდან:

სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი შეადგენს – 3 023 000 ჰა, მათ შორის:

- საკარმიდამო მიწები – 20 000 ჰა;
- სახნავი – 800 000 ჰა;
- სათიბები – 143 000 ჰა;
- მრავალწლიანი ნარგავები – 265 000 ჰა;
- საძოვრები – 1 795 000 ჰა

არასასოფლო-სამეურნეო მიწები - 900 000 ჰა:

- საცხოვრებელი ფართის ქვეშ არსებული მი-

წები – 90 000 ჰა;

- საწარმოო/ურბანული მიწები – 635 000 ჰა;
- სახ. დაწესებულებების და კომუნიკაციების ქვეშ არსებული მიწები – 175 000 ჰა

ნიადაგის დაცვის პრობლემა დიდ მნიშვნელობას იძენს მცირემიწიანი ქვეყნისათვის, სადაც ეროზიული პროცესების, ნიადაგის გაჭუჭყიანების და დანაგვიანების, მეორადი დაჭაობებისა და დამლაშების, სასარგებლო წიაღისეულის და საშენი მასალების ღია წესით მოპოვების, ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედების შედეგად დიდია ნიადაგის დანაკარგები.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქვეყანაში მთელი რიგი წლების განმავლობაში მოსახლეობის სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისა და სანიტარიის სფეროში ვერ მოიხსნა ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორებიცაა: წყალმომარაგების სისტემების მილსადენებისა და გამანაწილებელი ქსელების დაბალი სანიტარიულ-ტექნიკური საიმედოობა, სასმელი წყლის დეფიციტი, სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლების ანთროპოგენული დაბინძურება და სხვა, რის გამოც ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი ვერ ღებულობს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებით გათვალისწინებული ხარისხიანი სასმელი წყლის რაოდენობას.

უკანასკნელ წლებში ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა სამრეწველო საწარმოების მიერ გარემოს ობიექტების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურება, მათ შორის ჩამდინარე სამრეწველო წყლებით. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ რაიონებში წყლის ხარისხი არ შეესაბამება და მომავალშიც, იმის გამო, რომ მთელი რიგი ქიმიური ნივთიერებები, მათ შორის ნიტრატები, მეტ-ნაკლები ინტენსივობით მუდმივად იმყოფებიან გრუნტის წყლებში, უნდა ვივარაუდოთ, რომ არ იქნება შესაბამისობაში ნორმატიულ მოთხოვნებთან. გარდა ამისა, ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში არ გამოირიცხება ნიტრატების შემცველი სასუქების გამოყენების მასშტაბების გაფართოება.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს ევროკავშირის ქვეყნებს და მათი გამოცდილების გაზიარება ხელს შეუწყობს საქართველოში გარემოს დაცვითი ღონისძიებების ეფექტური ღონისძიებების გატარებას და ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის წარმოებას.

ბასოქმენეპულო ლიტერატურა:

1. Ecotourism A Sustainable Option? Erlet Cater, Univeristy of Reading, UK 2009
4. Ceballos Lascurain, H., 2012, Tourists for conservation, People and the Planet
5. Butler, R., 2010, The concept of a tourism area cycle of evolution, Canadian Geographer
6. Steele, P., 2012, The economics of eco systems, In Focus
7. Drake, S. P., 2012, Local participation in ecotourism projects, in Whelan, T. (ed.) Nature Tourism, Island Press, Washington.

The ecological and environmental problems of the
water resources of Georgia

David Gubeladze
Professor
Solomon Pavliashvili
Professor

Georgia is rich with water resources. However, in certain circumstances, groundwater and surface waters are too polluted. Surface and groundwater quality / purity pragmentur character that will help them more - or less reliable can not be evaluated. However, indirect data (rivers and the amount of substances which pollute water and the dynamics of water diseases) allows to conclude that the water quality of the drinking water systems, as well as the nature is often unsatisfactory.



საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე ტენდენციები
მსოფლიოსა და საქართველოში

ნინელი თევდორაშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტე-
ტის ასოცირებული პროფესორი

ლია პიტიურიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტე-
ტის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ამოცანებსა და პრობ-
ლემებზე მსოფლიო მასშტაბით და საქართველოში. გაანალიზებულია საქართველოს საერთაშორ-
ისო ვაჭრობის მდგომარეობა, ექსპორტის და იმპორტის ხვედრითი წილის თანაფარდობები, მსხ-
ვილი სავაჭრო პარტნიორების ექსპორტ იმპორტზე მდგომარეობა. სტატიაში გამოთქმულია რამდენიმე
პრაქტიკული სახის წინადადება ამ სფეროს მოწესრიგების პროცესისთვის.

საერთაშორისო ვაჭრობა თანამედროვე პერი-
ოდში უდიდეს გავლენას ახდენს საერთაშორისო
ეკონომიკურ ურთიერთობებზე. იგი თანდათან
იძენს მშვიდობის ფაქტორის მნიშვნელობას. თან-
ამედროვე, ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში
საბაზრო ეკონომიკა საერთაშორისო ვაჭრობას
კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის. საერთაშორ-
ისო ვაჭრობის არსის და მისი ბუნების ახსნას
ორი ერთმანეთისგან განსხვავებული თეორია
ცდილობს, რომელთაგან ერთი ეფუძნება ლიბერ-
ალურ ტრადიციებს (ჰექშერ-ოლინ-სამუელსონი),
ხოლო მეორე - ნაციონალისტურს. ეს თეორიები
განსხვავებულად ხსნიან საერთაშორისო ვაჭრო-
ბის მიზეზებს, მიზნებს და შედეგებს. ლიბერალე-
ბი აღიარებენ ვაჭრობის ღია სისტემას, კანონიერ-
ების დაცვით. მათი აზრით, თავისუფალი ვაჭრობა
მომგებიანია მასში მონაწილე ყველა მხარისათ-
ვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა მხარე
თანაბრადაა მოგებული ამ პროცესში. ზოგიერთი
ეკონომისტი აღნიშნავს, რომ თავისუფალი ვაჭრო-
ბის დასაცავად მთავარი არგუმენტი არა მოგებ-
ის თანაბარი განაწილებაა, არამედ მაქსიმალური
ეფექტიანობა და მსოფლიო სიმდიდრის გაზრდა,
რაც ჩვენი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი მოვ-
ლენაა. შრომის საერთაშორისო დანაწილება
ზრდის ინდივიდუალურ პროდუქტიულობას, რაც
ხელს უწყობს ეროვნული და მსოფლიო სიმ-

დიდრის შექმნას. თავისუფალ ვაჭრობას სარგე-
ბელი მოაქვს სხვა ხალხებისათვისაც. ვაჭრობა
აძლევს უფლებას ქვეყნებს მიაქციონ ძირითადი
ყურადღება იმ საქონლის წარმოებას და მომსახ-
ურებას, რომელთა მაღალი ხარისხიც შეუძლიათ
უზრუნველყონ ამ ქვეყნებმა მაქსიმალური ეფექ-
ტურობით და ისინი ამალღებენ მსოფლიო თან-
ამეგობრობის საწარმოო სიმძლავრეებს. ვაჭრობის
ღია სისტემა მოითხოვს, რომ ქვეყნებმა მკაცრად
დაიცვან კანონიერების საზღვრები და მოახდი-
ნონ ერთმანეთის ბაზრებზე (დისკრიმინაციისაგან
თავისუფალი) შესვლა. უკანასკნელ პერიოდში
თავისუფალ სავაჭრო პოლიტიკაში განჩნდა (ტარ-
იფებისა და არასატარიფო შეზღუდვების ლიბერ-
ალიზაციის გზის გარდა) საერთაშორისო სავაჭ-
რო ორგანიზაციის მოთხოვნილება, რომ ყველა
ქვეყნის სავაჭრო კანონმდებლობა და სავაჭრო
პოლიტიკა იყოს გამჭვირვალე და კონკურენცი-
აში მონაწილეობისათვის ყველას უნდა ჰქონდეს
თანაბარი შანსები.

საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალური თე-
ორიის მოწინააღმდეგენი კი ამტკიცებენ, რომ
თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მხოლოდ
განვითარებული ქვეყნებისათვის, რომელთა
ეკონომიკა არ არის დამოკიდებული ერთ რომე-
ლიმე სექტორზე. ეკონომიკურად დაბალგანვი-
თარებული ქვეყნებისათვის კი - პროტექციონ-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

იზმი უფრო მომგებიანი და მიზანშეწონილია. თუმცა, ეკონომისტთა უმრავლესობა თვლის, რომ პროტექციონიზმის პოლიტიკა უფრო მეტად აღაზრდებს, და არა აძლიერებს ქვეყნებს. მიუხედავად ამისა, მსოფლიო პრაქტიკა პროტექციონიზმის პოლიტიკას არ უარყოფს და ზოგჯერ წარმატებითაც იყენებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია „ახალგაზრდა დარგების“ ან „ახალგაზრდა სახელმწიფოს“ საერთაშორისო დაცვა. მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტები ჟოზეფ სტიგლიტის და ენდრიუ ჩარლტონი აღნიშნავენ, რომ მიმდინარე სავაჭრო წესები ბაზრის სიმეტრიულად არაა და მსოფლიოს პატარა ქვეყნების საწინააღმდეგოდაა მიმართული.

კატონის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი პალმერი აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო ვაჭრობა, სადაც გარკვეული გაგებით ყველა იგებს, მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვიდობასთან. ადამიანები სხვა ადამიანებს უყურებენ, როგორც პარტნიორებს ორივე მხარისთვის მომგებიან ურთიერთობაში და არა როგორც მტრებს, შესაძლებელი ხდება მშვიდობიანი და ადამიანური ურთიერთობების დამყარება. კაცობრიობის ცივილიზაციას საფუძვლად ხომ ვაჭრობა უდევს.“

საქართველოს მცირე ზომის შიდა ბაზარი აქვს და ამიტომ მისი ეკონომიკური ზრდა დიდადაა დამოკიდებული საგარეო მოთხოვნაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიულ კურსს წარმოადგენს ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკა, რაც (უფრო ზუსტად) გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟიმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საპროცენტო ტარიფებს და მინიმალურ არასატარიფო რეგულირებას, რაც ჩვენი შეხედულებით, ზოგჯერ საკუთარი მეწარმეების დაუცველობას და არაჯანსაღ კონკურენტულ გარემოს აყალიბებს. საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 1999 წელს გახდა. ამ დროიდან მოყოლებული, იგი აღიარებს იმ ძირითად პრინციპებს და ფუნქციებს, რასაც ეს ორგანიზაცია ახორციელებს. ორგანიზაციის საქმიანობას საფუძვლად უდევს სამი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელსაც მისი წევრები აღიარებენ:

1. გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფების შესახებ;
2. გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ;
3. შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების სავაჭრო ასპექტების შესახებ;

ამ ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, და სხვა კანონქვემდებარე საერთაშორისო აქტების შედეგად საქართველოში მოქმედებს შემდეგი სავაჭრო რეჟიმები:

- უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, რაც გულისხმობს ვაჭრობის მსოფლო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან ვაჭრობა ხელშეწყობის რეჟიმში მოახდინოს.

- პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა. ეს გულისხმობს ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტულ საქონელზე საბაჟო საიმპორტო ტარიფების შემცირებული განაკვეთების დაწესებას, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნების საიმპორტო საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. საქართველოსთვის ეს სისტემა მეტად მისაღებია და ამიტომ იგი არის ევროკავშირის, აშშ-ს, იაპონიის, კანადის, შვეიცარიის და ნორვეგიის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის ბენეფიციარი.

- თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო საიმპორტო გადასახადებისაგან, (გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისისა). ასეთი მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმით საქართველო სარგებლობს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან, გარდა რუსეთის ფედერაციისა. რუსეთის ფედერაციასთან გასულ წელს განახლდა ორმხრივი სავაჭრო ხელშეკრულება, რომელიც ცნობილი პოლიტიკური მოვლენების შედეგად შეწყვეტილი იყო. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმიდან გარკვეული საქონლის ამოღებას. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული თურქეთთან.

ახალი სავაჭრო პერსპექტივები უჩნდება საქართველოს ევროკავშირთან. ევროკავშირსა და საქართველოს შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება სატარიფო და სასაზღვრო „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმს“ ითვალისწინებს. იგი გამორიცხავს მხარეთა ექსპორტის რაოდენობრივ შეზღუდვას და ხელმძღვანელობს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის, საქონლის თავისუფალი ტრანზიტის, დემპინგისა და ექსპორტის სუბსიდირების წესებით.

გამომდინარე აქედან საქართველომ თავისი სავაჭრო კანონმდებლობა უნდა მიუახლოვოს ევროკავშირის სავაჭრო კანონმდებლობას. საქართველოსა და ევროკავშირის ფირმები ისარგებლებენ მსგავსი საკანონმდებლო, ტექნიკური და სერთიფიცირების პირობებით. კერძოდ, ჰარმონიზებას ითხოვს შემდეგი კანონმდებლობა: საბაჟო



წესები, სამეწარმეო და საბანკო კანონმდებლობა, საბუღალტრო-საგადასახადო, ფინანსური მომსახურების წესები, კანონი კონკურენციის შესახებ, სახელმწიფო შესყიდვის წესები, გარემოს დაცვის რეგულირება, არაპირდაპირი დაბეგერის წესები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვის წესები და კანონები და ა. შ. ეს არის მთელი სპექტრი კანონმდებლობებისა, რომელიც საგარეო ვაჭრობის განხორციელებისას მოქმედებს.

2006 წლიდან რამდენადმე გადაიხედა და დაიხვეწა საიმპორტო ტარიფების განაკვეთები. 16 თანრიგიანი სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3-მდე, ხოლო ექსპორტი და რექსპორტი გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. საქართველოს კანონმდებლობით, საგარეო ვაჭრობაში არ არის გათვალისწინებული არასატარიფო შეზღუდვები. იმპორტის და ექსპორტის რეგულირება ხდება მცირე დასახელების პროდუქციისა და მასალაზე: ფიტოსანიტარული, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებზე, ვექტერინალურ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე, იარაღსა და საბრძოლო მასალებზე, სპეციალურ სამკურნალო საშუალებებზე, არაიოდიზირებულ მარილებზე.

2010 წლიდან საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა მსოფლიოს 140 ქვეყანასთან და ეს სია ყოველწლიურად იზრდება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უმეტეს სავაჭრო პარტნიორებთან უარყოფითი სავაჭრო სადღო აქვს. საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია თურქეთი, მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი, მესამეზე კი უკრაინა. ათეულში კი არიან: ჩინეთი, გერმანია, აშშ, ყაზახეთი, არაბთა გაერთიანებული ემირატები, სომხეთი...

2012 წელს საქართველოს საერთო სავაჭრო ბრუნვა შეადგენდა 10 219 564 ათას შშ. დოლარს. ექსპორტის მოცულობამ შეადგინა 2 377 455 ათასი აშშ. დოლარი, ხოლო იმპორტის - 7 842 109 ათასი აშშ დოლარი, რა თქმა უნდა ქვეყანას უარყოფითი სავაჭრო სადღო აქვს, კერძოდ, მთელ სავაჭრო ბრუნვაში 2012 წელს იმპორტის მოცულობა შეადგენდა 76,7 პროცენტს. ექსპორტითა დასკვნებით, ისეთი პატარა ქვეყანა, როგორც საქართველოა, სტაბილურად ვერ განვითარდება თუ ექსპორტის მაჩვენებელი არ გადააჭარბებს 40%-ს. როგორც ჩვენს მიერ მოტანილი მონაცემებიდან ირკვევა, 2012 წლისათვის ექსპორტის საერთო მოცულობამ მთლიან ბრუნვაში შეადგინა 30,3%, რაც საქსპერტო მაჩვენებელს საკმაოდ ჩამორჩება. საქართველოს საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფების მიხედვით ასე გამოიყურება:

ცხრილი 1
საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები ქვეყნების ჯგუფების მიხედვით (ათასი აშშ. დოლარი)

	2009 წ	2010 წ	2011 წ	2012 წ
ექსპორტი სულ	1133622	1677472	2189136	2377455
მ.შ. დსთ-ს ქვეყნები	416162	676673	1052742	1245777
შავი ზღვის აუზის ეკ. თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნები	697234	898156	1184651	1330543
ევროკავშირის ქვეყნები	237547	309513	424295	353068
ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნები	521245	741183	814192	789884
იმპორტი სულ	4500244	5257122	7057760	7842109
მ.შ. დსთ-ს ქვეყნები	1298324	1587618	1941586	1996598
შავი ზღვის აუზის ეკ. თანამშრომლობის ორგ. ქვეყნები	2288121	2620188	3553320	3761306
ევროკავშირის ქვეყნები	1335507	1467163	2053081	2427137
ეკ. თანამშრომ. და განვ. ორგ. ქვეყნები	2303230	2515635	3387515	3929816

წყარო: საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2013წ

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ირკვევა, საქართველოს მთლიანი სავაჭრო ბრუნვა ბოლო სამ წელიწადში სერიოზულად, ანუ თითქმის ორჯერაა გაზრდილი. განსაკუთრებით მისასაღებელია ის ფაქტი, რომ ამავე პერიოდში გაცილებით დაჩქარებული ტემპით იზრდებოდა ექსპორტი, ვიდრე იმპორტი. კერძოდ, ექსპორტის საერთო მოცულობა 2012 წლისათვის 2009 წელთან შედარებით გაზრდილია ორჯერ და მეტად. იგივე სურათია, ყველა ჩამოთვლილი ქვეყნების ჯგუფების მიხედვით, რაც კარგი მაჩვენებელია. აგრეთვე გაზრდილია იმპორტის მოცულობაც, როგორც მთლიანად, ასევე ცალკეული ჯგუფების მიხედვით. დღევანდელი მდგომარეობით კი, უკეთესი პერსპექტივები არსებობს საგარეო ვაჭრობის გაფართოების თვალსაზრისით. ევროკავშირის ბაზარი, მართალია ახალ მოთხოვნებს და სტანდარტებს მოითხოვს, მაგრამ პერსპექტივა უდავო ფაქტია, ასევე არ უნდა უგულვებელყოთ ჩვენი დამკვიდრება რუსულ ბაზარზე, რაც უზარმაზარი სიკეთის მომტანი ფაქტია. 2012 წელს საქართველოს ექსპორტის მოცულობამ

რუსეთის ბაზარზე შეადგინა 45 816 ათასი აშშ. დოლარი, რაც მთლიანი ექსპორტის მოცულობის 1.9%-ია. თუმცა, ეს მაჩვენებელი ჯერ კიდევ ძალიან დაბალია, თუ გავითვალისწინებთ წარსულის გამოცდილებას. საგარეო ვაჭრობის გასაფართოვებლად რუსეთის ფედერაციასთან, არა მარტო ექსპორტს უნდა მიექცეს ყურადღება, არამედ იმპორტის მოცულობასაც. ყურადსაღები ფაქტია, ამ მაჩვენებელმა იგივე 2012 წელს 473 797 ათასი აშშ. დოლარი შეადგინა, რაც საერთო იმპორტის 5,1%-ია. ჩვენის აზრით, იმპორტის ხვედრითი წილის ამაღლება გამოიწვევს ორმხრივ შედეგს ჩვენი ქვეყნისთვის, ერთის მხრივ გაიზრდება რუსული პროდუქცია ჩვენს ბაზარზე, რომელიც ჩვენი მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების ინტერესებში შედის, ექსპორტის გაზრდა კი მთელი ქვეყნისთვის დადებითი შედეგის მომტანია (თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო პერიოდში რუსეთის მიერ უკრაინის მიმართ განხორციელებული ქმედებებით გაღიზიანებული მრავალი ჩვენი თანამემამულის აზრით, რუსული პროდუქცია საერთოდ აღარ უნდა შევიძინოთ). რაც შეეხება თურქეთს, ამ ქვეყანასთან საქონელბრუნვის მაჩვენებელი საერთო ბრუნვაში შეადგენს 15%. ექსპორტის ხვედრითი წილი საერთო ექსპორტის მოცულობაში - 6%-ია, ხოლო იმპორტის - 17,8%. მეორე ადგილზე სავაჭრო პარტნიორებს შორის არის აზერბაიჯანი, ექსპორტის წილი ამ ქვეყანაში 2012 წელს 26,4% -ია, იმპორტის კი-8,1%-ია. მესამე დიდი პარტნიორი არის უკრაინა.

აღსანიშნავია აგრეთვე იმ ძირითადი საქონლის ნუსხა, რაც საქართველოს ექსპორტზე გადის, ესენია: საკვები პროდუქტები, ცოცხალი ცხოველები, სასმელები, თამბაქო, დაუმუშავებელი მასალები, მინერალური საწვავი, ცხოველური და მცენარეული ზეთები, ქიმიური პროდუქცია, ელექტროენერგია და სხვა. ამ ნუსხას სჭირდება შეესება ახალ-ახალი პროდუქციით, რომელმაც

უნდა დაიმკვიდროს საერთაშორისო ბაზრები; მუშაობა ამ მიმართულებით უნდა მომავალში კიდევ უნდა გააქტიურდეს.

როდესაც ექსპორტის ზრდა-განვითარებაზე ვლაპარაკობთ, საგულისხმოა შემდეგი მაგალითის მოტანა. პოლონეთი საქართველოს მსგავსად პოსტსოციალისტური ქვეყანაა. მიუხედავად ამისა, მან ისე შეძლო ეკონომიკის ტრანსფორმაცია, რომ ევროპის ერთ-ერთ უმსხვილეს ექსპორტიორ ქვეყნად იქცა. მან გასულ წელს 80 მილიარდ ევროს ღირებულებაზე მეტი საქონელი გაიტანა საექსპორტოდ, ანუ თითქმის 50-ჯერ მეტი, ვიდრე საქართველომ. საგულისხმოა ისიც, რომ საქონელი გაცილებით მეტი იყო გატანილი ევროკავშირში, ვიდრე რუსეთში, რაც მისი საექსპორტო პროდუქციის მაღალ ხარისხზე მეტყველებს.

იმპორტის მოცულობაში კი უმთავრესი ადგილი უჭირავს ნავთობს და ნავთობპროდუქტებს, მსუბუქ ავტომობილებს, ბუნებრივ აირს, ხორბალს, სამკურნალო საქონელს, გამოთვლით ტექნიკას და სხვა. ჩამოთვლილი საქონლის უმეტესობას საქართველოში ვერ ვაწარმოებთ, მაგრამ არის ისეთი დასახელების პროდუქცია, მაგალითად ხორბალი, სამკურნალო საშუალებები, რომელთა წარმოება ადვილზეც შესაძლებელია, თუმცა არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ამ პროდუქციის მოხმარების სრულ რაოდენობას და სათანადო ხარისხით ვაწარმოებთ, მაგრამ რამდენადმე მაინც შეგვიძლია მდგომარეობის გაუმჯობესება და იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება.

ამრიგად, საერთაშორისო ვაჭრობა საერთაშორისო გარემოს შეცვლის ერთ-ერთი ბერკეტი და მისი სწორი, მიზანმიმართული განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მსოფლიო დონის ამოცანაა, ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველია და ეროვნული სახელმწიფოს ამ ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა დღევანდელი აქტუალური საკითხია.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ასლამაზიშვილი ნ. საგარეო ვაჭრობა. თბილისი 2003წ.
2. დუნიძე ნ. საგარეო ვაჭრობის ორგანიზაცია. თბილისი 2003 წ.
3. კაკაბაძე ვ. ამჟღაბე გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ. 2000 წ
4. ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი 2011 წ.
5. საქართველოს საბაჟო კოდექსი. თბილისი 2012 წ.
6. საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული 2009-2013 წ. წ.
7. Мирровая экономика - Учебник. Под ред. Проф. А.С. Булатова- М. 2002 г
8. Хасбулатов Р.И. Мирровая экономика. М.2001 г

ბაღაწყვეტილების მიღების ხელოვნება
ბიზნეს პროცესების მართვაში



ვზგენი ბარათაშვილი
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სტუ-ს პროფესორი



ირმა მახარაშვილი
კაკასიის საერთაშორისო უნივერსიტე-
ტის დოქტორანტი



მანანა მარიდაშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი,
სტუ-ს უფროსი მასწავლებელი

ბიზნეს პროცესების მართვაში გადაწყვეტილების მისაღებად შესაძლებელია მეცნიერების ეფექტურად გამოვიყენება. სტატიაში განხილულია, თუ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ფარმაცევტულ ბიზნესში (პატენტების სისტემის მაგალითზე). გადაწყვეტილების მისაღებად გამოყენებულია გადაწყვეტილების ანალიზის ინსტრუმენტები. მეცნიერებას შეუძლია და უნდა ეკავოს კიდევ მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში ყველა ძირითადი გადაწყვეტილების მიღებისას. თუმცა, მეცნიერებისა და გადაწყვეტილების მიღების ერთმანეთთან დაკავშირება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს. ზოგიერთ შემთხვევაში სამეცნიერო ჯგუფებმა შესაძლოა გადაწყვეტილების მიღება პირებს რჩევები მისცენ.

ნებისმიერი გადაწყვეტილება, იქნება ეს პირადი, საჯარო თუ ბიზნეს პროცესების მართვასთან დაკავშირებული, დაფუძნებულია გადაწყვეტილების მიმღების შეხედულებებსა და ფასეულობებზე. მეცნიერებას შეუძლია და უნდა დაეხმაროს კიდევ გადაწყვეტილების მიმღებებს მათი შეხედულებების გამოკვეთაში. სამწუხაროდ, მეცნიერება იოლად ხელმისაწვდომი არ არის გადაწყვეტილების მიმღებთათვის. პირადი გადაწყვეტილებების უმეტესობა მიიღება სწრაფად, გრძნობებზე, წარსულ გამოცდილებაზე, ასოციაციებზე, ჩვევებზე, ტრივიალურ შედეგებზე ან აშკარა უპირატესობებზე დაყრდნობით, ხოლო ბიზნეს პროცესების მართვაში მიღებული გადაწყვეტილება მოითხოვს უფრო დინჯ და წინასწარ მოფიქრებულ მიდგო-

მას, რომელიც მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას, სპეციალისტებისაგან რჩევის მიღებას, ოფიციალურ შეფასებას და ანალიზს.

სტატია წარმოგიდგენთ მეცნიერებასა და ბიზნეს პროცესების მართვის გადაწყვეტილების მიღების ერთმანეთთან დამაკავშირებელ ჩარჩოს და ამის ილუსტრირებას მაგალითების მოყვანით აკეთებს. ის გვიჩვენებს, როგორ შეიძლება საკამათო შეხედულებებმა და მეცნიერულმა ცოდნამ მიგვიყვანოს უკეთეს გადაწყვეტილებამდე. მაგალითი იყენებს გადაწყვეტილების მიღების ანალიზს მეცნიერებისა და გადაწყვეტილების დასაკავშირებლად. დასკვნები გვიჩვენებს, რომ ეს შეიძლება ძალიან სასარგებლო პროცესი იყოს, რომელიც მოითხოვს როგორც მეცნიერულ, ასევე

გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევებს.

გადაწყვეტილება, როგორც პროცესი, რამდენიმე ეტაპად ხორციელდება დროის განსაზღვრულ პერიოდში. ამ ეტაპებდან გამოყოფენ გადაწყვეტილების მომზადებას, მიღებასა და რეალიზაციას. გადაწყვეტილების მიღების ეტაპი შეიძლება განვიხილოთ როგორც მმართველის ან მენეჯერთა ჯგუფის მიერ მოქმედების უკეთესი ვარიანტის შერჩევის აქტის განხორციელება.

გადაწყვეტილება არის ადამიანის მიერ გონებრივი საქმიანობის, მისი ნების გამოხატვის ერთ-ერთი სახე. იგი ხასიათდება შემდეგი მახვენებლებით:

1. რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტიდან ერთ-ერთის შერჩევის შესაძლებლობა. აქ მოქმედებს პრინციპი: თუ არაა ალტერნატივა, არჩევანიც არ არსებობს და მაშასადამე, შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება.

2. ჩამოყალიბებული მიზანი. მას შეესაბამება პრინციპი: უმიზნო არჩევანი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადაწყვეტილება

3. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სუბიექტური, ანუ ნებელობითი აქტის გამოყენების აუცილებლობა. იგი გამოწვეულია იმით, რომ ყოველი გადაწყვეტილების მიღების ფორმირება ხდება სხვადასხვა მოტივებისა და მოსაზრებების დაპირისპირება-შეფასების შედეგად.

ხშირად, როდესაც საჭირო ინფორმაცია არაა სრული, შეუძლებელია ყოველივეს ზუსტად გაანგარიშება, გაანალიზება. შეიძლება არც არსებობდეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ამის გამო ზოგჯერ იმის დადგენაც ძნელდება, თუ რამდენად სწორი იყო უკვე მიღებული და განხორციელებული გადაწყვეტილება. მმართველობითი გადაწყვეტილების დროს შეიძლება გამოვიყენოთ ნორმატიული მოდელირების მეთოდი. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ნორმატიული მოდელირების გამოყენების მიზანია უკეთესი მოქმედების ანუ ალტერნატივის შერჩევა; მოცემული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, ნორმატიული მოდელირების აქცენტირებულია იმაზე, თუ როგორ უნდა მიუდგეს გადაწყვეტილების მიმღები დასმულ ამოცანაზე პასუხის გაცემას. აქ ფართოდ გამოიყენება მათემატიკური ინსტრუმენტები. მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მათემატიკური თეორია ეყრდნობა იმ დებულებას, რომ ყველა მენეჯერი ასე თუ ისე არის “ეკონომიკურად მოაზროვნე” ადამიანი, ანუ ის აზროვნებს დაშვებული კანონებისა და მორალურ-ეთიკური სტანდარტების საზღვრებში. ისინი ცდილობენ მოახდინონ

მართვის ობიექტის საწარმო-სამეურნეო საქმიანობის შედეგიანობის მაქსიმალიზაცია, მიიღონ მაქსიმალური მოგება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და ა.შ.

გადაწყვეტილების მიღება შემოქმედებითი პროცესია, რომელიც მოითხოვს შთაგონებას და ცხადია, ცოდნით განმტკიცებულ ფანტაზიასაც. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს ობიექტური სინამდვილის შეცნობაა, სინამდვილისა, რომელიც სხვადასხვა სახით აისახება. ინფორმაცია კი გადაწყვეტილების მიღების საფუძველია. თავისი არსით მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადების, მიღებისა და რეალიზაციის პროცესი ინფორმაციის შეგროვების, გადამუშავებისა და გადაცემის პროცესია.

ბიზნეს პროცესების მართვაში გადაწყვეტილების მიღების ამოსავალი მოტივი მიზნის მიღწევაა. საწარმოს შიგნით, ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისათვის მიზნები ყალიბდება მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის ღონისძიებებიდან გამომდინარე. ამასთან, მართვის სუბიექტი (მენეჯერი, მმართველი) წარმოადგენს ინფორმაციის ერთგვარ გარდამქმნელს. მასთან თავს იყრის ყველა საჭირო ინფორმაცია, ხოლო მისგან გამომდინარეობს სათანადო მმართველობითი გადაწყვეტილებანი.

ამრიგად, მმართველობით გადაწყვეტილებათა ფორმირების პროცესი დაკავშირებულია მართვის პროცესის ციკლურობასთან, რომელიც მართვის ფუნქციების კლასიფიკაციის მიხედვით სამი სტადიისაგან შედგება: 1. მიზნის დასახვა-დაგეგმვა; 2. სამართავი სისტემის მომზადება დასახული მიზნის განსახორციელებლად, ე.ი. ორგანიზაცია; 3. აღრიცხვა, კონტროლი, მოქმედების კორექტირება-რეგულირება და კოორდინაცია. მმართველობითი ციკლის ყოველ ეტაპზე მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებანი, რომლებიც, ამავე დროს, შეადგენენ მენეჯერის გადაწყვეტილებათა ციკლსაც.

წარმოების მენეჯერები და ტექნიკოსი-სპეციალისტები გადაწყვეტილებას იღებენ, როგორც წესი, თავისი გამოცდილებიდან, ინტუიციიდან, გაანგარიშებიდან და ფაქტებიდან გამომდინარე, თუმცა მუშაობის ასეთი მეთოდი ყოველთვის მოითხოვს გადახალისებას, სრულყოფას, ახალი ცოდნით გამდიდრებას.

ხელმძღვანელის საქმიანობაში დიდი მნიშვნელობა აქვს გადაწყვეტილებათა მიღების პირობებს: უფლებებს, მოვალეობებს, პასუხისმგებლობას, კომპეტენტურობას და ა.შ. მენეჯერმა პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა იცოდეს ეკონომიკური და მმართველობითი კანონზომიერებანი,



ტექნიკურ-ტექნოლოგიური პროცესების მექანიზ-
მი და მმართველობითი გადაწყვეტილების მიღე-
ბის პროცესის შინაარსი. ეს პროცესები წარ-
მოადგენენ ურთიერთდაკავშირებულ ოპერაციათა
სისტემას, რომელიც ემყარება ლოგიკური აზ-
როვნების ხერხებს: ანალიზსა და სინთეზს, აბ-
სტრაქციონს, განზოგადობას, ინდუქციასა და
დედუქციას, ანალოგიას, ჰიპოთეზასა და წინას-
წარგანჭვრეტას. მოკლედ შევხვით თითოეულ
მათგანს:

ანალიზი გვეხმარება იმაში, რომ წარმოსახვით
დავანაწილოთ რთული სიტუაცია შემადგენელ
ნაწილებად, გამოვყოთ მთავარი ელემენტები,
რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს
წარმოებისა და საერთოდ ბიზნესის განვითარე-
ბისათვის. ანალიზს აუცილებლად თან ახლავს
სინთეზიც. იგი არის მოვლენის ან პროცესის
ნაწილების წარმოსახვითი გაერთიანება-გამთლი-
ანება მათი ურთიერთდაკავშირების გათვალისწინე-
ბით. განზოგადობა არის არსებული მდგომარე-
ობის ან მოვლენის შესახებ განსაზღვრული
შეხედულების ჩამოყალიბება, ხელმძღვანელის
ცოდნის, გამოცდილების, ფაქტების ანალიზისა და
სინთეზის საფუძველზე რაც შეიძლება ზუსტი
დასკვნების გამოტანა.

ზოგიერთი საკითხის გადასაწყვეტად, განსა-
კუთრებით ანალიზის დროს, ფართოდ გამოიყენე-
ბა ანალოგიის მეთოდი. მისი არსი ისაა, რომ
უცნობი მოვლენის, ან პროცესის გაგებისათვის
ჩვენ ვმსჯელობთ სხვა, მისი მსგავსი მოვლენის
მიხედვით, რომლის შესახებ გარკვეული ცოდნა
შევე გაგვაჩნია.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთ-
ვის არის შემოქმედებითი

აზროვნება, მსჯელობა, ამიტომ იგი მიმდინარე-
ობს როგორც დედუქციის (ზოგადიდან კერძოს-
აკენ), ასევე ინდუქციის (კერძოდან ზოგადისაკენ)
ფორმით

წინასწარ ხედვა განვითარების ხასიათის, მისი
მიმართულების შესახებ ლოგიკურ დასკვნას წარ-
მოადგენს. ეს არის მოქმედების შედეგების წინას-
წარგანჭვრეტა. ამის გარეშე შეუძლებელია ბი-
ზნესის წარმატება, ვინაიდან წინასწარგანჭვრეტა
საჭიროა არამარტო წარმოების პროცესისათვის,
საწარმოს შიგნით შრომის ორგანიზაციისა და
მართვის სრულყოფისათვის, არამედ იმისათვის,
რომ რაც შეიძლება ზუსტად შევაფასოთ საბაზრო
ურთიერთობათა სფეროში მიმდინარე პროცესები.
უფრო კონკრეტულად – როგორი ფასებია მოსა-
ლოდნელი წარმოებისათვის საჭირო სხვადასხვა
სახის რესურსებზე, როგორი მოთხოვნილება იქმ-

ნება იმ პროდუქციაზე, რომელსაც აწარმოებს ესა
თუ ის ორგანიზაცია.

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი დამახასიათე-
ბელი მომენტი არის საწარმოო რისკის არსებობა.
რაც უფრო ღრმად და ყოველმხრივ არის შესწავ-
ლილი და გაცნობიერებული მოსალოდნელი მოვ-
ლენები, მით უფრო ნაკლებია გაწეული რისკის
უარყოფითი შედეგები. ამრიგად, მენეჯერს მოე-
თხოვება თავისი საქმის ღრმა ცოდნა და მიღე-
ბულ მმართველობით გადაწყვეტილებათა მაღალი
მეცნიერულ-პრაქტიკული დონის უზრუნველყოფა.
ამიტომ მმართველობით საქმიანობაში განსა-
კუთრებული ყურადღება ექცევა მენეჯერის გად-
აწყვეტილების მნიშვნელობას ბიზნესში.

გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეიძლე-
ბა გამოვყოთ შემდეგი ეტაპები:

1. საწარმოო სიტუაციის ანალიზი და პრობლემის გამოვლენა.
2. პრობლემის, ქვეპრობლემის გადაწყვეტის მიზნების დასახვა.
3. გადაწყვეტილების ინფორმაციული უზრუნ-
ველყოფა.
4. გადაწყვეტილების ალტერნატიული ანუ
შესაძლებელი ვარიანტის შემუშავება.
5. გადაწყვეტილებათა ვარიანტების ანალიზი
და შეფასება.
6. პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის
გზების შერჩევა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. სიტუაციის ანალიზი და პრობლემის გამოვ-
ლენა. მენეჯერის საქმიანობაში მუდმივად წარ-
მოიშობა პრობლემები, რომელთა წყარო შექმნილი
ვითარებაა. საქმიანობის ჩვეული რიტმიდან მოსა-
ლოდნელია გადახრები. არსებული სიტუაციის
ანალიზი იძლევა შექმნილ პრობლემაში ზოგადად
მაინც გარკვევის საშუალებას. მას შემდეგ, რაც
წამოიჭრება პრობლემა, ირკვევა, თუ რომელი ფუნ-
ქციონალური დანაყოფის, რომელ სპეციალისტთა
მოვალეობაში შედის მათი გადაწყვეტა.

2. პრობლემების, ქვეპრობლემების გადაწყვეტის
მიზნების დასახვა. პრობლემის და საკითხის ფორ-
მულირება-ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი ეტაპია
გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვინაიდან
სწორად დასმული საკითხი მისი გადაწყვეტის
საწინდარია. ასე თუ ისე, დიდი პრობლემის
ქვეპრობლემად და საკითხებად დანაწილება
იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი სირთულის,
გადაწყვეტის გადაუღებელი ოპერატიულობის და
შედეგიანობის მიხედვით იქნეს დაჯგუფებული.
მათთვის უნდა შეირჩეს ხსენებული პრობლემების
ყველაზე უფრო ეფექტურად გადაწყვეტის კრი-

ტერიუმები. ეს კი რთული და საპასუხისმგებლო პროცესია.

3. ინფორმაციული უზრუნველყოფა არის საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და გადაამუშავების პროცესი. მან უნდა უზრუნველყოს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო პირობები. დასმული ამოცანის მიხედვით, ინფორმაციის მოცულობა შეიძლება განსხვავებული იყოს. ასე მაგალითად, სტრუქტურული ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭიროა მეტი და მრავალმხრივი ინფორმაცია, ოპერატიული და ტაქტიკური საკითხების გადაწყვეტისათვის – ნაკლები და შედარებით ერთგვაროვანი ინფორმაცია. მას შემდეგ, რაც თავმოყრილია საჭირო ინფორმაცია, ზუსტდება დასმული პრობლემების, ამოცანის, მმართველობით გადაწყვეტილებათა შეფასების კრიტერიუმების სისწორე.

4. გადაწყვეტილების ალტერნატიული, ანუ შესაძლებელი ვარიანტების შემუშავება. გადაწყვეტილების ალტერნატიული, ანუ წინასწარი გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, წარმოიშობიან ამოცანის ფორმულირების ეტაპზე. საჭიროა გულდასმით იქნეს განხილული გადაწყვეტილების ყველა შესაძლო ვარიანტი, ისეთიც კი, რომელიც ერთი შეხედვით განუხორციელებლად მოგვეჩვენება. ამ შემთხვევაში აჩქარება არაა საჭირო, ვინაიდან ერთი შეხედვით ერთნაირი ვარიანტები შეიძლება ხარისხობრივად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან და სხვადასხვანაირ მიდგომას მოითხოვდეს. საჭიროა, მოიძებნოს მიზნის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები. საბოლოო არჩევანს ახდენენ შერჩეული ვარიანტის რეალობიდან გამომდინარე, მოსალოდნელი ეფექტიანობის გათვალისწინებით.

5. გადაწყვეტილებათა ვარიანტის ანალიზი და შეფასება. ანალიზი მდგომარეობს გადაწყვეტილების თითოეული ვარიანტის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გამოვლენაში. მაჩვენებლების შეფასების რამდენიმე ეტაპი არსებობს. ჯერ განისაზღვრება თითოეული ვარიანტის ეფექტიანობა, მისი სრულად განხორციელების პირობებში, ხოლო შემდგომ – თითოეული ვარიანტის განხორციელების ალბათობა. შეფასება თავდება ვარიანტის ეფექტიანობის დონის, მისი განხორციელების ალბათობის დაგენით.

6. პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის გზას ირჩევენ წინა ეტაპის შეფასების საფუძველზე. შეფასების კრიტერიუმების მნიშვნელობის მიხედვით, პრობლემათა გადაწყვეტის პრიორიტეტები შეიძლება შემდეგნაირად დალაგდეს: ა) პრობლემის გადაწყვეტისა და დასმული ამოცანის

მიღწევის შესაძლებლობების მიხედვით; ბ) შედეგების ეკონომიკური ეფექტიანობის მიხედვით; გ) წარმოების რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობის მიხედვით.

რთული ამოცანების გადაწყვეტის დროს, როდესაც ფაქტორები მრავალია, გამოყენებული უნდა იქნას მრავალფაქტორული ანალიზის ჩატარების ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდები, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით.

მართვის პროცესი არ მთავრდება გადაწყვეტილების მიღებით, ძალზე მნიშვნელოვანია მისი განხორციელების ორგანიზაცია და კონტროლი. მხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული რეალიზაციის შედეგად შეგვიძლია შევამოწმოთ მათი სისწორე და ღირებულება.

გადაწყვეტილებათა რეალიზაციის პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს: ვინ, სად, რა მეთოდებითა და საშუალებებით ახორციელებს ამა თუ იმ ამოცანას. გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის თითოეული მენეჯერი თუ ხელმძღვანელი ადგენს ორგანიზაციულ გეგმას მთლიანად დასმული ამოცანისათვის, რათა საჭიროების შემთხვევაში მოხერხდეს ძალებისა და რესურსების კონცენტრაცია და რეგულირება. უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებისათვის დგება გაშლილი გეგმა-გრაფიკები. შემსრულებელთა შერჩევისათვის გათვალისწინებულია მათი კვალიფიკაცია, გამოცდილება, შემოქმედებითი მუშაობის უნარი და თვისებები. შემსრულებლები პასუხს აკებენ მიღებულ გადაწყვეტილებათა სწორ და დროულ შესრულებაზე, ამიტომ ისინი უნდა იყვნენ საკმაოდ კომპეტენტურნი და ჰქონდეთ სათანადო უფლებები.

გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპია ხელმძღვანელის მიერ გადაწყვეტილების შემსრულებელად დაყვანის სწორი ფორმის შერჩევა. ის დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე. კეთილსინდისიერი და კომპეტენტური შემსრულებლისათვის განკარგულებები დაიყვანება მეგობრული თხოვნის ფორმით. მაგრამ თუ ხელმძღვანელს არა აქვს საკმარისი კვალიფიკაცია და მისდამი დაქვემდებარებულებს შორის არაა ისეთ დონეზე განვითარებული პროფესიონალიზმი და ურთიერთობის კულტურა, რომ მეგობრული თხოვნა განკარგულებად აღიქვას, ხელმძღვანელი მოუალეა გამოიყენოს განკარგულების დაყვანის უფრო კატეგორიული ფორმები: ასაკით უფროსის რჩევის ძალა, ხელმძღვანელის ჩარევა და აუცილებელი მითითება. შეიძლება გამოყენებულ იქ-



ნას უფრო მკაცრი ფორმებიც: ბრძანება, რომლის შეუსრულებლობას მოჰყვება დასჯის სხვადასხვა ფორმა. დაქვემდებარებულის ქცევაში დადებითი ცვლილებების დროს მენეჯერმა უნდა შეარბილოს დავალებათა დაყვანის ფორმები.

განვიხილოთ როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება ფარმაცევტულ ბიზნესში პატენტების სისტემის მაგალითზე.

1994 წლამდე აშშ-ში პატენტის მოქმედების ვადა გრძელდებოდა 17 წელი პატენტის დამტკიცების შემდეგ. მოეწერა რა ხელი ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ ძირითად შეთანხმებას 1994 წელს პატენტის მოქმედების ხანგრძლივობა 20 წლამდე გაიზარდა მთელს მსოფლიოში. ეს ვადა ითვლება პატენტის ნებართვის მიღების დღიდან. ხშირად პატენტები გაიცემა მედიკამენტის ნებართვის გაცემამდე. ამის გამო, ნებართვა მედიკამენტის წარმოებაზე იკვიანებს. ამ დროის კომპენსირების მიზნით, აპლიკანტებს უფლება ეძლევათ, რომ შეიტანონ განაცხადი პატენტის მოქმედების ვადის გაგრძელების მოთხოვნით. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენ ხანს გრძელდება წამლის გამოშვების ნებართვის პროცესის მიღება, აპლიკანტებს უფლება აქვთ, მოითხოვონ პატენტის გაგრძელება მაქსიმუმ 5 წლამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ პატენტის გაცემის დროიდან 14 წელზე მეტი არ უნდა იყოს გასული. საკვებისა და წამლის სააგენტო მოითხოვს ყველა ინფორმაციას პატენტის შესახებ. ამ ინფორმაციას სააგენტო აქვეყნებს წიგნში, რომელსაც ეწოდება „ნებადართული ფარმაცევტული პროდუქტები თავისი თერაპიული ექვივალენტებით“, რომელიც ფართოდაა ცნობილი ე.წ. “ნარინჯისფერ წიგნის” სახელწოდებით. წიგნი მოიცავს ფარმაცევტულ პროდუქტებზე სხვადასხვა ფორმის პატენტებს, როგორცაა პატენტი აქტიურ ნივთიერებაზე, ქიმიურ ფორმულაზე, წამლის გამოყენების მეთოდზე. ნარინჯისფერ წიგნში ჩამოთვლილი პატენტები მეტად მნიშვნელოვანია იმ გენერიკული კომპანიებისათვის, ვინც ცდილობს ნებართვის მიღებას გენერიკული მედიკამენტების წარმოებისათვის. მათ შეუძლიათ მიუთითონ, რომ გენერიკულ ვერსიებს იგივე მახასიათებლები აქვთ, რაც ორიგინალ ბრენდებს. შედეგად, გენერიკული პროდუქტების მწარმოებლები აღარ არიან ვალდებული, რომ წარმოადგინონ კლინიკური კვლევის შედეგები, რათა დაამტკიცონ გენერიკების უსაფრთხოება და ეფექტურობა, რაც მნიშვნელოვანი ფულადი თანხების ეკონომიის საშუალებას იძლევა. ამას გარდა, აპლიკანტებმა უნდა წარმოადგინონ ამ მეორე მაგალითში მოხანს, თუ რო-

გორ დაკარგა თავისი მოგების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ფაიზერმა იმის გამო, რომ არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და საკმარისად კარგი პუბლიკაციები ვერ გამოაქვეყნა პატენტის სერტიფიკატი, რომელიც არსებობს ოთხი ტიპის: 1)პატენტი ძალაში არ შესულა; 2)პატენტის მოქმედების ვადა გასულია; 3)პატენტის მოქმედების ვადა არ გასულა, მაგრამ იწურება გარკვეულ დროს და ნებართვის მიღებასაც ამ თარიღისათვის ითხოვენ; 4) პატენტი ძალადაკარგულია.

ვინაიდან ფარმაცევტული კომპანიების გაყიდვები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ ბლოქბასტერ წამლებზე და ბევრი ბლოქბასტერის პატენტის ვადა იწურება უახლოეს მომავალში გენერიკების შემოსვლის საფრთხე აშკარაა. ქვემოთ, იხილეთ ასტრა-ზენეკას სტრატეგია, რომელიც მან წარმატებით განახორციელა მისი ერთ-ერთი ბლოქბასტერის-პრილოსეკის პატენტის ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე.

გადაწყვეტილების მიღების წარმატებული სტრატეგია: ნექსიუმის ბიზნესსიტუაცია

2001 წელს პრილოსეკს, ასტრაზენეკას 6 მილიარდ დოლარად ღირებულ ბლოქბასტერ მედიკამენტს, რომლის 20 მგ-იანი ერთი ტაბლეტი იყიდებოდა 4 დოლარად, ამოეწურა პატენტის ვადა და მას დაემუქრა გენერიკულ მედიკამენტებთან ფასზე დამყარებული კონკურენცია. თუმცა, რამდენიმე წლით ადრე კომპანიამ მიიღო ზომები, კერძოდ შექმნა გუნდი, რათა შეესწავლა საფრთხის ყველა ტაქტიკური ვარიანტი, რის წინაშეც იდგა კომპანია. კომპანიამ გადაწყვიტა გაყიდვიდან ამოეღო რეცეპტურული პრილოსეკი და მომხმარებლისათვის წარედგინა ოდნავ უფრო ეფექტური სამკურნალო საშუალება, სახელწოდებით ნექსიუმი, 2001წლის დასაწყისში (პროდუქტის დიფერენციაციის სტრატეგია). როდესაც გენერიკები შემოვიდნენ ბაზარზე, ნექსიუმის ფასი გაიზარდა 5 დოლარამდე (საფასო სტრატეგია). ამას გარდა, კომპანიამ მიიღო ბაზრის ახალი ექსკლუზური უფლება (პატენტის სტრატეგია). 2003 წელს პრილოსეკის გენერიკული ვერსიების ფასი მერყეობდა 3.80 დან 1.50 დოლარამდე 20 მგ-იანი ტაბლეტისათვის. ამავე დროს, კომპანიამ წარმოადგინა პრილოსეკის არარეცეპტურული ვერსია, რომელსაც ეწოდა პრილოსეკი OTC (over-the-counter) (პროდუქტის დიფერენციაციის სტრატეგია) და დაადო ფასი დაახლოებით \$0.71/20 მგ ტაბლეტი (საფასო სტრატეგია). პრილოსეკი OTC-ის აქტიური ინგრედიენტი გაცილებით ნაკლებ ფასს სთავაზობდა მომხმარებელს, ვიდრე გენერი-

გადაწყვეტილების მიღების წარუმატებელი სტრატეგია: ლიპიტორის ბიზნესსიტუაცია

როდესაც ფაიზერის 13 მილიარდად ღირებულ ბლოქსასტერ წამალ ლიპიტორს ამოეწურა პატენტის ვადა, ფაიზერმა გადაწყვიტა ტორცეტრაპიბის წარმოების დაწყება. ეს არის მცირედ სახეშეცვლილი წამალი, რომელიც შეიქმნა ლიპიტორის ჩასანაცვლებლად. თუმცა ამ ახალი პროდუქტის უსაფრთხოების პრობლემებმა კომპანია ფინანსურ კატასტროფამდე მიიყვანა. ფაიზერი დიდად იყო დამოკიდებული ლიპიტორის გაყიდვებზე, ვინაიდან ლიპიტორის გაყიდვებს შემოჰქონდა კომპანიის მოგების 40%. 2006 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში ნეტ შემოსავალი დაეცა 12%-ით, 2005 წლის იმავე პერიოდთან შედარებით.

(ინფორმაციის წყარო: The Economist, 2007)

ამ მეორე მაგალითში მოჩანს, თუ როგორ დაკარგა თავისი მოგების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ფაიზერმა იმის გამო, რომ არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება და საკმარისად კარგი პუბლიკაციები ვერ გამოაქვეყნა თავის მცირედ სახეშეცვლილ წამლებზე, რომლებიც სპეციალურად გენერიკული კონკურენტების საწინააღმდეგოდ შექმნა.

ამ მაგალითებმა გვიჩვენა, თუ როგორაა შესაძლებელი გადაწყვეტილების ანალიზის ჩარჩოს, როგორც რთული სამეცნიერო საკითხების საკომუნიკაციო საშუალების გამოყენება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან, რომლებსაც სერიოზული უთანხმოება აქვთ მთელ რიგ საკითხებში. სიტუაცია გვიჩვენებს, რამდენად შესაძლებელია ანალიტიკურმა ხედვამ სწორი ფოკუსირება მოახდინოს იმ გარემოებებზე, რაზეც სხვადასხვა მხარეები ვერ თანხმდებიან.

ბამოყმენებული ლიტერატურა:

1. Effective Management Decision Making by Ian Pownall 2011
2. Competitive Strategy: Techniques for Analyzing Industries and Competitors by Michael E. Porter 1980
3. The 7 Habits of Highly Effective People: Powerful Lessons in Personal Change by Stephen R. Covey 2010
4. http://content.time.com/time/specials/packages/article/0,28804,2086680_2086683_2087656,00.html
5. hbswk.hbs.edu/topics/leadership.html
6. www.forbes.com/management

Decision-Making Art of Business Process Management

Evgeni Baratashvili
Doctor of economic science, professor of GTU
Irma Makharashvili
Doctoral student of Caucasus international University
Manana Maridashvili
Senior Teacher of GTU

Science can be efficiently used for bussiness process management in decision making. The article discusses how the decision-making system performs based on the example of patents in the pharmaceutical business. Decision analysis tools are used for decision making process. Science can and should occupy an important role in the lives of all the major decision-making. However, it requires a special effort to connect science and decision-making. In some cases, the scientific group could give advice to decision-makers.

საბაზრო ეკონომიკა და ეკონომიკური აღზრდის ამოცანები



ქეთევან ჭიკობავილი
დავით აღმაშენებლის სახ. ეროვნული
თავდაცვის აკადემიის ასოცირებული
პროფესორი; ეკონომიკის დოქტორი



ნათელა ნატროშვილი
ქ.თბილისის 72-ე საჯარო სკოლის დ
რექტორი; პედაგოგიკის დოქტორი

ბიზნესი გამოგონილია იმისთვის, რომ გაიზარდოს ბედნიერი ადამიანების რიცხვი და არა მილიონობით დოლარის რაოდენობა.

ბ. ჩარლზი

ჩვენი კულტურის კრიზისი იმის შედეგია, რომ თანამედროვე სკოლაში ჰუმანიზმი შორეულ კუთხეშია მიკუნჭული.

ა. შვეიცერი

მოთხოვნილებანი მრავალფეროვანია და ამავე თვალსაზრისით არაერთგვაროვანი. აქედან გამომდინარე პედაგოგიურ ლიტერატურაში დღემდე მიღებულია მოთხოვნილებათა დაყოფა გონივრულ და არაგონივრულ მოთხოვნილებებად. პროფ. გ. მაღალაშვიას აზრით, „გონივრულად, ნამდვილად, საზოგადოებრივად ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ ის მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება საერთო საკაცობრიო კრიტერიუმების თანახმად ადამიანისთვის სარგებლობის მომტანია, მის კეთილდღეობას, განვითარება-სრულყოფას განაპირობებს და შეესაბამება მთელი საზოგადოების პროგრესის ინტერესებს. არაგონივრული, ცრუ (ფსევდო) მოთხოვნილებაა დოვლათისადმი ისეთი სწრაფვა, რომელიც უპირისპირდება, აზიანებს ადამიანის ბიოსოციალურ არსებობას, საკაცობრიო პროგრესს“.

გონივრული, ნამდვილი მოთხოვნილებები შესაბამისობაშია საკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობებთან. ერთ-ერთ ასეთ ფასეულობად “ოქროს ზომიერება“ მიიჩნევა, ანუ ისეთი მოხმარება, რომელსაც ადამიანისთვის ზიანი არ მოაქვს. (ცნობილია, რომ ზომიერების დარღვევას კვებაში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა მოყვება. იგივე შეიძლება ითქვას მატერიალურ სამომხმარებლო ზომიერების დარღვევაზე, მას ხშირად „სულის დაშლა“ მოყვება ხოლმე.) ჯანსაღი ცხოვრების წესში „ხედმეტის კატეგორია“ ვერ თავსდება. „სიკეთეა იქ, სადაც ადგილი არა აქვს გადაჭარბებას, მაგრამ, თუ საგანი უფრო მეტია, ვიდრე უნდა იყოს, მაშინ ბოროტებას ექნება ადგილი“.

ქვეყნის და საზოგადოების სიძლიერეს, ჩვეულებრივ, უკავშირებენ ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკური ზრდის ფაქტორების გამოვლენის და მათი ეფექტიანად გამოყენების მიზნით თეორიულ ძიებებსა და პრაქტიკული საქმიანობის გააქტიურებას. ამავე დროს, ტრადიციულად, ეკონომიკური ზრდის წყაროებს წარმოების რესურსებთან კავშირში წარმოადგენენ და ყურადღების გარეშე რჩებათ, ან გაკერით ეხებიან მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. ამ უკანასკნელი ფაქტორების გაუთვალისწინებლობა ჯერ ერთი, ეკონომიკური ზრდის დინამიკის სრულ სურათს ვერ მოგვცემს,

და მეორეც, თვით ეკონომიკური საქმიანობაც, ქცევაც ვერ იქნება სრულყოფილი.

ეკონომიკური ზრდის მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების შესახებ საუბრისას, მხედველობაში გვაქვს:

1. ეკონომიკური ზრდის კავშირი სისტემასთან: ადამიანი - მოთხოვნილება - შრომა - კეთილდღეობა, ანუ შრომასთან დაკავშირებული მორალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების და ადამიანის აქტივობის სტიმულები, მოთხოვნილებები, შრომისა და ეკონომიკის კავშირურთიერთობა და სხვა.

საბაზრო ეკონომიკისათვის THE NEW ECONOMIST

2. ადამიანთა და ქვეყნის სოციალური ენერჯია შეერთებული ზნეობრივ-ეკონომიკურ ქცევასთან ყოველთვის უკავშირდება ეკონომიკურ აყვავებას და კეთილდღეობას.

3. ადამიანთა და ქვეყნის სოციალური ენერჯია შეერთებული უზნეობასთან იწვევს ქვეყნის ეკონომიკურ ჩავარდნას.

4. ეკონომიკური რესურსების შეზღუდულობისა და მოთხოვნილებების განუსაზღვრელობის გამო ბუნების „ნაჩუქარ რესურსებზე“ სახელმწიფოს, თითოეული ჩვენთაგანის, ბიზნესის გაგლეხა და ზემოქმედება არამარტო წმინდა ეკონომიკური, არამედ ზნეობრივი თვალსაზრისითაც.

5. პიროვნების ზნეობრივი სახე რეალურ ეკონომიკურ სინამდვილესთან მიმართებაში ვლინდება. ზნეობრივ-ეკონომიკურ ქცევას, განაპირობებს მისი დამოკიდებულება შრომისადმი, შრომის შედეგებისადმი, ეკონომიკური დოვლათის მოხმარებისადმი, სიმდიდრისა და სიღარიბისადმი, „ვერცხლისმოყვარეობისა და ნაყროვანებისადმი“.

ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ ზნეობრივ ფაქტორთა ერთობლიობა ეკონომიკურ კულტურაში ვლინდება და პირიქით, ეკონომიკური კულტურა გავლენას ახდენს ადამიანთა ზნეობრივ ფასეულობებზე.

მორალურ-ფსიქოლოგიურ ფაქტორებს პროფესორი გ. მაღალაშხია „ურესურსო ფაქტორებს“ უწოდებს და შენიშნავს: „ურესურსო ფაქტორების როლი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საზოგადოების სოციალური ენერჯიის დოვლათშემქმნელი პოტენციალის გადიდების ან შემცირების წყარო ხდება, მოქმედებს მისი გამოყენების გაუმჯობესების მიმართულებით ან უმოქმედობის თუ დაბალი ეფექტიანობის მიზეზად გვევლინება. მორალურ-ფსიქოლოგიური ურესურსო ფაქტორთა თავისებურება და განსაკუთრებულობა ისაა, რომ ისინი მოქმედებენ რაიმე დანახარჯის გარეშე, არსებული რესურსების ბაზაზე და წარმოადგენენ ამ უკანასკნელთა ეფექტიანობის გადიდების, ან შემცირების პირობას, იმპულსს აძლევენ არსებული რესურსების გაძლიერებას ან ძირს სწევენ მათ ეფექტიანობას“ [2, გვ. 210].

მორალურ-ეთიკურ ფაქტორებს საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს პროფესორი ე. მექვაბიშვილი „საკითხის ასე დაყენება საკუთრივ ეკონომიკური კანონზომიერებების ანალიზთან ერთად გულისხმობს ტრანსფორმაციის პოლიტიკური, სოციალური, მორალურ-ეთიკური, ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლასაც... ადამიანები იქვემდებარებენ მატერიალურ-ნივთობრივ ფაქტორს

(სიმდიდრეს) ჭეშმარიტად ჰუმანიტარული მიზნების მისაღწევად“ [4]. აქვე მოაქვს ცნობილი ეკონომისტების პ. სამუელსონისა ვ. ნორდჰაუსის მოსაზრება: „მარტინ ლუთერ კინგის მსგავსად ჩვენც გვაქვს ოცნება. იგი იმაში მდგომარეობს, რომ ბაზრის მნიშვნელოვანი ეფექტიანობა გამოიყენოთ ჰუმანური მიზნით საზოგადოების ინტერესებისთვის“ [4, გვ. 11].

მსოფლიო მასშტაბის პრობლემათა გადაჭრას პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ეკონომიკური და სულიერი ზრდის პროცესთა ერთმანეთთან შეხამებას უკავშირებენ. ესეზიან რა ეკონომიკური თავისუფლების პრობლემას, აუცილებლად მიჩნევენ ხელისუფლების მაქსიმალურ შეზღუდვას და თავისუფლების ასევე მაქსიმალურ დატვირთვას პასუხისმგებლობით, ზნეობით, ეკონომიკური კულტურით. ეს გარემოება მოითხოვს ინტერდისციპლინარულ ხედვას, ეკონომიკის კავშირს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან, სოციოლოგიასთან ფსიქოლოგიასთან, პედაგოგიკასთან.

როდესაც ვსაუბრობთ ეკონომიკურ კულტურაზე, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ საზოგადოების კულტურა ზოგადად და, მათ შორის, ეკონომიკური კულტურა ხარისხობრივად გარდაიქმნება ერთი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში გადასვლისას. ამ გარდაქმნისას ეკონომიკური კულტურა მთლიანად არ უგულვებელყოფს წარსულის გამოცდილებასა და ტრადიციებს, იგი იტოვებს იმ ელემენტებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ახალი საზოგადოებრივი წყობის შესაქმნელად. ეკონომიკური კულტურა შეიძლება დახასიათდეს შემდეგი ელემენტებით:

1. შრომისადმი დამოკიდებულება;
2. მოთხოვნილებათა სტრუქტურა;
3. მოხმარების სტერეოტიპები.

ეს ელემენტები განსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრების წესს.

დასაბამიდან დღემდე ადამიანური ყოფის მნიშვნელოვან მახასიათებელს შრომა წარმოადგენდა. მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით ადამიანი იძულებული იყო ეზრუნა და შეექმნა მატერიალურ სიკეთეთა მრავალფეროვნება. როგორც მატერიალური, ისე სულიერი დოვლათი. ეს დოვლათი ბუნებაში მზამზარეული სახით არ მოიპოვება, იგი ადამიანმა უნდა აწარმოოს. წარმოების, ანუ შრომის პროცესში, ბუნების მიერ მოცემულის გარდაქმნის პროცესში იქმნება „პროდუქტი“ (სიტყვა „პროდუქტი“ ლათინურია და წარმოებულს, ადამიანის მიერ შექმნილს ნიშ-



ნავს), „დოვლათი“.


ეკონომიკური მეცნიერების მთავარ მიზანს წარმოადგენს ადამიანის ქცევის შესწავლა უსაზღვრო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესში შრომის, წარმოების, საქონლისა და მომსახურების, მოხმარებისა და გაცვლის სფეროში. შრომა, შრომითი საქმიანობა ნებისმიერი ეკონომიკის ძირითად შემოქმედებითი საწყისია. შრომის პროცესში ყალიბდება ადამიანთა შორის შრომითი, ეკონომიკური და ზნეობრივი ურთიერთობები.

შრომა, როგორც ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახე, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

1. შრომა ადამიანის მიერ გაცნობიერებული, მიზანმიმართული საქმიანობაა. ადამიანი ჯერ მოქმედების ხერხებს ეძებს, ცნობიერებაში წარმოიდგენს სასურველ მოსალოდნელ შედეგს და შემდეგ იწყებს დასახული გეგმის მიხედვით მოქმედებას. ინსტიტუტური, გაუცნობიერებელი, უმიზნო მოქმედება შრომად არ ჩაითვლება. შრომა მიზანშეწონილად ითვლება, თუ იგი გონივრულია, საჭიროა, პრაქტიკულია. ადამიანის შრომას მხოლოდ მაშინ დაერქმევა შრომა, როცა იცის რას აკეთებს, როგორ აკეთებს და რატომ აკეთებს.

2. შრომითი საქმიანობა ადამიანისაგან მოითხოვს ენერჯის ხარჯვას. ამ ენერჯის დახარჯვა გაპირობებულია არა მხოლოდ ცხოველქმედებით, არამედ ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებისა და შედეგის მიღების აუცილებლობითაც. შრომა ენერჯის ხარჯვითი მოქმედებაა, გონებისა და კუნთების მუშაობაა.

3. ადამიანთა მოქმედებას შეიძლება ეწოდოს შრომა, თუ მას მოაქვს საზოგადოებრივად სასარგებლო შედეგი, თუ რაღაცა სასარგებლო იქმნება (ქურდობა, კორუფცია არ შეიძლება ჩაითვალოს შრომად, თუმცა ის იგეგმება, იხარჯება ენერჯია და შედეგიც - დანაშაული სახეზეა ხოლმე).



შრომით საქმიანობას უკავშირდება ისეთი ეკონომიკური ცნებები, როგორცაა შრომითი რესურსები, სამუშაო ძალა, შრომითი პოტენციალი, შრომის იარაღები, შრომის საგნები და სხვ.

ძველთაგანვე შრომას ყოფდნენ ფიზიკურ და

გონებრივ შრომად. დროთა განმავლობაში განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში ფიზიკური შრომის წილი (და როლიც კი) მნიშვნელოვნად ეცემა, იმ დროს, როცა გონებრივი შრომის ფასი სულ უფრო იზრდება.

შრომითი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ეკონომიკურ ლიტერატურაში ეხვდებათ შრომითი რეზერვების დაყოფას ჯგუფებად: „თეთრსაყელიანები“, „ლურჯსაყელიანები“ და „ოქროსსაყელიანები“. დასავლეთის ქვეყნებში დაწესებულებებსა, კანტორებსა, მაღაზიებსა და ამა თუ იმ ინსტიტუტებში მომუშავენი, ტრადიციულად თეთრ პერანგებს იცვამენ. ამის მიხედვით მათ „თეთრი საყელოები“ დაარქვეს.

ისინი, ვინც ფიზიკურ შრომას ეწევიან უპირატესობას მუქ ტანსაცმელს ანიჭებენ და, აქედან გამომდინარე, მათ „ლურჯსაყელიანები“ დაარქვეს. „ოქროსსაყელიანთა“ კატეგორია - ეს უმაღლესი მმართველობითი პერსონალია. ეკონომიკური კულტურის შინაარსის განმსაზღვრელია მოთხოვნილებათა ნაირგვარობა და მოხმარების სტერეოტიპები. მოთხოვნილებასა და მოხმარებას ვსწავლობთ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიებს და მათ მნიშვნელობას ეკონომიკურ ზრდასა და წონასწორობაში.

მოხმარება, ამ სიტყვის ფართო გაგებით ნიშნავს ნებისმიერი ეკონომიკური პროდუქტის გამოყენებას განსაზღვრული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. განასხვავებენ მოხმარების სამ დონეს:

პირადი და საოჯახო მოხმარება - საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, პირადი ტრანსპორტის, საოჯახო საგნების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სულიერი ფასეულობების, ცოდნის მოხმარება.

საწარმოო მოხმარება - ხორციელდება საწარმოებში, ორგანიზაციებში, სამეწარმეო საქმიანობაში - ნედლეულის, მასალების, ენერჯის, ნახევარფაბრიკატების, ინფორმაციის, ცოდნის, სულიერი ფასეულობების, წარმოების საშუალებების, შენობების, ნაგებობების მოხმარებისას.

საზოგადოებრივი მოხმარება - ნიშნავს მატერიალური და სულიერი ფასეულობების გამოყენებას, სახელმწიფოს მოთხოვნების - თავდაცვა, გარემომცველი სამყაროს დაცვა და აღდგენა, წესრიგისა და ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა, მართვა, სამართალწარმოება, ჯანდაცვა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და ა.შ. დასაკმაყოფილებლად [9, გვ. 279].

საზოგადოებრივი ცხოვრება განისაზღვრება იმით, ადამიანი რას და რა ოდენობით მოიხმარს,

მოსხმარების მნიშვნელობაზე, სტერეოტიპებზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობას, ცხოვრების დონეს ზომავენ ერთ სულ მოსახლეზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების მოცულობითა და ხარისხით. მსოფლიოს სასურსათო ორგანიზაციის () მიერ დადგენილია საკვებ ნივთიერებებზე და ენერჯიაზე მოთხოვნის ფიზიოლოგიური ნორმები და სასურსათო კალათის ენერგეტიკული ღირებულება ძირითადი აუცილებელი მიკროელემენტების (ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) ნორმატივები, რის საფუძველზეც ადგენენ სასურსათო უსაფრთხოების კატეგორიებს [11, გვ. 3].

რას, რა რაოდენობით, როგორ მოიხმარს ადამიანი, ჩვენი აზრით, ეკონომიკური კულტურის აღზრდის, პედაგოგიკის სფეროს საგანია.

პროფ. გ. მაღაშხია მომხმარებლის ორ ტიპს ასახელებს: რაციონალურად მომხმარებელი და არარაციონალურად მომხმარებელი. აქვე ამ ტიპებს წარმოგვიდგენს ძირითადი ნიშნებით.

- რაციონალური მომხმარებელი:
- დოვლათს მოიხმარს საუკეთესო (მაქსიმალური სარგებლიანობის მომტანი) მიმართულებით;
 - სარგებლიანობას ამოიღებს მთლიანად (აღწევს ნარჩენების, დანახარჯების მინიმიზაციას, სრულად მოიხმარს დოვლათს და ა.შ.)
 - არ უშვებს დოვლათის გაფუჭებას;
 - იყენებს ნარჩენებს, ახდენს დოვლათის მრავალჯერად გამოყენებას და ა.შ.

- არარაციონალური მომხმარებელი:
- დოვლათს იყენებს ფუჭი, ცრუ (ფსევდო) მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (არასწორი, ზედმეტი მოხმარება);
 - ვერ არჩევს დოვლათის გამოყენების საუკეთესო მიმართულებას;
 - არ იყენებს ნარჩენებს და არ მიმართავს დოვლათის განმეორებით გამოყენებას;
 - ინახავს დოვლათს სრულიად გამოუყენებლად (ფუჭი დაგროვება) და სხვა [3, 371].

მოხმარებას საფუძველად მოთხოვნილებები უდევს. მოთხოვნილების რეალიზაცია მოხმარებით ხდება, ანუ მოხმარება რეალიზებული მოთხოვნილებაა. მაგრამ საქმე ისაა, რომ მოთხოვნილებები უსაზღვროა, მოხმარება ზღვარდებულია, გადახდაუნარიანობით, ჯიბით, მსყიდველობითი უნარით. ამიტომ ხშირად ჩნდება კითხვა: რა მოვისმაროთ? რა რაოდენობით? შეიძლება თუ არა მოხმარების რეგულირება?

მოთხოვნილებათა ნაწილი ზღვარდებულია, გაჯერებულია, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ ეს

ზღვარი, გაჯერებულობის დონე. ზოგისთვის მხოლოდ მაშინ ჩნდება ტელევიზორების სიჭარბე, როცა ყველა ოთახში ტელევიზორს დაიდგამს. ზოგი ფირმა იმაზე მეტ ნედლეულს, დაზგას თუ იარაღს იმარაგებს, ვიდრე სჭირდება. თუ რომელიმე ქვეყანას იმაზე მეტი თვითმფრინავი, ტანკი, რაკეტა აქვს, რაც მას თავდაცვისათვის სჭირდება, - მსოფლიოს დანარჩენი ქვეყნები მაშინვე სათანადო ღონისძიებებს მიმართავენ ამ ქვეყნიდან საფრთხის ასაცილებლად.

არსებობს ეგრეთწოდებული ზღვარდაუდებელი, გაუჯერებელი მოთხოვნილებები - ფულის, სიმდიდრის, დიდების, ძალაუფლების. გაუმაძღრობა, სიხარბე ახასიათებს ზოგიერთ ადამიანს, ოჯახს, ფირმას და თვით სახელმწიფოსაც.

არსებობენ მავნე, არარაციონალური მოთხოვნილებებიც. მათ აქვთ ზრდის გამოკვეთილი ტენდენცია, მაგალითად, სიგარეტის მოწვევის, სპირტიანი სასმელების, ნარკოტიკების მოხმარების.

ბ. რაიზბერგს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხმარების ნორმის დაცვა. ის თვლის, რომ მოხმარების ნორმა ეს არის მატერიალური სიკეთის, მომსახურების, ინფორმაციის, სულიერი ფასეულობების მეცნიერულად დასაბუთებული, მიზანშეწონილი, ობიექტური თანაფარდობიდან გამომდინარე მოხმარების დონე. ეს არის მეცნიერების მიერ რეკომენდებული მოხმარების დონე, რომელიც შეესაბამება დასაბუთებულ ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებს [9, 281].

მოხმარების ნორმის დაცვა მოხმარებას რაციონალურს ხდის და მიმართულებას აძლევს ადამიანის ეკონომიკურ ქცევას. მოხმარების რაციონალურობა მნიშვნელოვანია თითოეული ადამიანისათვის, ოჯახისათვის, საზოგადოებისთვის, რადგან „მოხმარებას ახასიათებს ამბივალენტობა და ორპოლუსიანობა - ის შეიძლება სიკეთისკენაც იყოს მიმართული და ზიანისკენაც სწორედ გამოყენების მიმართულების, ხასიათის მიხედვით. თვით სიკეთის მიღების შემთხვევაში კი ეს უკანასკნელი შეიძლება მეტი ან ნაკლები იყოს იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფს დოვლათის გამოყენების არჩეული მიმართულება მეტი შედეგების მიღებას“ [2, გვ. 360].

მოხმარების რაციონალური ნორმა, ჩვენი აზრით, ეკონომიკური კულტურის შინაარსის და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური კულტურის აღზრდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

ეკონომიკური კულტურის შინაარსში ლ. პონომარიოვს, ვ. პოპოვს, ვ. ჩიჩკანოვს [8, გვ.10-28], ზ. ტოშჩენკოს [10, გვ. 44-45] შემოაქვთ “გონივრული



მოთხოვნის” ცნება.

ლ. ლუბიმოვი ეკონომიკურ კულტურას „არჩევანის პრობლემას“ უკავშირებს. მისი აზრით, ეკონომიკური კულტურა ითვალისწინებს შეზღუდული რესურსების პრობლემას და ამიტომ ახალგაზრდამ უნდა შეძლოს არჩევანის გაკეთება საკუთარი თავისთვის, ოჯახისთვის, საზოგადოებისთვის. თუ ბავშვი დამოუკიდებლად არ გადაწყვეტს არჩევანის ამ პრობლემას, იგი მიეჩვენება მზა გადაწყვეტილებებით ცხოვრებას და სულაც არ შეაწუხებს სხვის კმაყოფაზე ყოფნა [7, გვ. 125].

მოთხოვნის საფუძველად უდევს სარგებლიანობით-მოტივაციური დამოკიდებულება ნივთებისადმი. რადგან დამოკიდებულება ვახსენეთ, ისმება კითხვა: საჭიროა დაკმაყოფილდეს ყველა მოთხოვნა და ეს სოციალური სიკეთეა? ანუ, საჭიროა თუ არა გვექნდეს და ადამიანი არჩევანის წინაშე არ დადგეს? ამ კითხვებზე პასუხი მოხმარების რაციონალურობას განსაზღვრავს.

ჯერ კიდევ არისტოტელე გვაფრთხილებდა: „ყოველგვარი დაკმაყოფილება სიკეთე არაა“ [5, გვ. 211], ხოლო ციცერონი წერდა - „სიხარბე, ეს სხვისი ქონების დაუფლების დანაშაულებრივი გრძნობაა“.

მოთხოვნის მრავალფეროვანია და ამავე თვალსაზრისით არაერთგვაროვანი. აქედან გამომდინარე პედაგოგიურ ლიტერატურაში დღემდე მიღებულია მოთხოვნის დაყოფა გონივრულ და არაგონივრულ მოთხოვნებად. პროფ. გ. მაღალაშვილის აზრით, „გონივრულად, ნამდვილად, საზოგადოებრივად ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ ის მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება საერთო საკაცობრიო კრიტერიუმების თანახმად ადამიანისთვის სარგებლობის მომტანია, მის კეთილდღეობას, განვითარება-სრულყოფას განაპირობებს და შეესაბამება მთელი საზოგადოების პროგრესის ინტერესებს. არაგონივრული, ცრუ (ფსევდო) მოთხოვნებაა დოვლათისადმი ისეთი სწრაფვა, რომელიც უპირისპირდება, აზიანებს ადამიანის ბიოსოციალურ არსებობას, საკაცობრიო პროგრესს“ [2, გვ. 361].

გონივრული, ნამდვილი მოთხოვნები შესაბამისობაშია საკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობებთან. ერთ-ერთ ასეთ ფასეულობად „ოქროს ზომიერება“ მიიჩნევა, ანუ ისეთი მოხმარება, რომელსაც ადამიანისთვის ზიანი არ მოაქვს. (ცნობილია, რომ ზომიერების დარღვევას კვებაში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა მოყვება. იგივე შეიძლება ითქვას მატერიალურ სამომხმარებლო ზომიერების დარღვევაზე, მას ხშირად „სულის დაშლა“ მოყვება ხოლმე.) ჯანსაღი ცხოვრების

წესში „ხედმეტის კატეგორია“ ვერ თავსდება „სიკეთეა იქ, სადაც ადგილი არა აქვს გადაჭარბებას, მაგრამ, თუ საგანი უფრო მეტია, ვიდრე უნდა იყოს, მაშინ ბოროტებას ექნება ადგილი“ [1, გვ. 55].

ეკონომიკური დოვლათი აუცილებელი საარსებო საშუალებაა. ის უზრუნველყოფს ადამიანთა სიცოცხლეს, ცხოვრებას, კეთილდღეობას, მაგრამ სოციალურ სფეროში ეკონომიკურ დოვლათს თავისი შეფასება და ადგილი უნდა ჰქონდეს საბოლოო დანიშნულების მიხედვით. ჰეგელი ამის შესახებ აღნიშნავდა, „ყველაფერ ადამიანურს - სიმდიდრეს, პატივს, ძლიერებასა და ზუსტად ასევე ხელმოკლეობას, მწუხარებას და ა.შ. აქვს თავისი განსაზღვრული ზომა, რომლის გადამეტებას მიყვავართ ნგრევამდე და დაღუპვამდე“ [6, გვ. 258].

ეკონომიკური დოვლათის ზრდისა და სოციალური ჰარმონიზაციის ურთიერთკავშირის აუცილებლობაზე მიუთითებდა თ. რუზველტი: „ჩვენი პროგრესის სასინჯო ქვა იქნება არა ის, თუ რამდენად გავზრდით საქონლურ სიმდიდრეს, არამედ ის, შევძლებთ თუ არა საკმარისად უზრუნველყოთ ხელმოკლენი“

ამრიგად, გონივრული მოთხოვნის ადამიანთა საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

არაგონივრული მოთხოვნების, მოხმარების უარყოფითი შედეგებია:

- დამატებითი შრომითი მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვა და საბოლოო ჯამში მათი დანაკარგი;
- სოციალურ სიკეთეთა შემცირება;
- საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების შეფერხება;
- სოციალური უსამართლობის გაჩენა და გაღრმავება, რადგან ხშირად ამ დროს ადამიანთა ერთი ჯგუფის არაგონივრული, არაჯანსაღი მოთხოვნები კმაყოფილდება სხვების ჯანსაღი, გონივრული მოთხოვნების ხარჯზე.

და ბოლოს, დოვლათის არათანაბარ განაწილებაზე თავის მოთხოვნაში, - „დედამიწამ რა სთქვა“ - ვაჟა-ფშაველა წერს „ადამიანო, თუ მე დედა ვარ (დედამიწა) და თქვენ ჩემი შვილები, რატომ არ ცხოვრობთ ისე, როგორც ძმები? რად სტაცებთ ერთიმეორეს პირიდან ლუკმას? რად გვაქვს ზოგს ათასი ლუკმა და სხვას ერთიც არა? ათასი ლუკმის პატრონი, ეგ ხომ ჩემი ამაგია, რად თავხედობ და იჩემებ იმას, რაც შენი არ არის, არც ყოფილა და არც როდისმე იქნება?.. გრცხვენოდეს!“...

1. არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981
2. მაღაშხია გ., ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები; გამომც. "ეგრისი" თბ., 2001.
3. მაღაშხია გ., მეტაეკონომიკა ეკონომიკის ფილოსოფია, თბ., 1995
4. მექვაბიშვილი ე., ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოდელის შექმნის ზოგიერთი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი, კრებულში - „გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“, გამომც., „უფლება“ გვ. 7-14, თბ., 1999
5. Аристотель, соч. Т.4
6. Гегель, Наука логики, М., 1974
7. Любимов Л. Основы Экономических знаний, проект программы X-XI классов, РЭЖ. № 8, 1992
8. Пономарев Л.Н., Попов В.Д., Чичканов В.П., Экономическая культура, М., 1987
9. Райсберг Б.А. Основы Экономики, учебное пособие, М., изд. “Инфра-М”, 2001
10. Тошенко З.Т. Идеология и Экономика, М., 1981

Market Economy And economic rearing tasks

Ketevan Chiabrishvili

Ph.D, Assistant professor,

Davit Aghmashenebeli National Defence Academy of Georgia

Natela Natroshvili

Ph.D. Principal of Public School #72

Human needs are diverse and ambiguous at the same time. Hence educators consider relevant the division of needs on reasonable and unreasonable. As Prof. G. Malashkhia explains “Only those needs can be regarded wise, real, socially normal, meeting of which according to universal human criteria are beneficial for human because they contribute welfare, development and correspond the interests of the whole society progress. Unreasonable, false (pseudo) needs represent such striving to welfare that confronts, damages biosocial existence of human, human progress”.

Reasonable, real needs are consistent with important human values. An example of such values is a “Golden moderation”, i.e. the consumption which is harmless to humans. (It is known that the metabolism disorder can be caused by overeating – violating golden mean. The Same could be said for the violation of golden mean in material consumption, as a result "the collapse of the soul" comes out.) Healthy life style could not be consistent with overconsumption. "Good place where there is no excess, but if the subject is more than you should be, then evil will take place”.

ინფლაციის ნორმალიზებისა და მეცნიერებაში ხელფასის ზრდის საკითხისათვის



რევაზ ლორთქიფანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი



როლანდ სარჩიშელია
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ციალა ბიორბაძე
მეცნიერთანამშრომელი

შრომაში განხილულია ინფლაციის ნორმალიზების სპეციფიკური პრობლემები და რეალური ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკის სტრუქტურის ზღვრული ეფექტიანობისათვის აღნიშნულია მეცნიერებისა და მასთან დაკავშირებული დარგების სტიმულირების აუცილებლობა.

ინფლაცია ფასების დონისა და ფულადი ერთეულის შესაბამისი ბუნებრივი ცვლილებებითაა განპირობებული და, როგორც უმუშევრობის ბუნებრივი დონე, ყოველთვის გარკვეულ ნიშნულზე მაინც არსებობს და ნორმალური ეკონომიკური ზრდის პირობებთანაც თანაარსებობს. საზოგადოებაში ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებიც არ შრომობენ და შექმნილ დოვლათსა და სიკეთებს კი უხვად მოიხმარენ - ასეთებია ბავშვები, მოხუცები, ავადმყოფები და სხვადასხვა შეჭირვებულები და სწორედ ეს განაპირობებს გარკვეული ინფლაციის ბუნებრივ საფუძველს.

მცირე ინფლაცია (წლიური 4-10%-ის ფარგლებში) ბუნებრივი მოვლენაა და ის, გრძელვადიანი დეფლაციისაგან (ფასების შემცირების ხანგრძლივი პროცესი) განსხვავებით, როცა ადამიანები ფულის შენახვას იწყებენ და წარმოება იკვეცება, ნორმალურ ეკონომიკურ ზრდას შეესაბამება (შესაბამისი ასეთივე ტემპებით). უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როცა, ძალზე მოკლევადიანი 20-30%-იანი ინფლაციის პირობებში, გარკვეული რეალური ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაც ხერხდება.

ცნობილია, რომ ფულადი ერთეულის განმტკიცების ერთადერთი რეალური გზა წარმოების პროცესის და მათ შორის საექსპორტო პოტენცია-

ლის სათანადო დონეზე უზრუნველყოფაა და მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის აგრეგაციის მატება აუცილებლად რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მატების დონეს უნდა შეესაბამებოდეს. გასათვალისწინებელია, რომ ყოველად დაუშვებელია ჭარბი ფულადი მასის დაუსაბუთებლად გაშვება მიმოქცევაში, რაც, ხშირ შემთხვევაში, ფინანსურ-ეკონომიკური აგრესიის დაფარულ ინტერესებშია და რამაც ჰიპერინფლაცია და პოლიტიკური დესტაბილიზაცია შეიძლება გამოიწვიოს საბოლოო ჯამში.

საქართველოს ეკონომიკა მცირე მასშტაბებისაა და, ბუნებრივია, ის მეტად განიცდის საერთაშორისო კრიზისებისა და მანევ მონოპოლიების გავლენას და, ასეთ პირობებში, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან გონივრული ურთიერთობა განსაკუთრებით აქტუალურია. ამ მხრივ ნიშანდობლივია და მადლიერებით უნდა აღინიშნოს მათი დახმარება კუპონის რეკორდული ჰიპერინფლაციის ჩაქრობაში, როცა, ამის გამო, საქართველო ბოლო ადგილზე დავიდა მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით ერთ მაცხოვრებელზე გადაანგარიშებით.

ზოგიერთი ექსპერტი გამოთქვამს მოსაზრებას ოქროს მონეტების აღდგენასთან დაკავშირებით, რაც, ბუნებრივია, გააქრობს ფულის დევალვაციას,

სხალი მკონომისტი THE NEW ECONOMIST

მაგრამ ვერ უშველის შესაძლო ფასების ზრდას და არარეალურია მშპს-ს მზარდი მასის შესაბამისი ოქროს სათანადო რეზერვების არარსებობის გამო.

წარმოების ზრდის საფუძველი რესურსების ექსტენსიური ზრდაც შეიძლება იყოს, მაგრამ აღნიშნული რეალურად ეფექტიან ეკონომიკურ განვითარებაში მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებატევადი წარმოებისა და მომსახურების საფუძველზე შეიძლება გადაიზარდოს.

საპირისპიროდ ხემოსხენებულისა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის რეფორმების ხარვეზების გამო, მეცნიერი რომ განსაკუთრებით შეჭირვებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა საქართველოში, ფაქტია. მეცნიერმუშაკების საშუალო ხელფასი (საშუალოდ 200 ლარის მახლობლობაში) ცოტათი თუ აღემატება პენსიონერის შემოსავლებს და კომუნალურ გადასახადებსაც არ ჰყოფნის სმირ შემთხვევაში. მხოლოდ ძალზე იშვიათი გამონაკლისები არსებობს შემოსავლიანი წესიერი მეცნიერებისა, ისიც, ძირითადად, ვისაც შემთხვევით პირობა შეექმნა და ვინც საზღვარგარეთ მოახერხა საცხოვრებლად გამგზავრება ან კონტაქტების დამყარება. სახელმწიფო სტრუქტურებში კი ჯერ კიდევ შემორჩნენ “ჩინოვნიკები”, უფრო მეტ ხელფასს რომ იღებენ, ვიდრე მთელი 50-კაციანი ინსტიტუტები. ამერიკული და ევროპული ცხოვრება რომ გვინდა, შეცდომები ყველგანაა, მაგრამ ისინი იმიტომ ცხოვრობენ უკეთ, რომ მეცნიერული ქვეყნებია და იქ, რაც მეტს სწავლობ, საშუალოდ მეტი გაქვს შემოსავალიც [1]. საბჭოთა კავშირშიც კი, მეცნიერების საშუალო ხელფასი არ ჩამორჩებოდა უმაღლესი თანამდებობის სამთავრობო მუშაკების საშუალო შემოსავლებს

და გარკვეულ პერიოდებსა და შემთხვევებში აღემატებოდა კიდევ.

არამეცნიერების საწყენად არ ვამბობთ და მეცნიერი ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის ადამიანია და მას ყველაზე მეტი უნდა ჰქონდეს ანაზღაურება (ნებისმიერ ჩინოვნიკზე მეტი, პრეზიდენტისა და პრემიერის გარდა). ასეთი დამოკიდებულებით, მრავალი ქვეყანა განვითარებული ხდება, თუ არადა, საუკეთესო განვითარებულობაც იკარგება. ამასთანავე, ფუნდამენტური მეცნიერება აუცილებლად საბაზო სახელმწიფო დაფინანსების ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს და მეცნიერის ხელფასის მომატება არ უნდა ნიშნავდეს მეცნიერთა მასის დათხოვნას და “ელიტარული” კლანების შექმნას. ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობა და რენტაბელობა ხარჯების მინიმიზებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს მეცნიერებასა და მასთან დაკავშირებულ მეცნიერებატევად დარგებს მაქსიმალურად ნაკლებად უნდა ეხებოდეს [2-3].

ნამდვილად აღსანიშნავია პრიორიტეტები, რომ “მთავარია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად სავალუტო პარიტეტსა და შრომის მწარმოებლურობის მაჩვენებლებს შორის კავშირების საფუძვლიანი გარკვევა... არსებითია ფულიდან ფულის “კეთების” დაგმობა, რათა ფულმა საზოგადოებაზე ამ კუთხით არ “იბატონოს” და ქვეყანაში პროდუქციის აღწარმოებას ხელი არ შეეშალოს, ხოლო მეწარმეობის განვითარება ეფექტიანი მესაკუთრის ფორმირებით დარეგულირდეს”[4].

მეცნიერების ამოყვანას ბევრი არ სჭირდება. უბრალოდ გულიანი დამოკიდებულება და სამშობლოსა და საკუთარი საქმის მეტი სიყვარული უნდა.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. Fischer S., Dornbusch R., Schmalensee R., Economics. - New York, Second editions (see about wages).
2. ღორთქიფანიძე რევაზ, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. - თბილისი, წმიდა ქაშვეთის ტაძარში კურთხევით, 2014. <http://dSPACE.nplg.gov.ge/handle/1234/29377>
3. ღორთქიფანიძე რევაზ, ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი “ახალი ეკონომისტი”, 2012, №1, გვ. 17-18.
4. სარჩიმელია რ. ლიპარტია ზ. ღარის კურსის დღღართან მიმართებაში ცვლილებების გავლენა სამამულო წარმოების პროდუქციის დეფიციტზე. - “აუღიტი, აღრიცხვა, ფინანსები”, 2007, №9, გვ. 45.
5. <http://en.wikipedia.org/wiki/Eu>
6. http://en.wikipedia.org/wiki/European_Commission
7. <http://www.imf.org/external/data.htm>
8. <http://data.worldbank.org>

For normalization of inflation and growth of wages in science

Revaz Lordkipanidze
Doctor of Economic Sciences
Roland Sarchimelia
Doctor of Economic Sciences
Tsiala Giorgadze
Scientist

The authors of work illustrates of specific problems of normalization of inflation and necessity of encourage of science and related fields for real economic development and marginal efficiency of economic structure.



ვასილ ხიზანიშვილი

ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ყოველი ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას ბიზნესპრაქტიკის რეგულირებისათვის, საკანონმდებლო სფეროში მისი აქტიური ჩართულობა წარმოადგენს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „ხელისუფლების“ შესახებ ამ კონტექსტში, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა აქტიორთა, ინსტიტუციათა მთელი ჯგუფები და პროცესები.

ხელისუფლებას, როგორც სტეიკჰოლდერს აკისრია ორი ძირითადი როლი: I – ხელისუფლება როგორც მოქალაქეთა ინტერესების არჩეული წარმომადგენელი, და II – ხელისუფლება, როგორც აქტიორი (ან აქტიორთა ჯგუფი) თავისი საკუთარი ინტერესებით.

ხელისუფლებასა და ბიზნეს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების დელიკატური ბუნება, როდესაც ისინი თანამშრომლობენ ან მეტოქეობენ ერთსა და იმავე სფეროში, ცხადდება იმ გარემოებათა გამო, რომ ისინი ხშირად ფუნქციონირებენ განსხვავებულ და არათანაბარ ძალთა პოზიციიდან. ასეთ დროს გადაწყვეტ როლს სწორედ ხელისუფლება, როგორც ბიზნესის წარმატებით დაინტერესებული მხარე, როგორც სტეიკჰოლდერი თამაშობს.

ყოველი ხელისუფლების ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას ბიზნესპრაქტიკის რეგულირებისათვის, საკანონმდებლო სფეროში მისი აქტიური ჩართულობა წარმოადგენს. როგორც ცნობილია და რის შესახებაც ჩვენ აგვიღნიშნავს, ბიზნეს - ეთიკა იწყება იქ, სადაც მთავრდება კანონი,* რაშიც იგულისხმება ის, რომ ხელისუფლება თავის თავზე იღებს სულ მცირე საბაზისო მისაღები პრაქტიკის დაწესებას ბიზნესში. ის ასევე ეფექტურად უზრუნველყოფს „ფუნქციონირების ლიცენზიით“ ბიზნესს თავის იურისდიქციაში.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ „ხელისუფლების“ შესახებ ამ კონტექსტში, მხედველობაში გვაქვს სხვადასხვა აქტიორთა, ინსტიტუციათა მთელი ჯგუფები და პროცესები.[1, 388] უმეტესი ევროპული ქვეყნის მსგავს დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლება მოიცავს ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელი შტოს, რომლებიც მოქმედებენ საპარლამენტო თანხმობის საფუძველზე. მაშასადამე, „ხელისუფლება“ შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ხელისუფლება შედგება მრავალგვარი ინსტიტუციებითა და აქტიორებისაგან სხვადასხვა

დონეზე, რომლებიც კანონთა გამოყენებისას ინაწილებენ საერთო უფლებამოსილებებს.

კანონთან მიმართებაში, ბიზნესის ეთიკის კონტექსტში არსებითად ჩვენ დაკავშირებულნი ვართ კოდიფიკაციის კონკრეტულად იმ საკითხთან, თუ რას მიიჩნევს საზოგადოება შესაბამის და შეუსაბამო მოქმედებად, საიდანაც გამომდინარეობს შემდეგი სახის დეფინიცია:

სოციალური კონსენსუსის ზუსტ წესებში კანონები ასრულებენ კოდიფიკაციის ფუნქციას იმის შესახებ, თუ რა მიაჩნია საზოგადოებას სწორად და არასწორად.

სწორი და არასწორი ბიზნესპრაქტიკის კანონთა კოდიფიკაციის განხილვისას, მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ კანონი წარმოადგენს ბიზნეს-რეგულაციის გაცილებით ფართო სფეროს ერთ-ერთ ასპექტს. სახელდობრ, რა იგულისხმება რეგულაციაში?

რეგულაცია სრულად ეხება ბიზნესქცევების მთელ მმართველობით წესებს. ის მოიცავს წესებსა და ქმედებებს, ისევე როგორც კავშირშია ფორმალური თუ არაფორმალური წესების შექმნისა და ზემოქმედების სხვა ფორმებთან. რეგულა-

* ვ. ხიზანიშვილი., უკრნ. ეკონომიკა №5-6, თბ., 2013, გვ. 197

ცია ასევე მოიცავს ფართო სამთავრობო პოლიტიკის მიმართულებებს, კონცეფტებს, მიზნებსა და სტრატეგიებს, ყველაფერ მას, რაც საბოლოოდ შესაძლებელს ხდის ან ზღუდავს ბიზნესაქტივობას. თუმცა ყველა რეგულაცია როდის წარმართება კანონებით; ხანდახან ის ფუნქციონირებს კრეატიული ნორმების საფუძველზე, რაც განსაზღვრავს მისაღებ ქცევებს, მაგრამ რომელიც არსებითად ფუნქციონირებს მხოლოდ საზოგადოებრივი ზეგავლენით და წახალისებით.

ორივე ეს განმარტება – რომ რეგულაცია არის წესების განსაზღვრული ტიპების შესახებ, და რომ ის წარმართება სამთავრობო და არასამთავრობო აქტივობით, შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ მისი შემდეგი დეფინიცია:

რეგულაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც წესები, რომლებიც გამოიცემა სამთავრობო აქტივობით და სხვა უფლებამოსილი ორგანოების მიერ ბიზნესმოქმედებების შეზღუდვის, გაფართოების, თუ წახალისებისათვის. რეგულაცია მოიცავს წესებს, კანონებს, მექანიზმებს, პროცესებს, სანქციებსა და ინიციატივებს.


ეს დეფინიცია შესაძლებლობას გვაძლევს გავერკვეთ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის ბუნებაში და კერძოდ, კორპორაციაში ხელისუფლების სპეციფიკური წილის ფლობაში.

როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ხელისუფლების, როგორც სტეიკჰოლდერის ძირითად როლზე ბიზნესში, საჭიროა გვახსოვდეს, რომ როგორც წესი, საქმინ წრეებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ ხელისუფლების მიმართ. ერთი მხრივ, ბიზნესს უყვარს “ჩივილი” ჰიპერაქტიურ ხელისუფლებას, რომელიც ბიზნესისაგან “ზღვარგადასული” გადასახადების გადახდას მოითხოვს, ან ახდენს მისი საქმიანობის შეზღუდვას, მაგალითად, კომპანიების შერწყმათა ბლოკირებას, ან პროდუქციის უსაფრთხოების ახალი სტანდარტების წამოყენებას. მეორე მხრივ, ბიზნესი ასევე ელოდება, რომ ხელისუფლება მუდმივად მონაწილეობდეს მისი ინტერესების დაცვაში, ისეთის, როგორიც არის მაგ., ქვეყანაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ან სულაც პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება, რაც მკვეთრად შეზღუდავდა უცხოური კომპანიების წილს და სამოქმედო არეალს შიდა ბაზარზე.

თუ ჩვენ შევხედავთ ამ ურთიერთობებს ხელისუფლების პერსპექტივიდან, სიტუაცია სრულადაც არ არის მარტივი. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკოსები აქტიურად თანამშრომლობენ ბიზნესთან, არჩევნიდან არჩევნებამდე ისინი ასევე ითვალ-

ისწინებენ საკუთარი ამომრჩევლის მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს, რომელთა მოლოდინს ბიზნესში ხელისუფლების მხრიდან დოზირებული კონტროლი წარმოადგენს იმისათვის, რომ ბიზნესი ყოველთვის მოქმედებს საზოგადოების ინტერესთა გათვალისწინებით.

ხელისუფლების, როგორც მნიშვნელოვანი სტეიკჰოლდერის, ბიზნესზე ზეგავლენისა და ამ უკანასკნელის მხრიდან მასზე უკუქმედების საკმაოდ რთული ურთიერთობის გასარკვევად, საჭიროა, რომ ჩვენ გავმიჯნოთ ხელისუფლების ორი ძირითადი როლი, რომელიც ნაჩვენებია ნახ. 1 სახით [2, 388].



ნახ. 1. ხელისუფლება როგორც ბიზნესის სტეიკჰოლდერი

ეს არის: პირველი, - ხელისუფლება, როგორც მოქალაქეთა ინტერესების წარმომადგენელი; და მეორე, - ხელისუფლება, როგორც აქტიური (ან აქტივობის) თავისი საკუთარი ინტერესებით. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ხელისუფლება, როგორც მოქალაქეთა ინტერესების არჩეული წარმომადგენელი. სხვა სტეიკჰოლდერებისგან (მაგ., აქციონერები, თანამშრომლები, ან მიმწოდებლები). განსხვავებით, ხელისუფლება არსებითად წარმოადგენს მოელ საზოგადოებას, იმდენად, რამდენადაც ის აირჩევა გარკვეული ქალაქის, რეგიონის, ქვეყნისა თუ კონტინენტის (მაგ. ევროპის პარლამენტი) მოქალაქეთა მიერ. ამ კავშირში, ხელისუფლება თავისებრივად მსგავსია სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რადგან ისინი წარმოადგენენ საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესებს. და ამ როლში, როგორც მოქალაქეთა ინტერესების არჩეული წარმომადგენელი, ხელისუფლება უმთავრესად განსაზღვრავს კიდევ ბიზნესის ფუნქციონირების ლიცენზიის პირობებს.

პრაქტიკაში, ფუნქციონირების ეს დეფინიცია ჩვეულებრივ უფრო შესამჩნევი ხდება იმ სივრცე-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ში, სადაც ხელისუფლება საკუთარ ამომრჩეველთა მანდატის შესრულებისას ცდილობს ბიზნესის შეზღუდვას. მაგ: ისინი აწესებენ გარემოს დაცვით რეგულაციებს, რაც აიძულებს კომპანიებს ფილტრების ინსტალირებას, ან ნარჩენების გადაამუშავებას; ისინი უწესებენ მათ გადასახადებს კორპორაციულ მოგებებზე; და ისინი იკვლევენ, თუ რამდენად არის კომპანიების შერწყმის მოთხოვნა საზოგადოების ინტერესში.

ყოველივე ეს ღონისძიება ტარდება იმისათვის, რომ ბიზნესინტერესები მუდმივ თანხედრად იყოს საზოგადოებრივ მოთხოვნებთან. კერძოდ, - ყოველთვის არსებობდეს პატიოსანი და ღია კონკურენცია მომხმარებელთა სასიკეთოდ, და საფრთხე არ შეექმნას ახლანდელ და მომავალ თაობათა ჯანმრთელობას [2, ,97,120].

პირველი ასპექტი მჭიდროდ უკავშირდება ბიზნესთან მიმართებაში ხელისუფლების დადებით როლს [3, 208-15]. კომპანიების შერწყმის აკრძალვით ან საფონდო ბაზრებზე ტრეიდერების ქცევათა რეგულირებით, ხელისუფლება ფაქტობრივად პირველ რიგში ასრულებს საკანძო როლს ბიზნესის წახალისების, ბიზნესსაქმიანობათა შესაძლებლობების უზრუნველყოფის საქმეში. რადგან ლოგიკურია, რომ ბაზრები შეიძლება მხოლოდ მაშინ ფუნქციონირებდეს, როდესაც დადგენილია ძირითადი წესები და არსებობს შესაბამისი ნორმატიული ბაზა.

ხელისუფლება როგორც აქტიორი (ან აქტიორთა ჯგუფი) თავისი საკუთარი ინტერესებით. მოტივაციები, რის საფუძველზეც ხელისუფლება აქტიურად ერევა ეკონომიკაში, დროდადრო შესაძლოა იყოს ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ არსებითია ის, რომ ისინი მოქმედებენ უშუალოდ მათი ელექტორატის ინტერესების გათვალისწინებით. ხელისუფლება შეიძლება ასევე იქნეს განხილული, როგორც აქტიორი (ან აქტიორთა ჯგუფი) თავისი საკუთარი ინტერესებით. ამის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლებას ჩვეულებრივ გააჩნია კვლავ არჩევის სურვილი და ინტერესი. დემოკრატიის უმეტეს ქვეყნებში ხელისუფლების მიერ ელექტორატზე დაწესებული კონტროლი რამდენადმე ირიბია. თუმცა ჩვენ შეიძლება დავუშვათ, რომ ბიზნესით დაინტერესებული ხელისუფლება წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთარი ელექტორატის (ირიბ) წარმომადგენელს, არამედ ასევე, როგორც (პირდაპირ) სტეიკჰოლდერს თავისი საკუთარი უფლებებითა და ინტერესებით.

ამგვარად, ხელისუფლება წარმოადგენს პირველ და ყველაზე მეტად დაინტერესებულ მხარეს ეკონომიკური ბუმის დროს, რაც ფაქტობრივად მას ხდის ძლიერ დამოკიდებულს ბიზნესზე. ერთი მხრივ, მათი საარჩევნო წარმატებები დამოკიდებულია მაღალი დასაქმების, მზარდი შემოსავლების და ბიზნესსაქმიანობების, გაფართოების პოლიტიკის მხარდაჭერასა და გატარებაზე. მეორე მხრივ, არცერთი ამათთაგანი არ იმყოფება უშუალო გავლენის ქვეშ ხელისუფლების მხრიდან. ეს მდგომარეობა კი ხელისუფლებას ხდის საკმაოდ სუსტს და ბიზნესზე დამოკიდებულ სტეიკჰოლდერს. თუმცა ამ როლში ხელისუფლება არა მხოლოდ დამოკიდებულია ბიზნესზე, არამედ ასევე მეტოქეობს ბიზნესთან. მაგალითად, ბევრ ევროპულ ქვეყანაში სახელმწიფოსგან ფინანსირებადი სატელევიზიო კომპანიები (მათ შორის ჩ დიდ ბრიტანეთში და ლ გერმანიაში) კონკურენციას უწევენ კერძო ოპერატორებს.

დასასრულს შეიძლება აღინიშნოს, რომ ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების დელიკატური ბუნება, როდესაც ისინი თანამშრომლობენ ან მეტოქეობენ ერთსა და იმავე სფეროში, ცხადდება იმ გარემოებათა გამო, რომ ისინი ხშირად ფუნქციონირებენ განსხვავებულ და არათანაბარ ძალთა პოზიციიდან. ერთი მხრივ, ხელისუფლება სარგებლობს გადაჭარბებული ძალაუფლებით ანუ ინსტიტუციონალური უფლებამოსილებით, რამდენადაც მას შეუძლია განსაზღვროს ბიზნესის თამაშის წესები შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე. მეორე მხრივ, კორპორაციებს, შესაბამისად, ბიზნესს დროდადრო ძალუძს ისარგებლოს ეკონომიკური უპირატესობით (ანუ ხელსაყრელი ეკონომიკური პირობებით), ვინაიდან პოტენციურად მათ გააჩნიათ ფინანსურ წყაროთა დამატებითი რესურსი ინვესტიციებისათვის, მაშინ როდესაც ხელისუფლებას ზოგჯერ არ ძალუძს ან არ სურს დამატებითი გადასახადების გენერირებით მისი რეალიზება. ამგვარი მდგომარეობა კიდევ უფრო მგრძობიარეს ხდის ხელისუფლებასა და ბიზნესის დამოკიდებულებას და მათ შორის ნორმალური ურთიერთობისათვის გადამწყვეტ როლს, როგორც ბიზნესის წარმატებით დაინტერესებული მხარე, როგორც სტეიკჰოლდერი სწორედ ხელისუფლება თამაშობს.



ბამოყენებელი ლიტერატურა:

1. Andrew Crane, Dirk Matten; Business Ethics, A European Perspective (Managing Corporate Citizenship and Sustainability in the Age of Globalization); Oxford University Press, 2004,
2. Thorne McAlister, D., Ferrel, O.C., Ferrel, L. Business and Society: A Strange Approach to Corporate Citizenship. Boston: Houghton Mifflin., 2003.
3. Carroll, A.B. and Buchholtz , A.k. Business and Society: Ethics and Stakeholder Management, 4th edn. Cincinnati: South-Western College., 2000.

The Government as a stakeholder

Vasil Khizanishvili
 Assistant Professor of
 I.Gogebashvili Telavi State University,
 PhD in Economics

The active involvement in the legislative sphere is one of the most important functions of the government for regulation of business practices. When we talk about the “government” in this context, we have in our point of view the various kinds of actors, Institutions, groups and processes.

The government as a stakeholder has two basic roles: I – the government as an elective representative of citizens’ interests, and II - the government as the actor (or the group of actors) with its own interests.

The delicate nature of relationship among the government and business, when they cooperate or compete in the same sphere, is announced due to the circumstances, that they often function from the different and unequal positions. In a such situation the government, as the interested party of a successful business plays a decisive role.

სტატიის ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



პაატა კოლუაშვილი
სტუ პროფესორები

ბიორბი ზიბზიბაძე
სტუ პროფესორები

ანხორ მუსხიშვილი
ექსპერტი უძრავი ქონების (მიწის) საკითხებში

ნაშრომში განხილულია მიწის ფართობების აღრიცხვის ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და მოცემულია გზები ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის დარეგულირებისთვის.

ავტორებს მიზნიათ, რომ საჭიროა საქართველოში აღდგეს მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მიწაზე მონიტორინგის და მიწის სათანადო დაცვის პრაქტიკა და დროულად შეიქმნას მძლავრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი არაერთი წე რი-ლის, ჩვენი არაერთი პუბლიკაციისა და სატელევიზიო გამოსვლის მიუხედავად, სამწუხაროდ, მიწის აღრიცხვისა და მიწის კოდექსთან ჩვენს მიერ დაყენებულ მწვავე საკითხებს შესაბამისი ორგანოების მხრიდან არავითარი რეაგირება არ მოჰყოლია.

2005 წლამდე ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულები-სა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთ რეთა და მოსარგებლეთა მიხედვით. ამ მიზნით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გამგეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასა მტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე იმიტომ გავაკეთეთ აქცენტი, რომ ქვეყნისთვის უპირველესი ეროვნული სიმდიდრის – მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის მოწესრიგება დროული და უპირველესი ამოცანა უნდა გამხდარიყო ახალი ხელისუფლებისთვის.

ჩვენი აზრით, საქართველოს მიწის ფართობების აღრიცხვის უზულებელყოფა სახელმწიფო-ბრივი დანაშაულია და მომავალი თაობა ამას არ გვაპატიებს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან აშუამად შექმნილია

კომისია, რომელიც მუშაობს მიწის აღრიცხვისა და მიწის კოდექსის პროექტის შედგენის საკითხებზე, რასაც, რა თქმა უნდა, მივესალმე ბით. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ კომისიის შემადგენლობაში არ არიან შეყვანილი მაღალკვალიფიციური, შესაბამისი კომპეტენციის მქონე სპეცი ალისტები, რომლებიც მუშაობდნენ მიწის მართვის პრობლემურ საკითხებზე და აქვთ შესაბამისი გამოცდილება ამ სფეროში (ნ. ტურაბელიძე, დ. ეგიაშვილი, გ. ზიბზიბაძე, გ. ბუცხრიკიძე, რ. კირკიტაძე, ნ. ჟორდანიას, მ. ნადარაია, გ. ყარჩილავა, ა. ფირცხალაშვილი და სხვ.).

გავეცანით რა ზემოხსენებული კომისიის მიერ შედგე ნილ მიწის კოდექსის პროექტს, გვინდა მის მიმართ გამოვთქვათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ცალკეული შენიშვნები და წინადადებები:

– მიწის კოდექსის პროექტი, ძირითადად, აგებულია მიწის ერთიანი ფონ დის, ყოფილი საბჭოთა კავშირის დროინდელი მიწის ბალანსის და მიწის კოდექსის საფუძველზე, რაც მთლიანად ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს: „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, ასევე „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონს (რომელიც მიღებულია 2010 წლის 21 ივლისს, №3512-რს), აშუამად მოქმედ საქართველოს საგადასახადო კოდექსს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსს;

– როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა უკვე მიიღო საქართველოს კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ და მიწის კოდექსის პროექტის ავტორები ვერ გაით-



ვალისწინებდნენ მიწასთან დაკავშირებულ იმ საკითხებს, რომლებიც მოცემულია ადგილობრივი თვითმართველობის ახალ კანონში;

– მიწის კოდექსის პროექტში შემოტანილია ახალი ცნებები და ტერმინები, რომელთა ნაწილი, ჩვენი აზრით, მიუღებელია, ხოლო რაც მისაღებია, პროექტში არაა მოცემული მათი განმარტება; გარდა ამისა, კოდექსის პროექტში გამოყენებული რიგი სხვა ცნებები და ტერმინები არ არის სრულყოფილად გადმოცემული და ამდენად, არ იძლევა ამა თუ იმ ცნების თუ ტერმინის სრულყოფილად გაგების საშუალებას; ამასთან ერთად, კოდექსის პროექტში არ არის გათვალისწინებული პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

– კოდექსის პროექტის ავტორებს არ აქვთ გათვალისწინებული ასევე საქართველოს კანონი „წილის შესახებ“, რის გამოც არასწორად ადგენს, რომ თითქოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებული წილისყუდი მიწის მესაკუთრის საკუთრებაა (საქართველოს კანონი „წილის შესახებ“, მუხლი მე-2, პუნქტი 3 ადგენს: „მიწაზე საკუთრების უფლება არ ნიშნავს და არ იძლევა წილზე საკუთრების უფლებას“);

– მიწის კოდექსის პროექტში განხილულია უძრავი ქონების – მიწის გირავნობა, რაც ჩვენი აზრით, არ არის სწორი (უნდა იყოს იპოთეკა), რადგან გირავნობა ხდება მოძრავ ნივთზე. უძრავი ქონება – მიწა კი იტვირთება იპოთეკით);

– პროექტის მთელი რიგი მუხლები ბუნდოვანია და მოითხოვს დაზუსტებას, აკლია კონკრეტულობა და არცთუ იშვიათად, ურთიერთსაწინააღმდეგოა, ამასთან, საკითხები არაა სისტემურადაა დალაგებული, კოდექსის პროექტში ხშირ შემთხვევაში მიწის აუქციონის ნაცვლად გამოყენებულია ტერმინი: „ვაჭრობა“, რაც არასწორად მიგვაჩნია;

– მიწის კოდექსის პროექტში ასევე ვრცლად მოცემულია მიწის იჯარის, მიწის განკარგვის, უზურფუქტის ინსტრუქციები, რაც, ჩვენი აზრით, არ არის საჭირო, რადგან ამ საკითხებზე არსებობს მთავრობის მიერ დამტკიცებული შენაძინების ნორმატიული აქტები და მათი დაწვრილებითი მოტანა კოდექსის პროექტში მიზანშეწონილი არ არის. რადგან კოდექსი ისედაც საკმაოდ არის გადატვირთული არააუცილებელი დებულებებით. მიგვაჩნია, რომ მიწის კოდექსი კანონთა კრებული უნდა იყოს და არა მანამდე გამოცემული ნორმატიული აქტების ნაკრები;

– კოდექსის დიდი ნაწილი დათმობილი აქვს

ისეთ საკითხებს, რომლებიც მოცემულია ტყისა და წყლის კოდექსებში და ამდენად მათი გამოყენება მიწის კოდექსში არ მიგვაჩნია მართებულად.

მართალია, ბუნებაში იმთავითვე, სრულყოფილი კანონის მიღება, როგორც წესი, ვერ ხერხდება (მხოლოდ პრაქტიკის განზოგადება, სიტუაციური ექსცესები სრულყოფს და ხვეწავს მას), მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონის პროექტს მოეთხოვება იყოს არა ზოგადი, არამედ კონკრეტული და ნაკლებ ხარვეზიანი, რაც განსახილველ კანონის პროექტს არ ახასიათებს.

პროექტის თითქმის ყველა მუხლსა და პუნქტზე არსებობს სერიოზული შენიშვნები და წინადადებები, რომელთა ჟურნალის სტატიის ფორმატში განხილვა-გაანალიზება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. აღნიშნულის გამო, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან შექმნილ მიწის აღრიცხვისა და მიწის კოდექსის პროექტის შემმუშავებელ კომისიას მივმართავთ, ურთიერთთანამშრომლობის რეჟიმში განიხილონ ჩვენი შენიშვნები და არგუმენტული დასკვნების მოსმენის შემდეგ გაითვალისწინონ ისინი პროექტის საბოლოო ვარიანტში.

ჯერ კიდევ 2010 წელს გაეროს შესაბამისმა ორგანიზაციამ წერილობით გამოხატა თავისი გაკვირება, იმის გამო, რომ საქართველოში არ აღირიცხება მიწები და არ ხდება მიწის ბალანსის შედგენა. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი 2004 წლის მონაცემებით შეადგენდა 3025.8 ათას ჰექტარს. ხოლო საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის 2008 წლის მონაცემებით აღრიცხულია მხოლოდ 838.0 ათას ჰექტარი. სად დაიკარგა 2187.6 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული დღემდე გაურკვეველია.

ფაქტია, რომ დღეს ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არ არსებობს მოთხოვნა (სხვაგვარად უკანასკნელ წლებში დასამუშავებელი მიწის ნახევარზე მეტი დაუმუშავებელი, მიტოვებული არ იქნებოდა), რაც უტყუარი ნიშანია იმისა, რომ მიწამ დაკარგა „მარჩენალის“ ფუნქცია, ანუ ის არსებულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ გარემოში სოფლად საქონელმწარმოებელს ვერ აძლევს იმ დონის შემოსავალს, რომელიც საკმარისი იქნებოდა ოჯახის შენახვისა და სამეურნეო საქმიანობის აღწარმოებისთვის. სწორედ ამიტომ იცლება მთისა თუ ბარის სოფლები ახალგაზრდებისგან (ბოლო წლებში 152 სოფელი დაიცალა მოსახლე-

ობისგან, ხოლო 160 მაცხოვრებელთა რაოდენობა შემცირდა 10 კომლამდე), პრაქტიკულად ყველა დიდ თუ პატარა სოფელში ვითარდება საშიში დემოგრაფიული პროცესი, რაც უპირველეს ყოვლისა, სოფლად მცხოვრებთა შორის ხანდაზმული ადამიანების ხვედრითი წილის გადიდებაში და მოზარდთა წილის შემცირებაში ნახულობს გამოხატულებას.

სოფლად დღეს არსებული კრიზისული სიტუაცია და არასახარბიელო სოციალური ფონი ძირითადად აგრარულ საკითხებში 2004-2012 წლების საქართველოს მთავრობის ნეგატიური როლითაა განპირობებული. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიწის რეფორმის გატარების შემდეგ ხელისუფლებას პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ საოჯახო მეურნეობისთვის საკუთრებაში უფასოდ გადაცემული მიწა ეკონომიკური თვალსაზრისით რეალიზებადი ყოფილიყო, ანუ მიწის მესაკუთრისათვის მოეტანა ეკონომიკური მოგება. ეს კი მაშინ მოხდებოდა, თუ მთავრობა მცირეოდენ დახმარებას მაინც გაუწევდა რეფორმის შედეგად წარმოშობილ მიწის წვრილ მესაკუთრეთა ახალ ფენას ფეხზე დადგომისთვის. მხედველობაში გვაქვს მცირე ნაკვეთებად დანაწევრებული მიწის კონსოლიდაციისათვის ხელშეწყობა, ტექნიკური, ფინანსური და სხვა არსებითი ხასიათის პრობლემების მოგვარება. პირიქით, აგრარული რეფორმის შემდგომ წლებში თითქოს განგებ კეთდებოდა ყველაფერი მიწაზე კერძო საკუთრების დისკრედიტაციისათვის. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ მიწის ახლადფეხადგმული წვრილი მესაკუთრებისთვის მიეცათ რაიმე არსებითი შეღავათები, პირიქით, ისინი დაიბეგრნენ მიწის გადასახადის საკმაოდ მაღალი განაკვეთებით (მაშინ როცა აღნიშნული გადასახადი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში პრაქტიკულად სიმბოლურ ხასიათს ატარებდა). 2010 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი: “სახელმწიფო ქონების შესახებ” რომლითაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასაყიდი საწყისი ნორმატიული ფასი საგრძნობლად გაზრდილია. ხოლო ახალი საგადასახადო კოდექსით, რომელიც ძალაში შევა 2011 წლიდან იზრდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი. დღემდე მოუგვარებელია სოფლად საქონელმწარმოებელთა საჭირო კრედიტის ხელმისაწვდომობის, მელიორაციული, აგროტექნოლოგიური მომსახურების, წარმოებული პროდუქციის გარანტირებული რეალიზაციისა და

სხვა არსებითი ხასიათის პრობლემები. აგრარული წარმოება, როგორც წესი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან იდენტიფიცირდება, რადგან აქ მიწის რესურსია ძირითადი და წარმოების მთავარი ფაქტორი. ამდენად, იმის მიხედვით თუ როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოში არსებული მიწის ფონდის მართვისადმი, შედარებით ადვილად პროგნოზირებადია შედეგიც. ჩვენი აზრით, აგროსექტორის დეგრადაციის ათვლის წერტილად 2004 წელი უნდა ჩაითვალოს, ანუ ის წელი, როცა ქვეყანაში ლიკვიდირებული იქნა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი. მართალია მისი ფუნქციები სხვა სამინისტროებზე გადაწაწილდა (იუსტიციის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების), მაგრამ ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას – მიწების აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენისას, რომელსაც მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი ასრულებდა – დღემდე არც ერთი სამინისტრო არ ასრულებს. მიწების აღრიცხვისა და მიწის ბალანსის შედგენის ფუნქციები ჯერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაეცა, რომელმაც გაურკვეველი მიხეხების გამო უარი განაცხადა ამ ფუნქციების მიღებაზე. შემდგომ იგი სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევადა, მაგრამ შედეგი აქაც სავალალოა. 2004 წლიდან საქართველოში შეწყდა ყველაზე ძვირფასი ბუნებრივი სიმდიდრის – მიწის (ერის განსაკუთრებული ინტერესის საგანის) – ერთიანი ბალანსის (ანუ, მიწის აღრიცხვის და კონტროლის) შედგენისა და დამუშავების აპრობირებული პრაქტიკა, რასაც დეპარტამენტი რაიონებიდან და აგრონომიური წარმონაქმნებიდან მიღებული პირველადი მასალების დამუშავების და განზოგადების საფუძველზე აკეთებდა. დღეს ძნელად წარმოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, სადაც მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მიწის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები (სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რაც აქტუალური გახდა სავარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო), რა საზღვრებში რჩება საქართველო (ოთხი მოსაზღვრე ქვეყნიდან სამთან დღემდე არ გვაქვს დადგენილი სახელმწიფო საზღვარი) და მისი ცალკეული მხარეები და რაიონები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენო-



ბა წავიდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. დღეს უცნობია რა ცვლილებები მოხდა მიწათსარგებლობაში 2004 წლიდან განვიღო პერიოდში, როგორ გამოიყენება მიწის სავარგულები, აქედან, რამდენია დაქვემდებარებული ქარისმიერ თუ წყლისმიერ ეროზიას, რა უნდა გაკეთდეს მიწის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით, რატომ, ან რა მოტივით, გააუქმა ხელისუფლებამ მიწის მართვის სამსახური და მიწის ბალანსის შედგენის ყოველწლიური პრაქტიკა. ეს კითხვები დღემდე პასუხგაუცემელია.

საქართველოს ძირითადი ნივთობრივი სიმდიდრის ყოველწლიურ ბალანსში მიწა აღირიცხებოდა დანიშნულებისა და კატეგორიების, აგრეთვე საკუთრებისა და სარგებლობის ფორმების მიხედვით. მასში აისახებოდა წლის განმავლობაში მიწის კატეგორიებში, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში და საკუთრება-სარგებლობაში მომხდარი რაოდენობრივ-ხარისხობრივი ცვლილებები. მიწის ბალანსი განიხილებოდა დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების მიერ და მტკიცდებოდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომელშიც მოცემული იყო მიწების უფრო რაციონალურად მართვის რეკომენდაციები.

მიწის ყოველწლიური ბალანსის საშუალებით სახელმწიფო აკონტროლებდა მიწის ფონდში მომხდარ ნებისმიერ ცვლილებას, მათ შორის ინტენსიური და არაინტენსიური სავარგულების მატება-კლების დინამიკას, ქალაქმშენებლობის, გზების და სხვა საჭიროებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბრუნვიდან ამოღებას, სამაგიერო მიწის ჩანაცვლებას და ა.შ.

დღეს ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ მიწის ფონდის უკანასკნელი ბალანსის მიხედვით ქვეყნის საერთო მიწის ფონდიდან (7.6 მლნ. ჰა) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა შეადგენდა 3771.2 ათ. ჰა-ს, საიდანაც 3025.8 ათ. ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე მოდიოდა (მათ შორის სახნავი 802.1 ათ. ჰა, მრავალწლიანი ნარგავები – 263.5 ათ. ჰა, სათიბი – 149.5, საძოვარი 1796.6 ათ. ჰა. კერძო საკუთრებაში გაცემული იყო 767.3 ათ. ჰა, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში რჩებოდა 447.2 ათ. ჰა ინტენსიური სავარგული), ამასთან, სავსებით უცნობია, 2004 წლის შემდგომ პერიოდში რა ხასიათის რაოდენობრივი ცვლილებები მოხდა მიწის საერთო ფონდის სტრუქტურა-

ში, რა რაოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა დარჩა ქვეყანაში (ამ კითხვაზე პასუხის მიღების ინტერესს ამაღლებს ის რომ 1997 წელს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი: “სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ”, რომელიც ნებას რთავდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მეპატრონეს სურვილისა და სათანადო თანხის გადახდის შემთხვევაში მიწა გადაეყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კატეგორიაში), რა ტრანსფორმაცია მოხდა სავარგულების სტრუქტურაში, რა რაოდენობის ინტენსიური სავარგულია დღეს საქართველოში, მათგან რამდენია პრივატიზებული, რამდენი რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება ქვეყანა, სადაც მიწის ყოველწლიური ბალანსი ან მსგავსი რამ არ კეთდებოდა, ანუ არ აკონტროლებდნენ მიწის რესურსების მოძრაობას (დინამიკას), ეკონომიკურ-სოციალური თვალსაზრისით არ აანალიზებდნენ მიწის კატეგორიებში მომხდარ რაოდენობრივ-ხარისხობრივ ცვლილებებს და არ სახავდნენ ქმედით ღონისძიებებს მიწის რესურსების რაციონალური მართვის მიზნით.

ამავე კონტექსტში უნდა ითქვას, რომ მიუხედავად სხვადასხვა ქვეყნიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული ტექნიკური და ფინანსური დახმარებისა, საქართველოს დღემდე არ გააჩნია მიწის სრულყოფილი სახელმწიფო კადასტრი, რომელიც მიწის რაოდენობრივ აღრიცხვასთან ერთად უნდა მოიცავდეს მიწის ხარისხობრივ აღრიცხვას, მიწის ეკონომიკურ შეფასებას და მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციას. ჩამოთვლილი კომპონენტებიდან დღეს საქართველოში მხოლოდ მიწათმოსარგებლეთა სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემაა მოწესრიგებული, რომელიც ბაზარზე მიწის ყიდვა-გაყიდვის, ჩუქების და მიწის მემკვიდრეობით გადაცემის ფაქტებს აღრიცხვას. რაც შეეხება მიწის ხარისხობრივი ნიშნით აღრიცხვას (რომელმაც პასუხი უნდა გაცეს კითხვას – რამდენად ღირებულია სამეურნეო თვალსაზრისით ესა თუ ის მიწის ნაკვეთი როგორც ბუნებრივი რესურსი და წარმოების საშუალება) მასზე მუშაობა დღემდე დაწყებულიც არ არის.

იგივე შეიძლება ითქვას მიწის ეკონომიკური შეფასების თაობაზე, რომელმაც უნდა დაადგი-

ნოს მიწის შეფარდებითი ღირებულება ცალკეული რაიონის თუ მხარის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით. მიწის ეკონომიკურ შეფასებაში მოიაზრება მიწის როგორც წარმოების ძირითადი საშუალების შემოსავლიანობის დონე, მიწის ხარისხი და პროდუქციის გასაღების ბაზრის მიმართ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა.

მიწის სახელმწიფო კადასტრის ბოლო ორი კომპონენტი (მიწის ხარისხობრივი აღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება) აუცილებელია მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის, მიწაზე გადასახადის ზომის დადგენის, მიწის იპოთეკით დატვირთვის და სხვა სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების განხორციელებისათვის. მიუხედავად ამისა, როგორც მიწის ხარისხობრივი აღრიცხვის, ისე ეკონომიკური შეფასების საკითხები დღემდე მოუგვარებელია (ამიტომაცაა, რომ დღემდე სოფლად საქონელმწარმოებელი გადასახადის იხდის: „კარგ მიწაზე“, „საშუალო მიწაზე“ და „ცუდ მიწაზე“. მაგრამ რას ნიშნავს კარგი, საშუალო და ცუდი მიწა ვერაფერს დაგისაბუთებთ).

დაბოლოს, მიწის რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე მსჯელობა უხერხულიცაა, როცა არ არსებობს მიწის ფონდის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მდგომარეობის მონიტორინგი, ანუ მიწაზე დაკვირვების ორგანიზაციული სისტემა. მან უნდა გამოავლინოს მიწასთან დაკავშირებული ყველა ნეგატიური პროცესი და მოვლენა, რათა გატარდეს შესაბამისი ზომები მათი დროული აღმოფხვრისათვის. საყურადღებოა რომ ყველა ქვეყანაში მიწის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს როგორც სასოფლო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა. მიწაზე მონიტორინგი ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურის მიერ და ის პრაქტიკულად უზრუნველყოფს მიწის სახელმწიფო კადასტრის ინფორმაციულ მომსახურებას და შესაბამის კონტროლს მიწის გამოყენებასა და დაცვაზე.

მიწის მონიტორინგმა პასუხი უნდა გაცეს კითხვებს – როგორია მიწათსარგებლობის საერთო მდგომარეობა ქვეყანაში, რა არასასურველი ცვლილებებია მოსალოდნელი მიწის ნაყოფიერებაში და რა პრევენციული ზომებია მისაღები მის აღსაკვეთად, როგორია ქარისმიერი და

წყლისმიერი ეროზიული პროცესების დინამიკა, როგორია ნიადაგში ჰუმუსის ბალანსი, მიმდინარეობს თუ არა მიწის დაჭაობების ან გაუდაბნოების პროცესი, როგორია პესტიციდებით, მძიმე მეტალებით და სხვა ტოქსიკური ნივთიერებებით დაბინძურების დონე და. ა.შ. ამ კითხვებზე შესაბამისი პასუხების მოძიება დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან არ არსებობს მონიტორინგის შესაბამისი სამსახური. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 2003 წლის მონაცემებით, საქართველოში ეროზიულ პროცესებს ექვემდებარებოდა 300 ათ. ჰა-მდე ინტენსიური სავარგული (უნდა ვივარაუდოთ, რომ დღეს ეროზირებული ფართობების რაოდენობა მნიშვნელოვნად მეტი იქნება). კოლხეთის დაბლობზე შეიმჩნევა მეორადი დაჭაობების პროცესი (სულ დაშრობილი იყო 140 ათასი ჰა), გარე კახეთში – პირობითი გაუდაბნოებისა, დიდი პრობლემაა ბიცობი და დამლაშებული ნიადაგები, რომელთა ფართობი 205 ათას ჰა-მდეა და ა.შ. ექსპერტული შეფასებით, დღეისათვის ეროზიის შედეგად სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან ყოველწლიურად იკარგება ერთი მლნ. აშშ დოლარის ღირებულების მინერალური სასუქების ეკვივალენტური რაოდენობის საკვები ელემენტები. ჰუმუსისა და საკვები ელემენტების ბალანსი პრაქტიკულად ყველა ტიპის ნიადაგში უარყოფითია.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმის შედეგია, რომ მიწის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული სამიწათმოქმედო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, გეჩერდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმოქმედობა კადრების გამოშვება.

დასკვნის მაგიერ. გრძელვადიან პერიოდზე გათვლილი ეკონომიკური ეფექტის მიღება შეუძლებელი იქნება მიწის რაოდენობრივ-ხარისხობრივი აღრიცხვის, მიწაზე მონიტორინგის და მიწის სათანადო დაცვის გარეშე. ამ მიზნით მიგვაჩნია, რომ საჭიროა ქვეყანაში დროულად შეიქმნას მძლავრი დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელსაც მიწის რაციონალურ გამოყენებასთან და დაცვასთან დაკავშირებული ყველა ფუნქცია დაეკისრება.



Register and Care for Land

Paata Koguashvili
GTU Professor
George Zibzibadze
GTU Professor
Anzor Meskhishvili
Expert of Real Estate (Land)

The paper deals with land registration situation in the country and offers the ways for regulating such an important problem resolution.

The authors believe that it is necessary to restore the quantitative and qualitative registration of land and land monitoring system, to implement the adequate land protection practice and create an independent and powerful structural unit, which will assume the function of the rational usage of land and also land protection function.

პაატა კოლუაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

სტატიაში მოცემულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო გამოცდილება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების თაობაზე.

ავტორი გვთავაზობს, რომ საქართველომაც მსგავსად სხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილებებისა, კანონმდებლობაში ასახოს ის შეზღუდვები, რომლებიც დაწესებულია უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებაზე.

თანამედროვე მსოფლიოში შეზღუდული რესურსების – კერძოდ, საკვების რესურსთა შემცირების – პრობლემა სულ უფრო მწვავედება. ეს პირველ რიგში ეხება მიწას და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სავარგულებს, რადგან ეს უკანასკნელი, ანთროპოგენური ზემოქმედების გამო, სულ უფრო მცირდება, და ეს ხდება პლანეტის მოსახლეობის სწრაფი ზრდის ფონზე. დამახასიათებელია ამ მხრივ FAO-ს განცხადება, რომ იაფი საკვების ეპოქა დასრულდა. სწორედ ამიტომ, მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო განსაკუთრებით ფრთხილად ეკიდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისთვის მიყიდვის საკითხს და ეს სფერო უმკაცრესი რეგულაციით გამოირჩევა. ამავე დროს არც ერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტებით.

საქართველოში არსებული სიტუაცია ამ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული სიმწვავეით გამოირჩევა. საქართველოს მოსახლეობის გამოკვება დღეს არსებითად დამოკიდებულია იმპორტზე, რომელიც, მძიმე გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყოველ წუთს შეიძლება შეწყდეს. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენება ამ საშიშროების პრევენციისათვის მოითხოვს იურიდი-

ული ბერკეტების ქონას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს დღესდღეობით არა აქვს.

თავის პასუხისმგებლობას მოქალაქის წინაშე საქართველოს სახელმწიფო ვერ განახორციელებს და, შესაბამისად, მას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობათა შესრულებას სრულფასოვნად ვერ მოსთხოვს, თუ მისი თავისრჩენის მთავარი ბაზა – სასოფლო-სამეურნეო მიწა – მნიშვნელოვნად შევიწროებული იქნება მასზე საკუთრების მხრივ.

ვითარება მას შემდეგ დაძვირდა, რაც კანონით ნებადართული გახდა უცხოელი ფიზიკური პირის მიერ საქართველოში ნებისმიერი სახის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე – „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონკვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის თანახმადაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო და ძალადაკარგულად გამოაცხადა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის რიგი ნორმები, რომლებიც უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექენას ზღუდავდა).

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ნებისმიერ სახელმწიფოში სტრატეგიული დანიშნულების ობიექტადაა მიჩნეული და მსოფლიოს უმრავლეს სახელმწიფოში ამ ტიპის მიწის უცხოელებზე (მოქალაქეობის არმქონე პირებზე)



გასხვისება ძირითადად შეზღუდულია, ან დაშვებულია მხოლოდ გარკვეული და კონკრეტული წინაპირობებით.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ზოგ ქვეყანაში შეზღუდვები არსებობს იურიდიული პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე. აქ გვხვდება გარკვეული რეგულირება, წინაპირობები, რომელიც ართულებს ან გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემავრცელებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვები.

ფაქტები და არგუმენტები იძლევა საფუძველს, დავასკვნათ, რომ არ არსებობს ზოგადად მიღებული ბარიერი და საქართველოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად. მიწის კანონმდებლობა უნდა დარეგულირდეს იმდაგვარად, რომ დაცული იყოს საქართველოს ყველაზე ძვირფასი ეროვნული სიმდიდრე, - ქართული მიწა და საქართველოს მოქალაქე.

აქვე, განსჯისათვის გთავაზობთ ევროკავშირისა და ზოგიერთი სხვა განვითარებული ქვეყნის საკანონმდებლობა გამოცდილებას.

აშსტრია

ავსტრიაში უცხოელთა მიერ მიწის შეძენა რეგულირდება ცალკეული მიწების კანონებით. მაგალითად, ერთ-ერთი მიწის (ბურგერლანდის) “კანონით უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენის შესახებ”, უცხოელი უძრავი ქონების შეძენისათვის საჭიროებს ნებართვას (§13). ნებართვა კი, თავის მხრივ, შეიძლება მიღებული იქნეს თუ „სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური“ ინტერესები არ იქნება შელახული და თუ:

- არსებობს მიწის (ბურგერლანდის) ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესი
- უცხოელი ავსტრიის ტერიტორიაზე მინიმუმ 10 წელი ლეგალურად, კანონიერად იმყოფება და მისი შენაძენით მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ან სხვა საჯარო ინტერესი არ ილახება.

თუ უცხოელს (და მათ შორის არ მოიაზრებიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთა მოქალაქეები) ნაყოფიერი, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა სურს, ის ზემოთ მოცემულ ნებართვასთან ერთად საჭიროებს დამატებით ნებართვას რომელიც გაიცემა სპეციალური კომისიის მიერ (rundverkehrs-kommission) (§8).

დაახლოებით იგივე რეგულირებაა ავსტრიის

სხვა მიწების კანონმდებლობითაც, როგორცაა მაგალითად, ობეროსტერეიხის (OBERÖSTERREICH) კანონმდებლობა. ის ითვალისწინებს, რომ უცხოელის მიერ ყოველგვარი ქონების შეძენა (ყიდვით, ჩუქებით ან გაცვლით) არ საჭიროებს ნებართვას. მაგრამ უცხოელის მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის (1 ჰექტარზე მეტის) არა თუ შეძენა, არამედ იჯარით აღებაც კი საჭიროებს სპეციალურ ნებართვას.

უძრავ ქონებაზე საკუთრების შეძენის ნებართვა იმ შემთხვევაში შეუძლია უცხოელმა მიიღოს თუ:

- ის აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელსაც საკუთრების შეძენისას ქვეყნის მოქალაქეც უნდა აკმაყოფილებდეს,
- თუ არ იქნება შელახული ავსტრიის კულტურული, სოციალურ-პოლიტიკური და საჯარო ინტერესი ან უშიშროება,
- სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები არ იქნება შელახული. უცხოელთა მიერ მიწის შეძენის შესახებ ავსტრიის ყველა ფედერაციულ ერთეულში ვხვდებით მსგავს რეგულირებას.

დანია

დანის კანონმდებლობის შესაბამისად, მიუხედავად მისი გარეგნული ლიბერალური ხასიათისა, აქ ქონების შეძენა საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. ქონების შეძენა განსაკუთრებით რთულია არარეზიდენტებისათვის. მათ დანიაში არ შეუძლიათ შეიძინონ ქონება გარდა შემთხვევებისა როდესაც:

- ისინი არიან ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები და იურიდიული პირები და მუშაობენ ან საქმიანობენ დანიაში;
- ისინი არიან არაევროკავშირის რომელიმე სახელმწიფოს მოქალაქეები და უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულნი არიან დანიაში, როგორც მუდმივი რეზიდენტები;
- აქვთ მოპოვებული შესაბამისი ნებართვა დანის იუსტიციის სამინისტროსგან.

მაგალითად თუ დანიაში ჩასულია სხვა ქვეყნის მოქალაქე ან იურიდიულ პირი და მას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია არა აქვს, დანის იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის გარეშე, ის მიწას ვერ შეიძენს. თუ ვიგულისხმებთ, რომ ასეთ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ნებართვას არ გასცემს, მაშინ საერთოდაც ვერ შეიძენს.

დანის კანონმდებლობა განსაკუთრებით

მკაცრია ზაფხულის დასასვენებელი სახლების შექმნასთან დაკავშირებით. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია პოპულარულ და სტრატეგიულად მნიშვნელოვან ზღვის სანაპიროზე, სადაც მოქმედი სპეციალური შემზღუდავი წესები „ანტი გერმანული წესებითაა“ ცნობილი. ალბათ მარტივი გასაგებია, რომ ეს რეგულაციები შემუშავებულია გერმანელების მიერ სანაპირო ზოლში საკუთრების შექმნის შესაზღუდავად.

შვეიცარია

უცხოელების მიერ შვეიცარიაში მიწის შექმნა დაშვებულია, თუმცა მხოლოდ ნებართვის აღების პირობით. შვეიცარიის ფედერალური კანონი უცხოელთა მიერ მიწის შექმნის შესახებ პირველი მუხლით ადგენს ამ კანონის მიზანს. ეს არის: „უცხოეთში მცხოვრებთა მიერ შვეიცარიის მიწის შექმნის შეზღუდვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული შვეიცარული მიწის „გაუცხოება“. ამ კანონით შეზღუდვები ძირითადად იმ პირებზე წესდება, რომლებიც უცხოეთში ცხოვრობენ და არა იმ უცხოელებზე რომლებიც შვეიცარიაში კანონიერად ცხოვრობენ.

საინტერესოა, რომ კანონის მე-5 მუხლის „ც“ პუნქტით გამოყოფილი არიან უცხოეთში მცხოვრები ის პირები რომლებსაც ამა თუ იმ ქვეყანაში „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობა აქვთ. მე-8 მუხლი კი იქვე განმარტავს თუ რა მოიაზრება „განსაკუთრებით კარგი“ მდგომარეობაში. ამ განმარტების თანახმად, აქ იგულისხმებიან ფინანსურად განსაკუთრებით კარგი მდგომარეობის უცხოელები ან რომელიმე ქვეყანაში საარჩევნო ხმათა უმრავლესობის მფლობელი, ან კიდევ რაიმე სხვა განსაკუთრებული სტატუსის მატარებელი ადამიანები. კანონით მათზე ნებართვის გაცემა შესაძლებელია. მაგრამ კანონი ამ ადამიანებს განსაკუთრებულ კატეგორიად განიხილავს.

ლატვია

ლატვიის მიწის პრივატიზების კანონმდებლობის შესაბამისად ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს მიწა და ტყე არ შეუძლიათ შეიძინონ!

თურქეთი

თურქეთის კანონმდებლობით უცხოელზე გაყიდული თურქეთის მიწა მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 2.5 ჰექტარს. (გაზრდა, გამონაკლის შემთხვევებში, მაქსიმუმ 30 ჰექტარამდე არის შესაძლებელი). მემკვიდრეობით მიღებულ მიწაზე არ არსებობს შეზღუდვა.

არბმენტონა

ახალი საკანონმდებლო ცვლილებების საფუძ-

ველზე არგენტინაში განსაზღვრულია ნაყოფიერი მიწის ტერიტორიის ის ოდენობა რომელიც შესაძლებელია, რომ შეიძინონ უცხოელებმა და იმ იურიდიულმა პირებმა რომელთა 51 % არის უცხოელთა ხელში (მხოლოდ 1.000 ჰექტარი). უცხოელთა საკუთრებაში შეიძლება იყოს არგენტინის მთლიანი ტერიტორიის მაქსიმუმ 20%. არგენტინის პრეზიდენტი ქრისტიანა ფერნანდეს დე ქირხნერი თავის კანონპროექტს მიწის უცხოელთა საკუთრებაში გადაცემის შემოფარგვლის აუცილებლობას შემდეგნაირად ასაბუთებდა: „არგენტინა არაა პირველი ქვეყანა, რომელიც მსგავს რეგულირებას აწესებს. ასეთივე რეგულირებები აქვთ ბრაზილიას, კანადას, აშშ-ს და საფრანგეთს. შეზღუდვა დაწესებული აქვთ ასევე სხვა განვითარებულ ქვეყნებს“. სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში განვითარებული ეს ტენდენცია ძირითად იმაზეა დაფუძნებული, რომ მიწის რესურსი ამოწურვადია და მისი უცხოელების ხელში გადასვლა სახელმწიფოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე მოქმედებს.

ბერმანია

გერმანიის კანონმდებლობით უცხოელებს მიწის საკუთრებაში შექმნასთან დაკავშირებით იგივე შეზღუდვები აქვთ, როგორც გერმანიის მოქალაქეებს. სასოფლო-სამეურნეო მიწის შექმნისთვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა. და ასევე ის წინაპირობა, რომ ფიზიკური პირი, რომელიც საკუთრებაში იქნის მიწის ნაკვეთს, უნდა იყოს 18 წლის, მიუხედავად იმისა იქნება ის უცხოელი თუ გერმანიის მოქალაქე. გერმანიაში საკმაოდ ფრთხილია მიდგომა სასოფლო სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით, ნებისმიერის, მოქალაქის თუ არამოქალაქის მიერ. ამიტომაც ასეთი ნებართვის მოპოვება სპეციალური კომისიის თანხმობის გარეშე შეუძლებელია.

რუმინეთი

მოქალაქეობის არმქონე პირებს უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს რუმინეთში მიწის შექმნა მხოლოდ საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, აუცილებლად ნაცვალგების პრინციპით შეუძლიათ.

ეს ნიშნავს, რომ რუმინეთშიც უცხოელის მიერ მიწის და მათ შორის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შექმნა შესაძლებელია ქვეყნებს შორის შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში და ისიც მხოლოდ იმ პირობის გათვალისწინებით,

თუ მეორე ქვეყანაც რუმინეთის მოქალაქეებს ანალოგიურ უფლებას მისცემს.

დღევანდელი მდგომარეობით რუმინეთში ევროკავშირის სახელმწიფოთა მოქალაქეები, რომლებსაც თავიანთი საცხოვრებელი ადგილი აქვთ რუმინეთში და იურიდიული პირები, რომლებიც რუმინეთში არიან რეგისტრირებულნი სასოფლო-სამეურნეო მიწის შესაძენად აქვთ იგივე უფლებები, რაც რუმინეთის მოქალაქეებს. იმ „ევროკავშირის უცხოელებს“ კი, რომლებიც რუმინეთში არ ცხოვრობენ, რუმინეთში მიწის შეძენა შეუძლიათ მხოლოდ ნებართვის მიღების შემთხვევაში.

ევროკავშირის ქვეყნების გარდა, სხვა უცხოელებისთვის რეგულირება არ შეცვლილა. მათ, ისევე როგორც 2007 წლამდე (რუმინეთის ევროკავშირში გაწევრიანებამდე), არა აქვთ უფლება შეიძინონ რუმინეთში მიწის ნაკვეთი.

რუმინეთი

რუსეთში სულ არის დაახლოებით 400 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. აქედან 129 მილიონი კერძო საკუთრებაშია. დანარჩენი კი სახელმწიფოს საკუთრებაში რჩება. 2006 წლამდე რუსეთში არსებობდა აკრძალვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვაზე უცხოელი ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. რადგან რუსეთში ძალიან დიდი გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაა, 2006 წელს გაუქმდა მსგავსი აკრძალვა უცხოელებზე. თეორიულად უცხოელს შეუძლია იყიდოს რუსეთში სასოფლო სამეურნეო მიწა, იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ასევე ქვეყნის მოქალაქეზე ვრცელდება. მაგალითად, ფედერაციის სუბიექტების კომპეტენციაა – დაადგინოს მაქსიმუმი იმ მიწისა, რომელიც შეუძლია საკუთრებაში შეიძინოს ერთმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა.

როგორც ჩანს, ზოგადი შეზღუდვა სასოფლო სამეურნეო მიწის უცხოელთა მიერ საკუთრებაში შეძენისა რუსეთის კანონმდებლობით არ არსებობს. გარდა ერთი გამონაკლისისა. აკრძალულია რუსეთის სასაზღვრო ტერიტორიასთან არსებული სასოფლო სამეურნეო მიწის უცხოელებზე გასხვისება. ასეთი ტერიტორიების ზუსტი დასახელება რამდენიმე წელი უცნობი იყო. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტის 2011 წლის 9 იანვრის ბრძანებით განისაზღვრა ის ტერიტორიები, რომელიც ექცეოდა უცხოელებისთვის შესასყიდად აკრძალულ ტერიტორიების ნუსხაში. საკმაოდ გრძელ სიაში აღმოჩნდა რუსეთის 380 რეგიონალური ქვედანაყოფი. მათ შორისაა შორეული აღმოსავლეთის

და ციმბირის ტერიტორიული საზღვრები. ასევე ქალაქი კალინინგრადი და მის ახლოს მდებარე სასოფლო-სამეურნეო მიწები და არასასოფლო-სამეურნეო მიწები. უცხოელებს ეკრძალებათ ასევე უკრაინასთან მოსაზღვრე ქალაქ ბელგოროდის მიმდებარე ტერიტორიებისა და რა თქმა უნდა ქალაქი სოჭისა და აზოვის ზღვასთან მოსაზღვრე ტერიტორიების მიმდებარე მიწების შეძენა. გრძელ ჩამონათვალში გვხვდება ასევე აკრძალვა კრასნოდარის და მთლიანი კავკასიის რეგიონის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებულ სასოფლო სამეურნეო მიწებზე.

შპრანინა

უცხოელი ინვესტორებისთვის საინტერესოა უკრაინის ნაყოფიერი მიწები. უკრაინაში 32 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწაა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის ზოგიერთი ნაწილი რადიაციულად დასაზიარებული იყო, უკრაინული მიწები მაინც ძალიან ნაყოფიერად ითვლება. ამიტომაც ბუნებრივია უცხოელთა ინტერესი ამ მიწების შეძენაზე. სწორედ ამან გამოიწვია უკრაინაში მიწის მორატორიუმის შემოღება, რომელიც 2012 წლის ბოლომდე კრძალავდა მიწის გაყიდვას. უკრაინაში არ არის დაშვებული უცხო ქვეყნის ფიზიკური პირების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა. თუმცა აქაც მოქმედებს იურიდიული პირის დარეგისტრირების გზით მიწის შესყიდვის სქემები. შესაძლებელია 50 წლიანი იჯარის გაფორმებაც. უკრაინელ მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს კი მიწა აქვთ იჯარით (50 წლამდე). ასევე იჯარით აქვთ უკრაინული მიწის 17 მილიონი ჰექტარი უცხოურ ფირმებს.

მოლდოვა

მოლდოვას რესპუბლიკის შემთხვევაშიც არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა შეუძლია ნებისმიერ პირს - მოქალაქეს, არამოქალაქეს, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, აქ გამონაკლისია დაშვებული მოქალაქეობის არმქონე პირებსა და უცხო ქვეყნის იურიდიულ პირებზე. მოლდოვის კანონმდებლობის შესაბამისად, ამ უკანასკნელთ არა აქვთ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვის უფლება.

ბულგარეთი

ბულგარეთის შემთხვევა ჩვენთვის საინტერესოა, რადგან ეს ქვეყანა, ბუნებრივი და ინფრასტრუქტურული პირობებით ჩვენი მსგავსია. აქ უცხოელ მოქალაქეებს შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა, მხოლოდ იმ შემთხ-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ვევაში თუ ისინი ბულგარეთში დაარეგისტრირებენ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას. ეს რეგულაცია უცხოელ (არამოქალაქე) ფიზიკურ პირებს მიწის პირდაპირ შეძენას უზღუდავს, თუმცა იურიდიული პირის დაფუძნების შემდგომ, ეს საკმაოდ მარტივი ხდება.

აღნიშნული რეგულირება ძალიან წააგავს საქართველოში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არსებულ ვითარებას.

მოქალაქეობის არმქონე პირებს, უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ბულგარეთში მიწის შეძენა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ: თუ ისინი იმ ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთანაც ბულგარეთს 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულება აქვს დადებული; თუ ქონებას მიიღებს მემკვიდრეობით; თუ არის ევროკავშირის მოქალაქე, რომელსაც აქვს მუდმივი ადგილსამყოფელი ბულგარეთში; თუ არის ევროკავშირის თვითდასაქმებული ფერმერი და მიწას ბულგარეთში დასასახლებლად და სამუშაოდ ყიდულობს.

მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირის ქვეყნებისთვის არსებობს ლიბერალური და „შინაურული“ რეგულირება, ხოლო არაწევრი ქვეყნებისათვის ცალსახად მოქმედებს ზემოთ მოცემული შეზღუდვები და მათ თავისი სახელით ფაქტობრივად არ შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა.

შნბრეშთი

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის უცხოელთა საკუთრებაში ქონის შესახებ სულ 4 გადაწყვეტილება მიიღო. თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, მან განმარტა მიწის საკუთრების ფუნქციები, რათა დაესაბუთებინა ის შეზღუდვები, რომლებიც მიწის შეძენასთან დაკავშირებით არსებობდა.

უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლო მიწას ხედავს, როგორც საკუთრების განსაკუთრებულ ობიექტს, და შესაბამისად, მასთან განსაკუთრებული სამართლებრივი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს. ის განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მხოლოდ მცირე რესურსი არსებობს და ის სხვა ღირებულებებით შეუცვლელია. ამიტომ მიწის საკუთრების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი არის საჯარო ინტერესი. სასამართლოს აზრით ტყეები და ნაყოფიერი მიწები ისტორიულად ერთობლივად, კოლექტიურად გამოიყენებოდა. ამიტომაც, მისი აზრით, ისტორიიდან მოყოლებული ნაყოფიერ მიწებზე, ისევე როგორც ტყეზე, სა-

ჯარო ინტერესი დღესაც არსებობს. უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ უცხოელებისადმი მიმართული შეზღუდვა, მიწის საკუთრებაში შეძენისა ლეგიტიმურად ჩათვალა.

ბულგარეთისა და უკრაინის მსგავსი მორატორიუმში მოქმედებდა უნგრეთშიც.

ზოგადად ევროკავშირი, აშშ და სხვ.

არცერთ თანამედროვე ქვეყანაში, მიწაზე საკუთრება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას (გამოყენების და ბოროტად გამოყენების უფლება), არამედ ის რეგულირდება სხვადასხვა ნორმატიული აქტით. ევროკავშირის რიგ ქვეყნებში სახელმწიფო დონეზე (ირლანდია, ჩეხეთი) იკრძალება ან იზღუდება სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადაცემა. მსგავსი დამოკიდებულებაა ამ საკითხისადმი თურქეთში, ავსტრიაში, იაპონიაში, ისლანდიაში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში, აშშ-ში, კანადასა და ავსტრალიაში. პოლონეთში სანებართვო სისტემა მოქმედებს. დანიაში ერთ პირს უფლება არ აქვს ჰქონდეს 2 ნაკვეთზე მეტი 24 ჰა საერთო ფართობით, ამასთან, ნაკვეთებს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 20 კილომეტრს. თუ მაინც არსებობს მოთხოვნა, ვინმეს ჰქონდეს 24 ჰა-ზე მეტი, მაშინ საკითხს მთავრობა იხილავს. მიწის ყიდვა არსად არავის არ შეუძლია, თუ არ დასტურდება მისი წინა საქმიანობით, რომ ის ფერმერია, ან აქვს სპეციალური აგრარული განათლება. ამასთან, უცხოელს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ამ ქვეყანაში მუდმივი ცხოვრების დამადასტურებელი რეგისტრაცია უნდა გააჩნდეს, რომელსაც დანიის იუსტიციის სამინისტრო გასცემს. შედარებით ლიბერალურია მიწის გასხვისების საკითხი ესპანეთში, მაგრამ იქაც ისეთი პირობებია, რომ უცხოელი მიწის ბაზარზე ვერ შევა. არის კიდევ ერთი პრობლემა: მცირე ნაკვეთები უნდა უზრუნველყოფდეს სამუშაო საათების წლიური ოდენობის 75% მაინც, რომ ადამიანი სოფლის მეურნეობის მუშაკად ჩაითვალოს. სასარგებლო იქნება აშშ-ის ზოგიერთ შტატში, კანადის რამდენიმე პროვინციასა და ავსტრალიის დასავლეთ ნაწილში აკრძალულია მიწის უცხო ქვეყნის რეზიდენტების მიერ შესყიდვა. ზოგან ეს პროცესი ირიბი მექანიზმებით არის უზრუნველყოფილი, მაგალითად, ევროკავშირში, მართალია, მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, მაგრამ მათთვის დაწესებული შეღავათები ეკონო მიკურად თითქმის შეუძლებელს ხდის მესამე ქვეყნების რეზიდენტების



მიერ მიწის შექმნას. ახალ ზელანდიაში შექმნილია მიწის დაცვის ტრიბუნალი და ეს ორგანო კონკრეტულად განიხილავს 2 ჰა-ზე მეტი მიწის შეს ყიდვის მსურველთა ყოველ განცხადებას, დადებით გადაწყვეტილება კი უამრავი პირობის შესრულებაზეა დამოკიდებული. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ევრო კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორისაც შეიძლება იყოს ამგვარი შეზღუდვები, რისი მაგალითიც არის ირლანდიის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ამ ქვეყანაში 7-წლიანი ცხოვრების ვადაა საჭირო, რათა მიწის შექმნის მსურველმა განცხადებით მიმართოს მიწის კომისიას. საფრანგეთში შეზღუდულია ვენახების (ფრანგი ერის სიამაყის საგანი!) და, განსაკუთრებით, დიდი ფართობის მიწის შექმნა. აშშ-ში 1978 წელს მიღებულ იქნა ფედერალური აქტი სოფლის მეურნეო ბაზაში საზღვარგარეთული კაპიტალდაბანდების შესა ხებ. მართალია, ამით დაშვებულია უცხო ქვეყნის მოქა ლაქების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვა, მაგრამ ყოველი კონკრეტული შემთხვევა განიხილება ამ ქვეყნის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ძირითადი რეგულირება აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხოელებისათვის მიყიდვის საკითხზე ცალკეული შტატის დონეზეა დაწესებული. ამგვარი კანონმდებლობა აკრძალავს სხვადასხვა დონეს გულისხმობს და უკვე შტატების ნახევარზე მეტშია მიღებული. ამასთან, რაც უფრო სასოფლო-სამეურნეო მიმართულე ბი საა შტატის ეკონომიკა, მით უფრო მკაცრია აკრძალ ვა, უცხოელების მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შეს ყიდ ვის სრულ აღკვეთამდე (ისინი უნდა

აკმაყოფი ლებ დ ნენ მკაცრ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები განსაკუთრე ბით ეხება სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო განათლე ბას, აგრარული შრომის გამოცდილებას, სოფლად ცხოვრე ბას სათანადო კაპიტალის ფლობას და სხვ.). ამის შედეგია ის, რომ აშშ-ში სასოფლო-სამეურნეო მიწის მხოლოდ 1%-ზე ნაკლები ეკუთვნის უცხო ქვეყ ნის მოქალაქეებს, რომლებიც ძირითადად ევროპელები და კანადელები არიან.

დასკვნის მაგიერ. მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) (VerfGE 21, 73). რესურსი. მოსახლეობის ზრდასთან და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვ ნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარ გუ ლები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. ამიტომაც მიწის განუსაზღვ რელი ოდენობით გასხვისება უცხოელებზე ქვეყნის სასიცოცხლო ამოცანებთან და საზოგადოებრივ ინტერესთან შეუთავსებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისება ყოველთვის უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი პროცესი.

მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია მისი კანონმდებლობის სტრუქტურა (სადაც თანამედროვეობასთან მორგებუ ლად ასახული იქნება ის შეზღუდვები, რომლებიც ეხება უცხოელებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებას). ხელისუფლება კანონმდებლობას უნდა არეგულირებდეს იმდაგვარად, რომ დაიცული იქნეს, როგორც საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ასევე, სახელმწიფოს ინტერესების ბალანსი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) ა. ფირცხალაშვილი, პ. კოლუაშვილი, „ერთი უარყოფილი საკანონმდებლო წინადადების შესახებ“. ახალი ეკონომისტი, №2, 2013.
- 2) პ. კოლუაშვილი, „მიწა სიცოცხლის საფუძველი“. სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, №3, 2013.
- 3) მ. მათიაშვილი, „ზოგიერთი მოსაზრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უცხოელებზე გასხვისების შესახებ“. ახალი აგრარული საქართველო, №20, 2013.

How the Developed countries regulate the issue of Agricultural land alienation

Paata Koguashvili
GTU Professor

The article describes the legislative experience of various countries of the agricultural land alienation to foreigners . The author suggests to share the experience of other developed countries and implement the limitations in the legislation about th agricultural land alienation to foreigners.

Л.Н. Бурлаков
к.э.н., профессор Академии государственного управления
при Президенте РК, заслуженный
деятель Республики Казахстан,
г.Астана

Ф.А. Шуленбаева
д.э.н., профессор кафедры «Менеджмент» Казахского
университета экономики, финансов и международной
торговли, г.Астана

В статье рассматриваются вопросы борьбы с коррупцией на основе разграничения контролирующих государственных, муниципальных органов и органов предоставляющих услуги. С учетом проведенного анализа международного опыта разработаны предложения и рекомендации по борьбе с коррупцией в Казахстане, при соблюдении четкого взаимодействия государственных органов и общественности.

Ключевые слова: борьба с коррупцией, антикоррупционная компания, нормативно-правовая база по противодействию коррупции, взаимодействие государства и общества

Присущая многим странам, коррупция не имеет границ и способна, как злокачественная опухоль, поражать как развивающиеся, так и развитые, передовые государства мира. В Казахстане борьбе с этим социальным явлением уделяется немало внимания. Между тем нейтрализовать данное общественно опасное явление можно лишь благодаря совместным усилиям государства и общества. К этому пониманию уже пришли многие страны мира. Наша страна в борьбе с коррупцией параллельно с активными действиями правоохранительных органов пытается переступить порог отчужденности и пассивности граждан, тем самым создав прочный заслон ее дальнейшему распространению.

В своем послании народу Казахстана - Стратегия «Казахстан - 2050» Глава государства, Лидер Нации Н.А. Назарбаев особо отметил повышение качества государственных услуг населению, которое должно стать важным аспектом противодействия коррупции и повышения доверия граждан к деятельности государственных органов [1].

Для решения этой задачи необходимо объединить усилия государственных органов и институтов гражданского общества, которые с помощью населения страны смогут обуздать эту социальную болезнь.

На сегодняшний день в Казахстане создана

солидная нормативно-правовая база для борьбы с коррупцией: закон РК «О борьбе с коррупцией», указ президента страны «О дополнительных мерах по усилению борьбы с преступностью и коррупцией и дальнейшему совершенствованию правоохранительной деятельности в РК», отраслевая программа по противодействию коррупции РК на 2011-2015 годы, закон РК «О внесении изменений и дополнений в некоторые законодательные акты Республики Казахстан по вопросам совершенствования борьбы с коррупцией», который ввел конфискацию имущества, добытого преступным путем, и т.д. Кроме этого в 2011-2013 годах Парламент страны принял 19 законов, направленных на борьбу с коррупцией, среди них закон «О государственном контроле и надзоре в Республике Казахстан», который направлен на создание единой правовой основы для проведения контрольно-надзорной деятельности государственных органов.

Вместе с тем, борьба с коррупцией должна вестись не только карательными методами, но и информационно-воспитательной работой среди населения, направленной на пропаганду правового воспитания, при четком разграничении контролирующих государственных, местных (муниципальных) органов и органов предоставляющих услуги.

Формы коррупции по своей природе достаточно различны: от коррупции в высших эшелонах власти, до коррупции в любом городском или поселковом учреждении, предоставляющем услуги (жилищно-коммунальный комплекс, образование, здравоохранение, социальная помощь и т.д.).

В частности, при осуществлении права собственности злоупотребление чиновников своим служебным положением, как правило, связано с управлением государственной собственностью

В ходе деятельности по оказанию услуг населению (государственных гарантий), а также при осуществлении защитной функции государству приходится заключать договоры с самостоятельными хозяйствующими субъектами на исполнение отдельных видов деятельности, а также производство и поставку определенных товаров. Например, поставка мебели и учебников для школ, оборудования для больниц, компьютеров для органов государственной власти и т.д. В этом случае явления коррупции возникают, как правило, на этапе распределения государственных заказов.

Средствами регулирования социально-экономических процессов являются предоставление различных льгот и прав (на вылов биоресурсов, пользования участками Лесного фонда и других) или наложения ограничений (по цене, по объемам производства, по объемам экспорта и импорта и т.д.). Здесь коррупция возникает в ситуациях, когда отдельным хозяйствующим субъектам или даже целым отраслям необъективно, без учета государственных интересов даются льготы и права или наоборот – накладываются ограничения.

К сожалению, в Казахстане прочные коррупционные связи между бизнесом и государственными чиновниками становятся обычным делом. Чем теснее становятся такие связи, тем больше возможностей появлялось у нечистых на руку бизнесменов: государственные заказы, важные контракты, секретная информация, распоряжение солидными бюджетными средствами, выделяемых на реализацию госпрограмм.

На уровне акиматов – это проведение всевозможных тендеров на товары и услуги, на выделение земельных участков и т.п. Наконец, «низовая» коррупция, повсеместная дача взяток дорожным полицейским, медработникам, учителям, «столоничальникам» за быстрое получение какой-нибудь справки и т.д.

Чтобы не быть голословными приведем конкретные примеры, взятые из интернет – ресурсов. Как отмечается, наибольший ущерб при реализации государственных программ в размере 1,5 миллиарда тенге был причинен при строительстве школ и больниц. Органами было возбуждено 34 уголовных дела.

Всего же по нарушениям законности, допущенным в ходе выполнения госпрограмм в 2010-2012 годах, органами финансовой полиции возбуждено 292 уголовных дела, по которым ущерб государству составил свыше 2,9 миллиарда тенге. В суд было направлено 194 уголовных дела, на сегодня осуждены 195 человек.

Больше всего преступлений выявлено при исполнении программы «Дорожная карта», которая должна была снизить уровень безработицы и улучшить инфраструктуру регионов. За последние два года по этой программе возбуждено 170 уголовных дел, ущерб государству составил почти 178 миллионов тенге. Как сообщается, основная вина за преступления по «Дорожной карте» лежит на должностных лицах, которые были ответственны за ее реализацию на местах.

По программе «Питьевая вода» за 2010-2012 годы финансовая полиция возбудила 93 уголовных дела с ущербом свыше 694 миллионов тенге. Также возбуждено 29 уголовных дел по фактам хищения бюджетных средств, выделенных для программы «Продовольственный пояс вокруг Астаны» [2].

Как показывает международный опыт, для борьбы с коррупцией необходимы системные усилия и согласованные действия, направленные в первую очередь на устранение причин и условий возникновения коррупции.

Поэтому не случайно, например, в федеральном законе Российской Федерации от 25 декабря 2008г. №273-ФЗ «О противодействии коррупции» среди основных направлений противодействия коррупции названы механизмы, при которых резко снижается сфера «личного рассматривания» при принятии решения чиновниками.

Для крупного бизнеса это:

- обеспечение реализации контрактных прав, прав собственников и акционеров, установление прозрачности деятельности предприятий для акционеров, что дает возможность предпринимателям апеллировать к закону и уменьшают шанс появления поводов использования чиновниками взяток как средства защиты своих коммерческих интересов;

- совершенствование налогового законодательства, что уменьшает теневую зону экономики, ограничивает возможности попадания предпринимателей в тиски шантажа со стороны служащих налоговых органов;

- уменьшение наличного оборота, расширение современных электронных средств расчета, внедрение современных форм отчетности, что облегчают контроль за движением средств, затрудняют возможности дачи взяток в наличном виде [3, с. 616].

Для социальной сферы антикоррупционные меры складываются, по тому же принципу снижения зависимости граждан от процессов теневой экономики и ограничении сфер произвола чиновников; а именно:

- расширение практики применения современных методов осуществления коммунальных и социальных выплат с помощью электронных средств безналичного оборота, что уменьшает зависимость граждан от усмотрения чиновников и тем самым ограничивает

низовую коррупцию;

– получение общественными организациями, по конкурсу и на условиях контракта прав на реализацию отдельных государственных функций, что является одним из ключевых задач при реализации антикоррупционной программы.

К примеру, перспективным направлением в реализации антикоррупционной политики в РФ является создание сети многофункциональных центров (МФЦ) предоставления государственных и муниципальных услуг, что минимизирует непосредственное общение государственных или муниципальных служащих с получателями услуг или функций, а, следовательно, и возможность совершения коррупционных правонарушений [4, с. 426].

Как показывает изучение зарубежного опыта (США, ФРГ, Канады), взаимодействие контролирующих государственных и муниципальных органов и органов предоставляющих услуги, в вопросах противодействия коррупции, является одним из важнейших атрибутов управленческого механизма любого демократического государства. В целом прозрачность характеризуется максимально возможной доступностью информации о деятельности управленческого аппарата и формированием жесткого механизма общественного воздействия на сферу частного и государственного администрирования посредством представительских институтов, что, в свою очередь, служит залогом нейтрализации коррупционных тенденций в этих областях.

Анализ мер, предусмотренных законодательством этих стран на обеспечение прозрачности механизмов государственной экономической политики, свидетельствует о попытке распространить их как на макроуровень экономического менеджмента (противодействие манипуляции расходными статьями государственного бюджета, деформированию процессов приватизации и так далее), так и на микроуровне (борьбе с таможенными махинациями, искусственным усложнением процедуры прохождения документации и другие).

В целях обеспечения законности и недопущения коррупции все демократические государства разрабатывают меры по обеспечению прозрачности процесса приватизации, принятия решений в сферах государственных закупок и налоговой политики, недропользования и земельных отношений.

Практически везде уже перешли от тендерной системы государственных закупок к преимущественно биржевой торговле, а также электронным государственным закупкам на принципах прозрачности и эффективности расходования бюджетных средств. Также выработаны четкие правила осуществления таможенных процедур,

предусматривающих оформление грузов только в местах пересечения таможенной границы, с использованием с сопредельными государствами единой информационной системы для сопровождения грузов, перемещаемых через границу, в том числе транзитных, что существенно снижает возможность для коррупционных правонарушений.

Поэтому и в Казахстане с целью защиты прав граждан и законных интересов предпринимателей от неправомерного вмешательства в их деятельность должностных лиц государственных органов, необходимо будет с использованием зарубежного опыта разработать комплекс мер, направленных на упорядочение контрольно-надзорных функций государственных органов и усиления взаимодействия с органами, предоставляющими услуги населению.

Параллельно с этим было бы целесообразно осуществить мероприятия по повышению прозрачности в деятельности самих правоохранительных органов, непосредственно ведущих борьбу с коррупцией и занимающихся расследованием коррупционных преступлений.

На наш взгляд, наиболее показательным в этом отношении может быть грузинская модель. Ярким нововведением этой модели является прозрачность в буквальном смысле слова.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ოფშორული ფენომენის კომპლექსური შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური, სპეციფიკური და პრობლემატური საკითხია. ბოლო პერიოდში ოფშორული ბიზნესი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს როგორც საკრედიტო, ასევე საწარმოო ინვესტიციების მოძრაობაში. ოფშორული ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარების პერიოდად მე-20 საუკუნის 50-იანი წლების შემდგომი პერიოდი მიიხნება, რაც გამოწვეული იყო განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესზე მაღალი გადასახადების დაწესებით. მსგავსი მდგომარეობა გადასახადის გადამხდელს უბიძგებს, ამა თუ იმ მექანიზმით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოს ხარჯების მინიმიზაცია და გადასახადებისაგან თავის არიდება. შესაბამისად, მეწარმეთა მთავარ ამოცანად ლიბერალური საგადასახადო გარემოს ძიება ისახება. ასეთმა სიტუაციამ გაამწვავა კონკურენცია სახელმწიფოებს შორის სამეურნეო სუბიექტებისაგან გადასახადის აკრეფის უფლებაზე.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ოფშორული ფენომენის კომპლექსური შესწავლა ერთ-ერთი აქტუალური, სპეციფიკური და პრობლემატური საკითხია. ბოლო პერიოდში ოფშორული ბიზნესი სულ უფრო მზარდ როლს თამაშობს როგორც საკრედიტო, ასევე საწარმოო ინვესტიციების მოძრაობაში. საკმაოდ დიდი რაოდენობით რეგისტრირდებიან კომპანიები ოფშორულ ზონებში. ჩ -ის პერიოდული მონაცემებით, ისეთი ოფშორული ცენტრები, როგორცაა ჯერსი და ბაჰამა, მსოფლიოს მთელი ქონების მესამედს „მასპინძლობენ“.

ტერმინი „ოფშორი“ (ოფფ სჰორე) - პირველად გამოიყენეს ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში, ისეთი ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც სახელმწიფოებრივი კონტროლისაგან თავის არიდების მიზნით საქმიანობა საგადასახადო იურისდიქციის საზღვრებს გარეთ გაიტანა. სიტყვა „ოფშორი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „სანაპიროდან დაშორებით“, „საზღვრებს გარეთ“, „ღია ზღვაში“, „იზოლირებულში“. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი ნებისმიერი საქმიანობის მიმართ გამოიყენება, რომელიც ხორ-

ციელდება გარკვეული ტერიტორიის - ოფშორული ზონის საზღვრებს გარეთ.

ოფშორულ ზონაში იგულისხმება იურისდიქცია, რომელშიც კანონმდებლობით განსაზღვრულია ოფშორული ტიპის საფინანსო-ეკონომიკური ოპერაციების განხორციელების ნორმები. ისინი ძირითადად მცირე კუნძულოვან სახელმწიფოებს ან თვითმართვად ტერიტორიებს წარმოადგენენ. თანამედროვე მსოფლიოში არსებული ოფშორული ზონების რაოდენობა ზუსტად არაა დადგენილი. ჩვეულებრივ, საერთაშორისო კლასის ცნობილი კომპანიები მიუთითებენ 200-ზე მეტ ოფშორულ იურისდიქციაზე.

1973 წელს იაპონიის ქალაქ კიოტოში მოწვეული საერთაშორისო კონფერენციის თანახმად, თავისუფალი ეკონომიკური ზონა, ანუ „ფრანკო ზონა“ ქვეყნის ტერიტორიის ის ნაწილია, სადაც საქონელი განიხილება, როგორც საბაჟო ტერიტორიის საზღვრებს გარეთ მყოფი ობიექტი, ანუ ის ტერიტორია, სადაც დაცულია საბაჟო ექსტერიტორიულობის პრინციპი. თავისუფალი ეკონომიკური ზონის განსაკუთრებულ სახელს კი ოფშორული ზონა წარმოადგენს. ოფშორული ზონა

ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკისგან იზოლირებული საფინანსო ინსტიტუტია, სადაც შეღავათიანი რეჟიმი განისაზღვრება სავალუტო შეზღუდვის უქონლობით, მოგებათა თავისუფალი გატანით, საწესდებო კაპიტალის დაბალი დონით, ფირმის რეგისტრაციისა და მართვის მაქსიმალურად გამარტივებული პროცედურით, საგადასახადო დანაკარგების შემცირების შესაძლებლობით, ფირმის მფლობელთა სრული ანონიმურობითა და კონფიდენციალობით. თუმცა, მხოლოდ ზოგიერთ ოფშორულ ზონაში მოქმედებს ნარკობიზნესთან, ტრეფიკინგთან და იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საექსპორტო ოპერაციებზე ინფორმაციის მოთხოვნის აუცილებლობა. ოფშორულ ზონებში რეგისტრირებულ კომპანიას, რომელსაც პრეტენზია აქვს საგადასახადო და სხვა შეღავათებზე, ძირითადად, არ მოეთხოვება, იყოს იმ ქვეყნის რეზიდენტი, სადაც მდებარეობს ოფშორული ცენტრი და არ მიიღოს მისი ტერიტორიისაგან მოგება.

საერთაშორისო ორგანიზაცია „ფინანსური სტაბილურობის ფორუმი“ ოფშორულ ზონას განსაზღვრავს, როგორც „იურისდიქციას, რომელიც არარეზიდენტების აქტივობების მაღალ დონეს განაპირობებს“. მსგავსი ტიპის აქტივობა განპირობებულია გადასახადების თავიდან აცილების ანდა მათი შემცირების შესაძლებლობით. შესაბამისად, ოფშორული ბიზნესის გადასახადების თავიდან აცილების, ან მათი შემცირების და მოგების გადიდების მიზნით განხორციელებული ნებისმიერი ოფშორული ოპერაციაა, ანუ ესაა ბიზნესი, რომელიც ხორციელდება მოცემული იურისდიქციის საზღვრებს გარეთ, აქვს შემოსავლების უცხოური წყარო და შეღავათიანი დაბეგვრა.

ოფშორული ბიზნესის სწრაფი ტემპით განვითარების ხანად მე-20 საუკუნის 50-იანი წლების შემდგომი პერიოდი მიიჩნევა, რაც გამოწვეული იყო განვითარებულ ქვეყნებში ბიზნესზე მაღალი გადასახადების დაწესებით. მსგავსი მდგომარეობა გადასახადის გადამხდელს უბიძგებს, ამა თუ იმ მექანიზმით მეტ-ნაკლებად უზრუნველყოს ხარჯების მინიმიზაცია და გადასახადებისაგან თავის არიდება. შესაბამისად, მეწარმეთა მთავარ ამოცანად ლიბერალური საგადასახადო გარემოს ძიება ისახება. ასეთმა სიტუაციამ გაამწვავა კონკურენცია სახელმწიფოებს შორის სამეურნეო სუბიექტებისაგან გადასახადის აკრეფის უფლებაზე. თავისთავად, ცალკეულმა ქვეყნებმა მეწარმე სუბიექტებს მისცა საშუალება, კანონის ფარგლებში თავი აერიდებინათ მძიმე საგადასახადო

წნეხისათვის და შექმნეს ახალი ფინანსური ცენტრების ქსელი, ანუ შეღავათიანი საგადასახადო გარემო.

ოფშორული კომპანიების რეგისტრაციით ძირითადად დაკავებული არიან სეკრეტარული ფირმები, სარეგისტრაციო აგენტები. მათი შერჩევა შესაძლებელია ინტერნეტის, ჟურნალ-გაზეთების ან კოლეგების რეკომენდაციით. ოფშორული ფირმის რეგისტრაციისას აუცილებელია მიეთითოს: სასურველი იურისდიქცია, საწესდებო კაპიტალის მოცულობა და ფორმირების მეთოდი. საფირმო სახელწოდება, დამფუძნებლის საპასპორტო მონაცემები. სარეგისტრაციო აგენტი ამოწმებს საფირმო სახელწოდების უნიკალურობას და გასცემს ინფორმაციას თავის წარმომადგენელს რეგისტრაციის ქვეყანაში. იურისტები აფორმებენ ოფშორულ ფირმას ადგილობრივ სარეგისტრაციო პალატაში და სადამფუძნებლო დოკუმენტებს ამოწმებენ ნოტარიუსით. დამოწმებული დოკუმენტები ეგზავნება დამფუძნებელს.

ძირითადად გამოყოფენ ოფშორული იურისდიქციებიდან ბრიტანულ და ამერიკულ მოდელს. ბრიტანული მოდელის არსებობას შედარებით ხანგრძლივი იტორია აქვს, ვიდრე ამერიკულს და ამიტომ ამ მოდელის პრინციპით შექმნილ ოფშორულ ზონებში კომპანიის დასარეგისტრირებლად ოდნავ მეტი პროცედურა და ბიუროკრატიული მექანიზმი გამოიყენება. მოდელის უპირატესობას მყარი სტაბილურობა წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, გამოხატულია მყარი და ყოველმხრივი საკანონმდებლო ბაზის არსებობაში, რომელიც განსაზღვრავს ოფშორული ზონის ეკონომიკურ, სოციალურ, ადმინისტრაციულ-მმართველობით, საფინანსო-საგადასახადო და სხვა უფლებებსა და მოვალეობებს. ამერიკული მოდელი კი ბრიტანული მოდელის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს მოქნილობისა და სიმარტივის კუთხით. ოფშორული სქემების შესამუშავებლად მუდმივად გამოიყენება კანონმდებლობის ახალი რესურსები, საგადასახადო სისტემის ხელსაყრელი თავისებურებები.

ოფშორული კომპანიების პრინციპს მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით შეღავათიან საგადასახადო გარემოში გადანაცვლება წარმოადგენს, რაც მნიშვნელოვანი გათვლების გაკეთებას მოითხოვს. საგადასახადო თავშესაფარის არჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ ტერიტორიაზე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობას. უპირატესობა ენიჭება ისეთი ტიპის საგადასახადო რეჟიმებს, როდესაც კომპანია თავისუფლდება ყველა გადასახადისგან, ფიქსირე-

ბულის გარდა. ამასთანავე აუცილებელია კარგად განვითარებული ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები. ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ინფორმაცია კომპანიის ბენეფიციალური მესაკუთრის შესახებ ხელმიწვდომელი იყოს ფართო საზოგადოებისათვის, ხოლო კლიენტთა სამართლებრივი მისამართი ხელმიწვდომელი იყოს სახელმწიფო ორგანოებისათვის.

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ყალიბდება და ძლიერდება „ანტიოფშორული“ კანონმდებლობა. ვინაიდან ამჟამად მოქმედი 70-ზე მეტი საერთაშორისო ოფშორული ფინანსური ცენტრების საქმიანობას სათანადოდ ვერ არეგულირებენ დასავლეთის მაღალგანვითარებული ქვეყნები, ამიტომ ერთადერთი რაც შეუძლიათ განვითარებულ ქვეყნებს ის არის, რომ ლიმიტირება გაუკეთონ საკუთარ კომპანიებს ოფშორში გასვლისას. მიუხედავად ამისა, თანამედროვე მსოფლიოს დამოკიდებულება ოფშორული ბიზნესის მიმართ მეტად არაერთგვაროვანია. არერთგვაროვნება თავს იჩენს, როგორც ცალკეულ სახელმწიფოთა შორის, ასევე ქვეყნებს შიგნით არსებულ შიდა პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის.

ოფშორული კომპანიის მიმართ წაყენებულ

მოთხოვნები ასევე დამოკიდებულია კონკრეტულ ქვეყანაზე. მაგალითად, აშშ, გერმანია და შვეიცარია აწესებს მკაცრ მოთხოვნებს არარეზიდენტი კომპანიების მიმართ. ბევრი კუნძულოვანი ოფშორი, როგორც წესი, მაქსიმალურად ლიბერალურია. ისინი ძირითადად ორიენტირებული არიან კომპანიებიდან ყოველწლიური შენატანების მიღებაზე და ხშირად ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებასაც არ ითხოვენ. ოფშორული კომპანიები სხვადასხვა მიზნით იქმნება, რომელთაგან აღსანიშნავია: დაბეგვრის ოპტიმიზაცია; საერთაშორისო იმიჯის შექმნა; ბიზნესის რეალური მფლობელის შესახებ ინფორმაციის დაფარვა; კაპიტალის საზღვარგარეთ გატანა და მასზე საკუთრების უფლების დაცვა.

თანამედროვე მსოფლიო კრიტიკული ანალიზი ოფშორული ზონების მიმართ არ არის გასაკვირი. ოფშორული მექანიზმების ფართოდ გამოყენების შედეგად განვითარებული სამრეწველო ქვეყნები მრავალმილიონიან საგადასახადო შემოსავლებს კარგავენ. ეს თანხა თავს იყრის ოფშორულ ცენტრებში, შემდეგ კი ბრუნდება სამშობლოში, მაგრამ უკვე როგორც უცხოური ინვესტიცია საგადასახადო და სხვა შეღავათების მოთხოვნის პირობებით.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.citizenship.ru/>
2. შაბურიშვილი შ., ოფშორის ფენომენი თანამედროვე ბიზნესში, „ეკონომიკა და ბიზნესი“, თბილისი 2013 №5, გვ.89-100;
3. ცეცხლაძე ნ., რა არის ოფშორული ზონა. <http://netgazeti.ge/GE/35/business/3283/>
4. Inancial Stability Forum, „Report of the Working Group on Offshore Centers,“ April 5, 2000
5. ყორღანაშვილი ლ., ოფშორული ბიზნესის როლი მსოფლიო ეკონომიკაში, „ბიზნესი და კანონმდებლობა“ თბილისი 2009, №11;

Offshore business and its features

Tinatin Medzmariashvili
Iv. Javakhishvili Tbilisi State University,
faculty of Economics and Business,
Master's program First Course

Comprehensive study of the offshore phenomenon of the modern world economy is one of the current, specific and problematic issues. Recently, the offshore business has been playing more and more growing role in credit, as well as in industrial investment motions. The period of the rapid pace of development of the offshore business is considered to be the 50's of the 20th century, what was caused by the high tax on business in developed countries. A similar situation is pushing a taxpayer to minimize costs and evade taxes using one or another mechanism. Therefore, the main task for entrepreneurs appears to be the search for the liberal tax environment. This situation fueled the competition between the states for gaining the right to tax agricultural entities.

მართვის კულტურა, როგორც ეკონომიკური
ალმაცლოვის საფუძველი



რუბრიკა მიჰყავს ჟურნალის სარედაქციო
კოლეგიის წევრს ომარ შუღრას

აბრამიშვილი მ., ლომიძე ნ., სომხიშვილი ძ.
მრავალპროფილიანი საერო სკოლის
(„დეა“) სპეცჯგუფის მოსწავლეები

თანამედროვე ეპოქაში, ადამიანის ცხოვრების სწრაფი რიტმისა და ბიზნეს-ეთიკაში არსებული ზოგიერთი პრობლემის გამო, მუშაობის კულტურის ზოგადი ნორმები სრულად ვერ ხორციელდება. მუშაობის კულტურის დონე და დროის ეკონომიის დონე, პირდაპირ მეტყველებს საზოგადოების განვითარების დონეზე, სწორედ ამიტომ, საჭიროა გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული რეზერვები და ვისწავლოთ მუშაობის კულტურა. მის ძირითად მიმართულებას დროის ეფექტიანი მართვა წარმოადგენს.

ინფორმაციული საზოგადოების დამახასიათებელი ფასეულობაა დრო, რომელიც ყველა ჩვენგანს აბსოლუტურად თანაბარი რაოდენობით აქვს. ის უნივერსალური რესურსია, რომლის არც დაგროვება შეიძლება და არც დაბრუნება. მისი ყიდვა (დაზოგვის მიზნით) კი სულ უფრო და უფრო ძვირი გვიჯდება. თანამედროვე ცხოვრებაში თავისუფალი დროის ცნების განსაზღვრა ძნელი გახდა და კიდევ უფრო ძნელი – მისი გაზომვა. ამიტომ გაჩნდა კითხვა, როგორ დაეზოგოთ და ვმართოთ დრო? აქ მხოლოდ შრომის რაციონალიზაცია, როდია საკმარისი. საჭიროა გავითვალისწინოთ დროის ეფექტური მართვის მეთოდები.

1. ელექტრონული მონაცემთა ბაზა. ტრადიციული მონაცემთა ბაზის – ბლოკნოტისგან განსხვავებით, ინფორმაციის ძიებისთვის ელექტრონული მონაცემთა ბაზა ნაკლებ დროს მოითხოვს. ელექტრონული ფორმით უფრო იოლია შესწორება, ახალი ინფორმაციის შეტანა, წაშლა და ა.შ. თუ საქაღალდეების რაოდენობა დიდია, ყველაზე საჭირო მონაცემს სიის თავში. ასეთი ლოგიკური, მოსახერხებელი საფაილო სისტემა თვეში რამდენიმე საათს დაგიზოგავთ. ასევე საჭიროა, რომ კომპიუტერის ეკრანზე დაგტოვოთ მხოლოდ აუცილებელი ფაილები. სისტემაში განაახლეთ თქვენი პროგრამული უზრუნველყოფა, ოპერაციული სისტემა, მისი დანართები და ანტივირუსული პროგრამები. დროის დაზოგვაში, ძალიან მნიშ-

ვნელოვანია ინტერნეტის მუშაობის სიჩქარეც.

2. საქმიან ქაღალდებთან მუშაობა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში კომპიუტერი ვეღარ დაგეხმარებათ. მოსახერხებელი იქნება, თუ საქაღალდეებს ფაილის „ჯიბებით“ დააღაგებთ ქრონოლოგიურად 31 დღეზე გადანაწილებით. ასე დალაგებული საქაღალდეები შეინახეთ მაგიდასთან ახლოს და მოაქციეთ ერთიან (თაროების) სისტემაში. წესად შემოიღეთ, რომ შემოსული წერილი ან დოკუმენტი, ხელში მხოლოდ ერთხელ აიღოთ და უკან აღარ დაუბრუნდეთ (მაგ. იქვე ჩაინიშნეთ საპასუხო ფრაზები). ბევრი საქაღალდეები თქვენს მაგიდაზე, მხოლოდ ყურადღებას ფანტავს და მენეჯერზე მოუწესრიგებელი, არაპროდუქტიული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს.

3. მობილური ტელეფონი. ოფისის გარეთ დროის დაზოგვის მიზნით მობილური მაქსიმალურად გამოიყენეთ, მაგრამ არ მისცეთ მას უფლება, რომ მართოს თქვენი დრო (რადგან, ტექნიკა ადამიანს, თუ ის უკულტუროა, იმონებს), ამიტომ, ნუ დააწერთ მობილური ტელეფონის ნომერს სავიზიტო ბარათს (ე.ი. იქონიეთ სპეციალური ბარათი, მხოლოდ ოფისის ტელეფონით). დროის დაზოგვაში, ნომრის ამომცნობიც დაგეხმარებათ, თუ ხშირი კონტაქტების სია იქვე გექნებათ. ასევე ძალიან მოსახერხებელია მობილურის ყურსაცმით მუშაობა (ლუე ტოტჰ), რადგან ხელები თავისუფალი გექნებათ (ჯანმრთელობასაც შეინარჩუნებთ). ასე, რომ თანამედროვე ტექნოლოგიები დროის დაზოგვაში გარკვეულწილად დაგეხმარებათ.

4. ურთიერთობა. ასეა თუ ისე, ადამიანები მაინც ყველაზე მეტ დროს გვართმევენ, ამიტომ შეეცადეთ, რომ შეზღუდოთ მათთან კონტაქტი. თქვენი საქმიანი შესხვედრები დაგეგმეთ, მხოლოდ მაშინ, როცა „ფორმაში“ ხართ. შეეწყვეთ თქვენი ხელმძღვანელის მუშაობის სტილს, ჩაიწერეთ მისი მითითებები. დავალებული საქმე კი გააკეთეთ კარგად, დროულად და სხვაზე უკეთ. ადამი-

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST

ანებთან ურთიერთობის მნიშვნელოვანი ნაწილია ასევე თათბირი (სემინარი, სხდომა, კონფერენცია). მართალია ეს სასარგებლო და აუცილებელია, მაგრამ ტრადიციულად, ცუდი ორგანიზების გამო ბევრ დროს გვაკარგვინებს. ამის გათვალისწინებით საჭიროა, როგორც მენეჯერის, ასევე თანამშრომლებისა და თათბირის მონაწილეების მეტი ინფორმირება.

5. სამუშაო დღე და ცხოვრების რიტმი. თქვენი შრომის ნაყოფიერებისთვის მთავარია ცხოვრების რიტმი და რეჟიმი, რადგან დროის ეფექტური მართვა არა მარტო შრომის ორგანიზაციას, არამედ (როგორც ორთობიოტიკა გვასწავლის) მთელი ცხოვრების ორგანიზაციას მოიცავს. ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვებისთვის შემოიღეთ პირადი „ქრონოლოგიური“ დღიური, რომელსაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინ მიმართავთ ხოლმე. სამუშაო დღის შემცირება შრომის საუკეთესო ეფექტურობას იძლევა, ვინაიდან ინტენსიური ხანგრძლივი შრომა იწვევს გადაღლას. მუშაობის ნაყოფიერებისთვის მნიშვნელოვანია რაციონალური დასვენება. მისი კულტურა პირადი საქმე არაა. თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები კვირა დღეს სამუშაოზე არ ფიქრობენ, ამიტომ დასვენება მნიშვნელოვნად აისახება თქვენი სამუშაოს შესრულების უნარზე. თუკი გაითვალისწინებთ დროის მართვის ამ მეთოდებს, მნიშვნელოვნად გაგიაღვივლებათ კონცენტრაციის უნარი კონკრეტულ საკითხზე და მუშაობა მოსალოდნელ შედეგს გამოიღებს.

საქართველოში, მართვის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ხელქვეითზე პასუხისმგებლობის დელეგირებას და კერძოდ, თანამშემწის როლს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამრიგად, სამუშაოს დელეგირება მართვის კულტურის ძირითად რეზერვად შეიძლება ჩაითვალოს. განვითარებულ ქვეყნებში მენეჯერის, ბიზნესმენის თანამშემწეთა მომზადებას დიდი ყურადღება ექცევა. კარგი თანამშემწე ხომ ორჯერ ზრდის ხელმძღვანელის შრომის ნაყოფიერებას. ინფორმაციის სწორი დახარისხება-ფილტრაციით მდივან-რეფერენტი დიდ სამსახურს უწევს ხელმძღვანელს. თანამედროვე კონცეფციით, მდივანს უნდა ჰქონდეს შემოქმედებითი აზროვნების უნარი: ის ხელმძღვანელს უნდა აწვდიდეს „აზრების ნაკადს“. მის მუშაობას საფუძვლად უდევს პასუხისმგებლობის გადაცემად დელეგირება. სამწუხაროდ, მიუხედავად მართვაში ფუნდამენტური მნიშვნელობისა, დელეგირება ყველაზე ნაკლებად გაგებული და პრაქტიკაში არასწორად გამოყენებული კონცეფციაა. გარდა ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი სასარგებლო საქმის „ჩაშლის“ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დელეგირების დაბალი კულტურაა. დელეგირება სასარგებლოა არა მხოლოდ ხელმძღვანელისთვის, არამედ მდივანისთვისაც, რადგან მდიდრდება მისი გამოცდილება, კომპეტენტურობა, საკუთარი თავის რწმენა და ავტორიტეტი. დელეგირების „რეჟიმი“ მუშაობისას მეტი ყურადღება უნდა

მიექცეს ხელმძღვანელსა და თანამშემწეს შორის ინფორმაციის გაცვლის სიხუსტეს. ხშირად თანამშემწის ცუდი მუშაობის მიზეზია ხელმძღვანელისგან სინქარეში არახუსტად მიღებული ინფორმაცია.

ცხადია, არ შეიძლება ყველაფრის დელეგირება. პირველ რიგში, საჭიროა რუტინული, სპეციალური ან მოსამზადებელი სამუშაოს, აგრეთვე თათბირზე დასწრების დელეგირება.

საქმიანი ეტიკეტი ბიზნესმენის პროფესიული ქცევის, მორალის მნიშვნელოვანი მხარეა. ხშირ შემთხვევაში, სწორედ იმის გამო, რომ არ იციან ეტიკეტის წესები, მათ ეშლებათ მნიშვნელოვანი გარიგებები. ამის გამო ჩვენი ბიზნესმენები ისევე, როგორც მათი კონსულტანტები და თანამშემწეები, პარტნიორების კრიტიკის ობიექტები ხდებიან. რათა ეს აღმოფხვრას, საჭიროა ეტიკეტის დაცვა, რომელიც იწვება გარეგნული მხარით და მთავრდება ურთიერთობისა და მუშაობის კულტურით.

განვიხილოთ საოფისე ეტიკეტის ნორმები. საოფისე სივრცის ორგანიზაციის სამი ძირითადი ტექნოლოგია არსებობს: ტრადიციული, „ღია ოფისი“ (ყველა ერთ დარბაზში) და კომბიოფისი (ტიხრებით იზოლირებული დარბაზი). კაბინეტური სისტემის ნაკლი ყველსათვის კარგადაა ცნობილი. გარდა იმისა, რომ ის უსაქმურ ატმოსფეროს უწყობს ხელს, არაფორმალური დაჯგუფებების და კონფლიქტების წყაროცაა. „ღია ოფისს“ ეს ნაკლი არ აქვს – იქ არავითარი საიდუმლოება არ არსებობს, ყველაფერი „ხელისგულზეა“, მაგრამ ეს ხელს უშლის ზოგიერთი პროფესიის მუშაკებს. კომბინირებულ ვარიანტში კი გაერთიანებული ორივე სისტემის უპირატესობა. იქ მუშაობენ თანამედროვე პრინციპით – „გამჭვირვალე ოფისი – ერთიანი გუნდი“. საოფისე მაგადებზე ყველაზე უხეში და ფართოდ გავრცელებული შეცდომაა – კომპიუტერი საწერ მაგიდაზე. ორი საქმიანი ადამიანი უნდა საუბრობდეს ისე, რომ ერთმანეთს ხედავდეს და მათ შორის სივრცე არაფრით იყოს დაკავებული.

მუშაობის კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხარეა ვიზუალური მხარე. თქვენი გარეგანი იმიჯი პირდაპირ მეტყველებს თქვენს დამოკიდებულებაზე სამუშაოსადმი და შეიძლება ითქვას, რომ ის პირველი ნაბიჯია წარმატებისაკენ. მისაღებია, რომ ოფიციალურ შეხვედრებზე გეცვათ თეთრი პერანგი და შავი ან რუხი პიჯაკი, ხოლო შარვლის შემთხვევაში უპირატესობა შავს ფერს უნდა მიანიჭოთ. უნდა შეეცადოთ, რომ თქვენმა გარეგნობამ ხაზი გაუსვას თქვენს გამოცდილებას და სხვაზე საქმიანი ადამიანის იმიჯს ტოვებდეს.

სტატიაში მოყვანილი მეთოდები და მაგალითები გვასწავლის, როგორ ვისწავლოთ მუშაობის კულტურა, რაც ნამდვილად გარანტია ჩვენი მომავალი წარმატებისა.

გამოხმაურება

საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტი ასათიანის მონოგრაფიულ ნაშრომზე „საიმი მიღის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური ბანკოთარების კონცეპტუალური ანალიზი“



ქართული ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად მოიძებნება საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომი პერიოდის ეკონომიკური განვითარების პრობლემატიკაზე მიძღვნილი, მონოგრაფიულ დონეზე შესრულებული

პუბლიკაციები, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ეკონომიკური მოვლენათა ახსნა, ანალიზი და შეფასება მიმდინარეობს უპირატესად ემოციურ ან პოლიტიკურ ჭრილში და შესაბამისად მოკლებული არიან ეკონომიკური განვითარების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლებს. ამავე დროს, გამოკვეთილად მიუღებელია მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით მანიპულირება, რამდენადაც მიუწვდომელი ხდება ეკონომიკური კანონზომიერებათა გამოვლენა, რასაც შედეგები ტექნოკრატიული ანალიზის ჭრილში გადააჰყავს.

პროფ. როზეტი ასათიანის მრავალწლიანი და მრავალწახნაგოვანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა თვალნათლივ აჩვენებს, რომ იგი ეკონომიკური თეორიის მაღალ დონეზე დაუფლებული მეცნიერია, რასაც შესანიშნავად ინპლემენტაციას უკეთებს თავის ახლახან გამოცემულ მონოგრაფიაში და ამით ანეიტრალურს ზემოხსენებულ ემოციურ და პოლიტიკურ მიდგომებს. აღნიშნულის კარგი მაგალითია ისიც რომ, ავტორი ძირითადად ეყრდნობა და იყენებს აღმსმითის, ჯონ კეინზის, პოლ სამუელსონის, დენიელ ბელის, მაიკლ პორტერის და სხვა ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლების განსაზღვრებებს, ამასთან თუმცა, არ ავიწყდება დიდი ილია ჭავჭავაძის შეხედულებებიც; ღრმად აანალიზებს ქართველ მეცნიერ-ეკონომისტების კვლევის შედეგებს. კერძოდ: ორგინალურადაა ახსნილი ეტატიზმის ცნება და მისი გამოვლენა საქართველოში; „კეინზიანური რეკლუციის“ როლი

ეკონომიკურ ზრდაში და საბაზრო ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირებაში; „შოკური თერაპიის“, გრადუალისტური, ორთოდოქსული, ჰეტეროდუქსული, სტრუქტურულ-წარმოებრივი სტაბილიზაციის მოდელები; „ჩინური სასწაულის“ უმთავრესი ფაქტორები და ა.შ. აყენებს შემდეგ მნიშვნელოვან დასკვნას: „საქართველომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორთოდოქსული გზა „აირჩია“, რომელიც, ისე როგორც „შოკური თერაპია“, ასევე არაოპტიმალური აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისათვის“ (გვ.57). იქვე აღნიშნავს, რომ გრადუალიზმი ეკონომიკური თვალსაზრისით „შოკური თერაპიის“ ანტიპოლია, ხოლო მაკროსტაბილიზაციის თვალსაზრისით - ოსდოქსული (ასევე ჰეტეროდოქსული) სტაბილიზაციის ანტიპოლი.

მონოგრაფიულ ნაშრომში ფართოდაა გაშუქებული და მეცნიერულად დასაბუთებული საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მასზე მომქმედი უპირველესი ფაქტორები, როგორცაა: ტრანსფორმაციული პროცესების ეთიკის ნორმებში ვერ წარმართვა, ეკონომიკური ინტერესების შეჯერებლობა, კვაზიდემოკრატია და ა.შ. კრიტიკულადაა შეფასებული ინსტიტუციური რეფორმები, სადაც გამოყოფილია პოზიციების ამოსავალი პრინციპები, საკუთრების გასახელმწიფოებრივობის თავისებურებები და ეტაპები, ამ სფეროში დაშვებული უხეში შეცდომები. ეს პროცესი საინტერესოაა გაანალიზებული ენერგეტიკული მრეწველების მაგალითზე. განხილულია: ახალი ტიპის საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირების თავისებურებები; ფინანსური კრიზისის გამომწვევი მიზეზები. მთლიანობაში ფისკალური პოლიტიკის ანალიზს საფუძვლად უდევს ნეოკლასიკოსების შეხედულებები ბიუჯეტის ზრდის თაობაზე და ამ მიმართულებით გაკეთებულია სრულიად სამართლიანი დასკვნა, რომ „საგადასახადო სისტემაში (ისე როგორც მთელ მაკროსისტემაში) საქართველოს მკვეთრად გამოხატული კურსი არ ჰქონია. სიტყვით თითქოს გადავდიოდით საბაზრო ეკონომიკაზე, საქმით კი სულ სხვა სურათი

იყო“ (გვ.137). ავტორი, გვერდს არ უვლის ისეთ საკითხების განხილვასაც, როგორცაა სოციალური დიფერენციაციის მოდელები (ზეპოლარული, ზომიერად პოლარული, ეგალიტარული) და საქართველოს ადგილი ამ თვალსაზრისით.

ზემოთ მოტანილი მაგალითები მონოგრაფიაში ეკონომიური მოვლენების ანალიზის მხოლოდ მცირეოდენი ფრაგმენტებია. ნაშრომი მოკლებული არ არის პრაქტიკული ხასიათის ავტორისეული წინადადებებით. მაგალისათვის მოვიყვანთ ავტორისეულ წინადადებას უმუშევართა შემწეობის კანონის მიღების თაობაზე; ყუბადღებას იპყრობს სახელმწიფოს მიერ რეგიონალური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებებთან შემდეგის განხორციელება: ტერიტორიული დისპროპორციების ლიკვიდაცია, ვერტიკალური და ჰორიზონტალური დაფინანსების დაბალანსება, სუბვენციის ფონდის შექმნა, სუბვენციური ტრანსფერების გაცემა და სხვ.

პროფ. როზეტა ასათიანის მიერ წარმოდგენილი მონოგრაფიაზე ჩვენი თვალთახედვით, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი ზოგადი ხასიათის დასკვნები:

1. ეკონომიკური მოვლანათა და ქმედებათა განსახილველი და საანალიზო პრობლემები(ან საკითხები), დიფერენცირებულია უპირატესობის მინიჭების პრინციპზე, რაც გამოკვლევას მეტ დინამიკურობასა და დამაჯერებლობას სძენს. კერძოდ, მონოგრაფია იწყება სოციალისტური ეპოქის დასასრულის კანონზომიერი ობიექტური აუცილებლობით, როგორც მოვლენა, გრძელდება საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის გარდამავალი პერიოდით და სრულდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების თანამედროვე გამოწვევებით, მსოფლიოში ამ კუთხით მიმდინარე პროცესების ფონზე. ამავე დროს, ამ არც თუ ხანგრძლივი (22 წელი), მაგრამ ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვან დროში მომხდარმა ეკონომიკური სისტემის შეცვლამ, განაპირობა ინსტიტუციური რეფორმების, მეწარმეობის ფორმირების, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების და სხვა

საკითხების საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმებითა და ინდიკატორული შეფასებების სისტემის გამოყენებით დრმა ანალიზის გაკეთება, რაც საკმაოდ მაღალ დონე

ეზეა შესრულებული. ავტორი, გვერდს არ უვლის გლობალიზაციის პროცესების მნიშვნელობას და მის გავლენას ეროვნული ეკონომიკის ახალ გამოწვევებზე, რასაც ეძღვნება მონოგრაფიის სპეციალური VIII თავი.; სათანოდო ადგილი ეთმობა კონკურენციის და კონკურენტუნარიანობის საკითხებს და ამ კუთხით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას, როგორც საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს.

2. მონოგრაფია დემონსტრირებს, მისი ავტორის პროფ. როზეტა ასათიანის კიდევ ერთ დადებით მხარეზე: ზუსტად განსაზღვროს პრობლემის ან საკითხის არსი და გარდა ავტორისეული შეხედულებებისა, მის ახსნა-განმარტებას მოუნახოს ავტორიტეტული, უცხოური ან ქართული ლიტერატურული წყარო და განამტკიცოს ფაქტობრივი მაჩვენებლებით. ამგვარი მიდგომა, მაღლა წევს ეკონომიკური მოვლენათა ახსნისა და ანალიზის საიმედოობას და მკითხველს მეტი განსჯის საშუალებას აძლევს.

3. მონოგრაფია საშუალებას იძლევა იმ პრიორიტეტული მაკროეკონომიკური პრობლემების სისტემატიზირებას, რომელიც უპირველეს და განცალკევებულ კვლევების ჩატარებას მოითხოვს; უფრო კონკრეტულად, იგი თანამედროვე ეკონომიკური პრობლემათა გზამკვლევაა, რომელთა შესწავლა და ანალიზი სათანადო ცოდნასა და გაცნობიერებას მოითხოვს. ამიტომ მიზანშეწონილია ეს ნაშრომი გახდეს ეკონომიკური მიმართულების სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტების შესწავლისა და განხილვის საგანი, შესაძლებლობის ფარგლებში აისახოს სამეცნიერო კვლევებში და სასწავლო პროცესში.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ როზეტა ასათიანის მონოგრაფიული ნაშრომი „საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი“, ქართული ეკონომიკური მეცნიერების კარგი და დროული შენაძენია, ხოლო ქალბატონი როზეტა ასათიანი ქართული ეკონომიკური საზოგადოებისაგან, უდაოდ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებასა და საგანგებო აღნიშვნას, რაც იქნება მისი მრავალწლიანი სამეცნიერო და პედაგოგიური შემოქმედებით მოღვაწეობის ღირსეული დაფასება.

თეიმურაზ კანდელაკი

საქართველოს ეკონომიკური და საინჟინრო აკადემიების ნამდვილი წევრი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი თბილისი, 07 აპრილი, 2014 წელი

გამოვიდა სოლომონ პავლიაშვილისა და ზურაბ ბარაქანიძის ნაშრომი: „სატრანსპორტო ღირებუანი საქართველოში: პრობლემები, პერსპექტივები“



ნაშრომის პირველი თავი: „საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა“ ეხება ყველა სახეობის არსებულ და დაგეგმილ სატრანსპორტო მარშრუტებს. აღნიშნულია, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის

უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რაც 2008 წლის შემოდგომაზე ევროკომისიის მიერ მიღებულ ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროგრამაში (კონცეფციაში) აისახა.

ევროკავშირის ენერგოპროექტების სიცოცხლისუნარიანობისათვის ნამდვილი გამოცდა იყო საქართველოზე გამავალ მილსადენებზე 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტის გავლენა. ნაშრომში განხილულია საქართველოს გავლით კასპისპირეთის ბუნებრივი გაზის ტრანზიტისა და რექსპორტის რამდენიმე სცენარი და ამ სცენარების როლი ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებაში.

ნაშრომის მეორე თავი: „საქართველოს რეგიონალური სატრანსპორტო განვითარება“ ეძღვნება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი სატრანსპორტო ნაკადების წარმატებული განვითარებისათვისა აუცილებელი ძირითადი ფაქტორების ანალიზს. ნაშრომის ავტორების მიერ საკმაოდ ღრმადაა შესწავლილი ჩვენი ქვეყნის ტრანსპორტის ცალკეული დარგების, განსაკუთრებით საზღვაო და მილსადენების ტრანსპორტის განვითარების არსებული მდგომარეობა. ამავე დროს ავტორების მიერ მოცემულია სამხრეთ კავკასიის, კასპისპირეთისა და ახლო აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე პოზიტიური და ნეგატიური ზემოქმედების ანალიზი და პროგნოზი.

გამო შეუძლია გახდეს კავკასიის სატრანსპორტო-ლოგისტიკური ცენტრი, ნაწილობრივ იგი აღნიშნულ ფუნქციას დღესაც ასრულებს, მაგრამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის არნახული ტემპების და სასარგებლო წიაღისეულის (განსაკუთრებით ნავთობისა და ბუნებრივი გაზის) მოპოვება-მოსმარების ზრდი გამო, საქართველოს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელობა განუხრელად იზრდება, არა მარტო სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის, არამედ შუა აზიის სახელმწიფოებისთვისაც.

კასპისპირეთში ნახშირწყალბადების (ჰიდროკარბონების) მოპოვებამ და ტრანზიტმა მართალია გარკვეულწილად უზრუნველყო საქართველოსა და აზერბაიჯანის ეკონომიკური და ფინანსური უსაფრთხოების განმტკიცება. მაგრამ, მეორეს მხრივ, სტაბილური ექსპორტისათვის საჭირო გახდა ამ ქვეყნების სამხედრო, ენერგეტიკული და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო

ბესიკ ალაღაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
სრული პროფესორი

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



„გუგლი“ კაპიტალიზაციით „მსონობილს“
ბაუსწრო

„გუგლი“ მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული კომპანიების რეიტინგში დაწინაურდა. ინტერნეტგიგანტმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა და საბაზრო კაპიტალიზაციით „ექსონობილს“ გაუსწრო. ყველაზე ძვირადღირებულ კომპანიებს შორის მეორე ადგილი „გუგლს“ აქამდე არასოდეს დაუკავებია. 10 თებერვლის ვაჭრობის შედეგებით, მისმა საბაზრო კაპიტალიზაციამ 395,42 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ყველაზე ძვირად ღირებულ კომპანიად კი კვლავ „ეპლ“ რჩება, რომელიც ასევე 10 თებერვლის მონაცემებით 463,55 მილიარდ აშშ დოლარად იყო შეფასებული.

ფრანგული ღვინის ქურღაპი

საფრანგეთის პოლიციამ 20 ადამიანი 1 მლნ ევროს ღირებულების „ბორდოს“ მარკის ღვინის მოპარვის ბრალდებით დააკავა. დაკავების სპეცოპერაციაში, რომელიც საფრანგეთის სამხრეთ-აღმოსავლეთსა და პარიზის რეგიონში მიმდინარეობდა, 300 ოფიცერი მონაწილეობდა. პოლიციის ინფორმაციით, მძარცველთა ბანდა განსაკუთრებით ძვირფას ღვინოებზე ნადირობდა, მხოლოდ ერთ მეწარმეს 600 ათასი ევროს ღირებულების 3200 ბოთლი ძვირფასი „ბორდო“ მოჰპარეს. ქურდები ყოველთვის მოპარული ავტომობილებით მოძრაობდნენ, ადგილზე დატოვებულ ანაბეჭდებსა და კვალს კი სარეცხი საშუალებებით სპობდნენ.

2035 წლისათვის ღარიბი ქვეყნები
ალარ იქნებიან?!

ბილ გეიტსი მსოფლიოს 35 უღარიბეს ქვეყანაში 2035 წლისათვის კეთილდღეობის ზრდას მოელის. ამის შესახებ საუბარია საქველმოქმედო ფონდ ილლ & ელინდა ატეს ოუნდატიონ-

ის ყოველწლიურ გზავნილში. „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი ვარაუდობს, რომ 2035 წლისათვის ღარიბი ქვეყნების დიდ ნაწილში, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავალი გადააჭარბებს ჩინეთში დღეს არსებულ მაჩვენებელს (2012 წელს ერთ სულ მოსახლეზე – 9040 აშშ დოლარი). მილიარდელის თქმით, ბოლო ათწლეულის განმავლობაში მსოფლიომ სიღარიბესთან ბრძოლაში წარმატებას მიაღწია. ბილ გეიტსი ასევე უარყოფს ხმებს კომპანიაში მისი დაბრუნების შესახებ. შეგახსენებთ, რომ კომპანიის ამჟამინდელი დირექტორი სტივ ბალმერი თანამდებობას ტოვებს და დირექტორთა საბჭო მის შემცვლელს ეძებს.

პროფესია პროგრამისტი

აშშ-ში საუკეთესო სამსახურად პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებლის პროფესია ითვლება, – ამის შესახებ ნათქვამია ამერიკული უზრუნველყოფის, შ ეწს & ჭორლდ ღეპორტის გამოქვეყნებულ 100 საუკეთესო პროფესიის რეიტინგში. სამეულში ასევე შევიდა კომპიუტერული სისტემების ანალიტიკოსისა და კბილის ექიმის პროფესიები. პერსპექტიულ პროფესიებად მიჩნეულია ასევე ფერშლის, ფარმაცოლოგის, ექიმ-თერაპევტის, ექთნების, ვებდეველოპერისა და კბილის ჰიგიენის სპეციალობები. ამდენად, სიის სათავეში ჭარბობს პროფესიები სამედიცინო და კომპიუტერული სფეროებიდან. ასეულის ბოლოში აღმოჩნდნენ არტ-დირექტორები, კლიენტებთან ურთიერთობის სფეროს წარმომადგენლები, სანტექნიკოსები, ოფისის კლერკები, ავტომექანიკოსები, მღებავები და ფსიქიატრები. თუმცა, მოთხოვნა ამ პროფესიებზე დღესაც დიდია.

„უცხოეთის ეკონომიკური სიახლეები“ სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მოამზადა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურის I კურსის სტუდენტმა თამთა ფიჭაძემ



არჩეულია საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა

2014 წლის 28 მარტს გაიმართა საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, სადაც განხილული იყო აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტისა და პრეზიდიუმის წევრთა არჩევის საკითხი. სხდომის მიერ ერთხმად არჩეულიქნა პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

თაიშურაზ ბაბუნაშვილი - აკადემიის პრეზიდენტი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი. წლების მანძილზე მუშაობდა სახელმწიფო დაწესებულებებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობაში. მას გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი საფრანგეთში, ჩეხეთში, რუსეთში, აზერბაიჯანში. მათ შორის 5 მონოგრაფია და 4 სასწავლო პროგრამა. არის 2 გამოგონების ავტორი. მონაწილეობასღებულობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, მათ შორის პოლონეთში, ფინეთსა და აზერბაიჯანში. გავლილი აქვს სტაჟირება მოსკოვის პლეხანოვის სახელობის ინსტიტუტში და ჩეხეთის კარლოვი უნივერსიტეტში. არჩეულია რამდენიმე აკადემიის ნამდვილ წევრად, მათ შორის საზღვარგარეთ. მინიჭებული აქვს საკავშირო ლაურეატის წოდება სამეცნიერო სფეროში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. არჩეულია აბაშის რაიონისა და ქალაქ თბილისის საპატიო მოქალაქედ. ფლობს უცხო ენებს.

თამაზ იმედაძე - აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, მათ შორის 4 მონოგრაფიის. მისი მუშაობის ძირითადი სფეროა საქართველოს ეკონომიკა, მიკრო ეკონომიკა და საგადასახადო საქმე. გავლილი აქვს სტაჟირება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისრაელში, საბერძნეთში. 1995-2007 წლებში იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. მუშაობდა ქართულ-ბრიტანულ უნივერსიტეტში პრორექტორის თანამდებობაზე. არის საქართველოში გამოშვებული 10-ზე მეტი სამეცნიერო ჟურნალების რედკოლეგიის წევრი. სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;

ნოდარ ჭითანაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუ-იუორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. სხვადასხვა დროს იყო რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია;

ლია ელიაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. გავლილი აქვს ტრენინგები ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა კონტროლისა და გარე აუდიტის პროფილით. ინგლისის სახელმწიფო ბანკში, რუსეთის ცენტრალურ ბანკში, სანკტ-პეტერბურგის საბანკო სკოლაში, ბრიტანეთის საკონსულტაციო საერთაშორისო განათლების ცენტრში, არის რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. ფლობს უცხო ენებს, არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი;

მამია ჭუმბურიძე - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. არის 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ის მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში და ბიზნეს-შეხვედრებში, ბუღალრეთში, რუსეთში, თურქეთში. არჩეულია რეფერირებადი ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრად, არის მაგისტრების ხელმძღვანელი, აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ეკონომიკურ ფორუმებში;

ახალი ეკონომისტი THE NEW ECONOMIST



ვაჟა კვალიაშვილი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 90-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, არჩეულია რამდენიმე საერთაშორისო ასოციაციის წევრად. აქტიურად მონაწილეობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხეხილის სელექციისა და ვაზის გენეტიკის განვითარების სამუშაოებში. წლების განმავლობაში იყო ხელმძღვანელ სახელმწიფო და სამეცნიერო თანამდებობაზე;

ბურამ ბჰმტაძე - გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი, სხვადასხვა დროს მუშაობდა სახელმწიფო სტრუქტურებში, 1979-1986 წლებში იყო შინაგან საქმეთა მინისტრის თადარიგში გასვლის შემდეგ აქტიურად აგრძელებს საზოგადოებრივ საქმიანობას. არის საქართველოს ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და პუბლიკაცია;

ლოიჯ ქარჩაძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მათ შორის 3 მონოგრაფიის. ის არის საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი ჟურნალის „ახალი ეკონომისტის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი,

ასევე, რამდენიმე სხვა სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი. სტაჟირება გაწეული აქვს თბილისში, იაპონიაში, მოსკოვში. 1992-1999 წლებში მუშაობდა საქართველოს მინისტრთა კაბინეტში და პრეზიდენტის კანცელარიაში სახელმწიფო მრჩეველად, წამყვან სახელმწიფო მრჩეველად, ეკონომიკურ საკითხთა სამთავრობო კომისიის პასუხისმგებელ მდივნად. იგი არის როგორც თეორიტიკოსი ბიზნესის ადმინისტრირებაში, ასევე, აქვს ბიზნესის სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება, მათ შორის საერთაშორისო (იაპონურ) კორპორაციებში. ამჟამად არის სს „ხალიკ ბანკი საქართველოს“ (ყაზახეთის სახალხო ბანკის შვილობილი კომპანიის) სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი, სამმართველოს უფროსი. ფლობს უცხო ენებს.

ბაღრი ბჰმბაია - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, რამდენჯერმე იყო სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი. არჩეულია რამდენიმე სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრად, სამეცნიერო კონფერენციების საბჭოს წევრად, არის წიგნების რედაქტორი და რეცენზენტი, ფლობს უცხო ენებს.

ეკონომისტი

საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი
სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

სტატიების მიღება შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს Word-ში, AcadNux-ში, შრიფტის ზომა 12, ინტერვალი სტრიქონებს შორის - 1,5, ველების დაშორება მარჯვენა-მარცხენა მხარეს 2 და 3 სმ. შესაბამისად, ზედა და ქვედა - 2,5 და 2,5სმ. ტექსტი უნდა აიკრიფოს გადატანების გარეშე. ცხრილები გადაყვანილი JPEG-ში. სტატიის მინიმალური მოცულობა უნდა იყოს 5 გვერდი A4 ფორმატის.

2. ავტორის სახელი, გვარი, სამეცნიერო წოდება და თანამდებობა, საკონტაქტო კორდინატები, (ტელეფონები, ელ.ფოსტა), სურათის ელექტრონული ვერსია JPEG-ში;

3. სტატიას უნდა ახლდეს რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოცულობით 120-150 სიტყვა, აკრეფილი შესაბამისად AcadNux-ში და Times New Roman-ში, შრიფტის ზომა 12. სამეცნიერო სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სია.

4. სტატია შეიძლება გამოქვეყნდეს ინგლისურ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზეც. ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მოთხოვნაა, რეზიუმე მოგვაწოდოთ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტატიის გამოქვეყნების ღირებულება შეადგენს – ჟურნალის ერთი გვერდი 8 ლარი, რომელსაც ავტორი გადაიხდის დადებითი რეცენზიის მიღების შემდეგ, ხოლო ჟურნალის ღირებულება – 5 ლარი.

5. სტატიის გამოქვეყნების, ჟურნალის შექმნისა და გამოწერის ღირებულების გადახდა შესაძლებელია შპს “ლოი“-ს ანგარიშზე: საიდენტიფიკაციო კოდი 204439296, ანგარიშის ნომერი GE61HG000000000713602, სს „ხალიკ ბანკი საქართველო“, ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდია HABGGE22.

ელექტრონული ფოსტა: economist_n@yahoo.com

ტელ: 299-05-76; 555 277 554; 595 32 30 34.

☒ სტატიების მოწოდება ფურცლებით ან CD-თ აუცილებელი არ არის.

International Precise and Review Scientific-Practical Magazine

Continues taking articles according to this requests:

1. Text must be gathered in Word, size of AcadNux font 12, interval between lines- 1.5, borders in right and left side- 3 and 2sm. Also, up and down borders- 2.5 and 2.5sm. Text must be picked up without transferring. Tables should be in JPEC. The minimal size of article is 5pages of A4 format.

2. The first name of author, last name, scientific rank and post, coordinates (telephone number, e-mail), electronic version of photo in JPEC.

3. The article must have reziuime in Georgian and English languages. The size should be 120-150 words, it must be picked up in AcadNux and in Times New Roman, size of font-12. Scientific article must have list of used literature.

4. The article may be published in **English, Russian, German and France** languages. So, it is also our request to prepare reziuime in Georgian and Egnlish languages too.

The price of article's publication is- one page of journal 8GEL(lari). And auhor will pay this price after getting positive respond. Also, the price of journal is 5GEL(lari).

5. The price of publication article, buying journal and subscription fee could be payed in Ltd. “loi's” account: identification code – 204439296, the account number- GE61HG000000000713602, “Halyk Bank Georgia”, central office, bank code HABGGE22.

Our coordinates:

e-mail: economist_n@yahoo.com

Tel: 299 05 76; 555 277 554; 595 32 30 34.

PS. Giving articles with papres or CD-s, is not necessary.



შპს „Smarty“ გთავაზობთ სრულ
სარეკლამო/პოლიგრაფიულ სერვისს უახლესი
დანადგარებითა და ხელსაყრელი ფასებით!!!

ციფრული
ბეჭდვა

ფართოფორმატიანი
ბეჭდვა

სტამბური
ბეჭდვა



ბანური
ბადე სტიკერი

HEIDELBERG A2

- სავიზიტო
- ფლაერი
- ბუკლეტი
- ტრი პლავტი
- ბროშურა
- ჟურნალი
- წიგნი
- გლანკი
- კონკრეტული
- თვითწიგნი
- პოსტერი
- პლაკატი
- ბლოკნოტი
- ეტიკეტი
- კალენდარი:
- ჯიბის/სამაგიდო/კედლის
- მუყაოს სასაჩუქრე ჩანთა
- კატალოგი
- კოლოფი
- კონვერტი
- მოსაწვევი

ადგილზე მიტანის სერვისი უფასოდ!!!

მის.: ქ. თბილისი, აბლაქის ქ.83

☎ 598 30 33 20; 551 30 33 20

✉ info@smarty.ge

ntsiramua@gmail.com

www.smarty.ge